ჯერომ სელინჯერი

ფრენი და ზუი

გამომცემლობა პალიტრა L

რედაქტორი ლია თოფურია
დიზაინერი ლიკა გოგავა
კორექტორები: მანანა დაუშვილი, ნანა ბარბაქაძე
ტექნიკური რედაქტორი ნატალია ახვლედიანი
კომპიუტერული უზრუნველყოფა შორენა დათაშვილი
პროექტის მენეჯერი ანა კოპაძე

FRANNY AND ZOOEY by J.D. Salinger.
Copyright © 1955, 1957, 1961 by J. D. Salinger.
Copyright © renewed 1989 by J.D. Salinger
Georgian language rights arranged with the J.D. Salinger
Literary Trust through Andrew Nurnberg Associates,
Baltic, Riga, Latvia.

© გამომცემლობა პალიტრა L, 2020
ყველა უფლება დაცულია

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. 49

238-38-71 book@palitra.ge www.palitral.ge

ISBN 978-9941-32-061-3

დაიბეჭდა შპს „კოლორში"

ჯერომ სელინჯერი

ფრენი
და
ზუი

ინგლისურიდან თარგმნა
გია ჯუმბურიძემ

მინდა შეძლებისდაგვარად ვიმოქმედო ერთი წლის მეთიუ სელინჯერის სულისკვეთებით, რომელიც თავგამოდებით ცდილობს, თანამეინახეს შეატყუოს მისთვის განკუთვნილი ცივი ლობიოს ულუფა, და ჩემს რედაქტორს, მენტორსა და (ღმერთმა უშველოს) უახლოეს მეგობარს, უილიამ შონს, The New Yorker-ის genius domus-ს, თამამი გადაწყვეტილებების ერთგულს, არაპროდუქტიული მწერლების ქომაგს, გამოუსწორებელ მჭევრმეტყველთა დამცველს, ცოცხალთაგან უდიდეს ხელოვან-რედაქტორს როგორმე შევატყუო ეს პატარა წიგნი.

ფრენი

ვაშკაშა მზიანი დილის მიუხედავად, ამ შაბათ დღეს მაინც მოუწია მოკლე ქურთუკის გახდამ, რომლითაც მთელი ეს დღეები დაიარებოდა და იმედოვნებდა – კვირას, იელის ნაკრები გუნდის თამაშამდე არც გავიხდიო. ახლა კი იმ ოცზე მეტი სტუდენტიდან, რკინიგზის სადგურში 10:52 საათის მატარებლით მათთან კვირაძალზე სტუმრად ჩამომსვლელ გოგონებს რომ ელოდებოდა, სულ 6-7 თუ იდგა ცივ, ღია ბაქანზე; დანარჩენები ორ-ორად ან სამ-სამად შექუჩებულიყვნენ ჩაღუღუნებულ, გაბოლილ მოსაცდელ დარბაზში და ისეთი შეუვალი, დაყენებული ხმებით საუბრობდნენ, თითქოსდა საცაა ერთს მაინც გადაწყვეტდნენ ყოფიერების იმ მრავალ დაწყევლილ კითხვათაგან, საუკუნეები რომ ტანჯავდა კაცობრიობის მათ გარეგან მდგომ, აკადემიური განსჯის უუნარო ნაწილს.

წყალგაუმტარ და, რაღა თქმა უნდა, ბეწვამოდებულ ლაბადაში შეფუთნილ ლეინ კაუტელს მთლად იმ ექვს თუ შვიდ მომლოდინეს შორის მყოფი არ ეთქმოდა – კარგა ათიოდე წუთი იქნებოდა გასული, რაც მათ ჯგუფს გამოეყო და ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, ახლა „ქრისჩენ საიენსის“ უფასო

ბუკლეტების დახლთან ატუზულიყო. მოყავისფრო ქაშმირის ყელსახვევი ისე დარდიმანდულად გამოენასკვა, საერთოდ ვერც იფარავდა თოში ქარისაგან. ერთი პირობა კი წაიღო ხელი მის გასასწორებლად, მაგრამ ანაზდად გადაიფიქრა და იმავე ხელით ახლა წერილი ამოაძვრინა გულის ჯიბიდან. მერე კითხვა დაიწყო, თან შიგადაშიგ ტუჩებსაც აცმაცუნებდა.

ნაწერი – ან უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, დაბეჭდილიო – ცისფერ ქაღალდზე გახლდათ და თან ისე გამოიყურებოდა, თითქოს უკვე არაერთგზის ამოეღოთ კონვერტიდან და მრავალჯერაც გადაეკითხათ: *ახლა სამშაბათი უნდა იყოს, ასე მგონია და მოკლედ –*

ჩემო სულზე უტკბესო ლეინ!

აზრზე არა ვარ, როგორ მოახერხებ ყველაფერ აქედან აზრის გამოტანას – ისეთი გნიასი დგას გარშემო, საკუთარ ფიქრებსაც ველარ ვუყრი თავს. ასე რომ, თუ რაღაც ავურ-დავურიე, მაინცადამაინც ნუ დამძრახავ. სხვათა შორის, შენს რჩევას მივდიე და ამ ბოლო დროს სულ ლექსიკონში ვიხედები ხოლმე. ასე რომ, თუ რამე ოდნავ მაინც გადაპრანჭული მოგეჩვენა, თავს დააბრალე. ეს-ესაა მივიღე შენი არაჩვეულებრივი წერილი და არ ვიცი პირდაპირ – მიყვარხარ, ჭკუას ვკარგავ შენზე და საერთოდ, რა მოიცდის შაბათამდე! საწყენია, რომ კროფტ-ჰაუზში ვერ დამაბინავებ, მაგრამ ეგ არაფერი: მთავარია, გათბობა იყოს, ბაღლინჯოე-

ბი არ ბინადრობდნენ ლეიბში და შიგადაშიგ, ანუ – ყოველ წუთს, ყოველწამს – შენც გხედავდე ხოლმე. ღმერთმანი, მთლად დავკარგე ჭკუა – ყველგან შენ მელანდები და ახლა, მგონი, შენი წერილიც კი შემიყვარდა – აი, რასაც ელიოტზე ამბობ, განსაკუთრებით ეგ ადგილი მომხვდა გულზე. არადა, ამ ბოლო დროს ყველა პოეტი, საფოს გამოკლებით, თითქოს სულ მკიდია. მარტო იმას ვკითხულობ და ძალიან გთხოვ, უხამსი კომენტარებისაგან შეიკავო თავი. იქნებ საკურსოც კი მასზე დავწერო, თუკი დიპლომზე გასვლას გადავწყვეტ და თუკი იმ ყლიყვსაც შევაბი ეჟვანი – აი, ხელმძღვანელად ვინც დამინიშნეს, იმაზე ვამბობ.

„ავაი! კვდება ადონისი – რა ვქნათ, კითერია?!

მკერდს მჯიღი იცეთ, ქალწულნო, ტუნიკები შემოიფლითოთ!“

ხომ არაჩვეულებრივია? და აკი მართლაც შემოიძარცვა სამოსელი! შენ კი მართლა გიყვარვარ? ერთხელაც არ დაგცდენია იმ საზიზღარ წერილში. ვერ გიტან, როცა ასეთი მაჩო-პოზა გიჭირავს და წარბსაც არ იხრი (თუ – ატოკებ უნდა დამეწერა?) მოკლედ, შეუვალს რომ თამაშობ. კუნთმაგარი და უდრეკი კაცები ჩემი ხვედრი არაა. არა, იმას კი არ ვამბობ, რომ სუსტი უნდა იყო და უნებისყოფო, უბრალოდ, ხომ გესმის, რისი თქმაც მინდა? ღმერთო ჩემო, ისეთი ხმაურია, სწორედაც რომ „საერთო საცხოვრებელი“ უნდა ერქვას აქაურობას! ფიქრები მეფანტება. მოკლედ, მიყვარხარ, ოღონდ მართლა

და ახლა ერთი კინკილა საფოსტო მარკაც თუ მოვიძიე ამ საგიჟეთში, სასწრაფოდ გამოგიგზავნი, დროზე რომ მიიღო. მიყვარხარ. მიყვარხარ. მიყვარხარ. ისე, აზრზე თუ ხარ – სულ ორჯერ გეცეკვე ამ თერთმეტი თვის განმავლობაში! ის საღამო არ ითვლება, „ავანგარდში" ზედმეტი რომ მოგივიდა. დალევას ვგულისხმობ. მე კიდე ისევ ძაან გაუბედავი დამემართება, ნაღდად. იცოდე, ამაზე ერთი სიტყვა მაინც თუ დაგცდა ვინმესთან, ცოცხალი ვერ გადამირჩები! აბა, შაბათამდე.

XXXXXXXXXX
XXXXXXXXXX

P.S. მამას რენტგენის პასუხი უთხრეს კლინიკაში და, როგორც იქნა, დავწყნარდით: სიმსივნე აქვს, მაგრამ – არა ავთვისებიანი. გუშინ დედაჩემს ველაპარაკე. სხვათა შორის, მოკითხვა შემოგითვალა, ასე რომ, დარდი გაუშვი, მგონი, საერთოდ არც გაუგიათ, იმ საღამოს როგორ შევიპარეთ სახლში.

P.P.S. ვიცი, რომ ძაან სულელური და უინტერესო წერილი გამომივიდა. სულ ასე მემართება, როცა შენ გელაპარაკები. ნეტა რატო? ნება მომიცია, გააანალიზო ეს ამბავი. ანდა ჯობია, ვცადოთ და რაც შეიძლება გემრიელად გავატაროთ ეს შაბათ-კვირა. მოკლედ, ყველაფრის და განსაკუთრებით, ჩემი ფსიქიკის დანაწევრება-ანალიზი მაინც აღარ წამოიწყო. მიყვარხარ.

ამჯერად ნახევრამდე გადაკითხვაღა მოასწრო: კუნთმაგარ და გონებაჩლუნგ რეი სორენსონს სწორედ მაშინ მოესურვა გაეგო, ლეინის აზრით, რას ბოდიალობდა ეს ვიღაც რილკე. საქმე ისაა, ორივენი თანამედროვე ევროპული ლიტერატურის კურსს გადიოდნენ – სხვათა შორის, აქ მხოლოდ უფროსკურსელები და გამოსაშვები ხალხი ირიცხებოდა, ორშაბათისთვის კი რილკეს პოეტური ციკლის, „დუინური ელეგიების“ IV. კარის გარჩევა დაევალათ.

ლეინი ცუდად იცნობდა სორენსენს, მაგრამ იმთავითვე რაღაც უსიამო განწყობა ჰქონდა მისი სახისა და ქცევის მიმართ. წერილი ჯიბეში ჩაიბრუნა და მშვიდად განუცხადა – დარწმუნებით ვერაფერს გეტყვი, მაგრამ, ვგონებ, ძირითადში მაინც გავერკვიეო. „ბედნიერი კაცი ხარ, – თქვა სორენსენმა, – იღბლიანი“. ოღონდ რაღაც ისე თქვა, უსიცოცხლოდ, თითქოს ცარიელი მოწყენილობისა და უსაქმურობის ნიადაგზე გადმოეგდოს სიტყვა, თორემ ადამიანურად გამოსაუბრების არც არავითარი სურვილი არა ჰქონოდა. „ცივა, ეს ოხერი“, – დაამატა მერე და ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოაძვრინა. ლეინმა ფერგადასული, მაგრამ მაინც იოლად შესამჩნევი პომადის კვალი დალანდა მისი ბეწვის ქურქის საყელოზე. ასე ჩანდა, გვარიანი ხნისა უნდა ყოფილიყო, მაგრამ რა ისეთი ნაცნობობა ჰქონდათ, ახლა აეღო და ამის თაობაზე ეთქვა რამე – ბოლო-ბოლო, ან რაში ანაღვლებდა ეს ამბავი. ეს-

ეც არ იყოს, მატარებელი უკვე ბაქანს უსწორდებოდა და ორივემ უნებლიეთ იქითკენ მიატრილა თავი. ეგ იყო და, მოსაცდელი დარბაზის კარებიც ჯახანით გაიღო – ჩამთბარი ხალხი გარეთ გამოეფინა, მათ შემხედვარეს კი ისეთი გრძნობა გაგიჩნდებოდა კაცს, თითქოს თითოს სამ-სამი სიგარეტი მაინც გაეჩარა პირში.

ვისზე რა ნაკლები ვარო და, ლეინმაც მადიანად გააბოლა. მერე, როგორც ყველა მისთანამ, ვინაც, წესით, მხოლოდ გამოსაცდელი ტესტის ჩაბარების მერე თუ უნდა მიუშვა მატარებლის დასახვედრად, სახიდან ყოველგვარი გამომეტყველება ჩამოირეცხა, ემანდ ვინმემ სიხარულისდაგვარი არაფერი შემატყოსო.

გოგოებიდან ფრენი პირველი იყო, ვინც ჩრდილოეთის მხარეს, ბოლო ვაგონიდან ჩამოვიდა. ლეინმა წამსვე შენიშნა და რაც არ უნდა ექნა საკუთარი სახისთვის, თითქოს თავისით ზეაწეული ხელი ისედაც ცხადზე ცხადს ხდიდა ყველაფერს. ფრენიც ხელების ისეთ ქნევას მოჰყვა საპასუხოდ, აშკარა იყო – ასეთი რამ არც მას გამოეპარებოდა. სწორედ ის ენოტის ქურქი ეცვა – ერთხელაც ნათხოვარ მანქანაში რომ კოცნაობდნენ და ლეინი საყელოსაც კი წაეტანა – გეგონება, მისი პატრონის ბუნებრივი, განუყოფელი ნაწილი ყოფილიყო.

– ლეინ! – სიხარული არ დაუფარავს ფრენის – განა ისეთი ვინმე გახლდათ, სახეზე თავშეკავების ნიღაბი დაედო. ჩაეხუტა და აკოცა კიდეც, ოღონდ

ისე რა – ჩამოსულ-დამხვდურებს რომ სჩვევიათ სადგურის ბაქანზე – თითქოს დაუფიქრებლად, მაგრამ მერე თავად რომ ეხამუშებათ ხოლმე. – წერილი თუ მიიღე? – ჰკითხა, ოღონდ აღარც პასუხისათვის დაუცდია, ამოუსუნთქავად განაგრძო: – სულ მთლად გაყინულხარ, შე საცოდავო! რატო შიგნით არ დამელოდე? წერილი ხომ მიიღე?

– ეგ რომელი? – გაეპასუხა ლეინი, თან მის ჩანთას დასწვდა. უბრალო ჩანთა იყო, მუქი ლურჯი, ხელოვნური თეთრი ტყავით გაწყობილი. ამისთანები უკვე ათობით დაგროვილიყო იქვე.

– ახლა არ მითხრა, არ მიმიღიაო! ოთხშაბათს გამოგიგზავნე. ღმერთო დიდებულო, აკი ჩემი ხელით ჩავიტანე ფოსტაში!

– ა-ა, ეგ კი, მივიღე. დაიცა, სულ ესაა შენი რამერუმეები? ეგ კიდე რა წიგნია?

ფრენიმ მარცხენა ხელზე დაიხედა. თითები მაგრად ჩაევლო პატარა, მწვანეგარეკანიანი წიგნისთვის.

– ესა? დიდი არაფერი. – წიგნი ხელჩანთაში ჩაჩურთა და ლეინს აედევნა ტაქსის გაჩერებისაკენ; თან ენა არ გაუჩერებია – ჯერ იყო და, თავის კაბაზე ჩამოუგდო სიტყვა, ჩანთაში ნადები გასაუთოებელი იქნებაო და იქვე მოუყვა, როგორ შეიძინა ლამის სათამაშოსხელა პაწია უთო, მაგრამ წამოღება კი დაავიწყდა; მერე აღნიშნა – სულ სამი ნაცნობი გოგო ვნახე მატარებელში – მართა ფარარი, ტიპი ტიბეტი, და კიდე ელინორ ვიღაცა, რომელიც ადრე

მხოლოდ ერთხელ ჰყავდა ნანახი, ჯერ კიდევ სკოლა-ინტერნატში რომ სწავლობდა, თუ მერე – ეგზეტერში, ან კიდევ სადმე. დანარჩენი მგზავრები სულ სმითელებს[1] ჰგავდნენ, მხოლოდ ორი თუ წააგავდა ვასარის ხალხს და ერთიც ნაღდად ბენინგტონელი იქნებოდა ან სარა ლორენსის სასწავლებლიდან. ეს უკანასკნელი კიდე ისე გამოიყურებოდა, თითქოს მთელი გზა ტუალეტში გაეტარებინოს – რაღა თქმა უნდა, ძერწვა-ხატვაში, ან კიდევ რამე ამდაგვარივე მაღალმხატვრული საქმიანობით ყოფილიყოს დაკავებული. ლეინმა ფეხს აუჩქარა და გზადაგზა მოუბოდიშა კიდეც, კროფტ-ჰაუზში შენი დაბინავების შანსი არ იყო, მაგრამ ერთ მშვენიერ, მოყუჩებულ სასტუმროში კი გაგიხერხეო; პაწია ოთახია, მაგრამ ყველა სიკეთით, და ძალზე მოხერხებულიო; მოგეწონებაო, დაამატა მერე და ფრენის უცბად თვალწინ დაუდგა შეფეთქილკედლებიანი შესასვლელი, სამი გოგო ერთ ნომერში და ვინც ასწრებს, ის იჩემებს ჩაჭყლეტილ დივანს, ორი დანარჩენი კი ასეთივემატრასიანი ფართო ლოგინით კმაყოფილდება. – არაჩვეულებრივია... – შეეცადა, ხმაში ხალისი გაერია, თუმცა ხანდახან მართლა ძნელზე ძნელი იყო, ზოგადად, კაცთა მოდგმისა და, კონკრეტულად კი, ლეინ კაუტელისთვის დამახასიათებელი უგერგილობის ატანა. ის წვიმიანი საღამო გაახსენდა ნიუ-იორკში, თეატრიდან გამოსულებმა

[1] *აქ ერთთავად ქალთა პრესტიჟული სასწავლებლებია ჩამოთვლილი.*

დიდის მოკრძალებით რომ დაუთმეს ტაქსი ვიღაც სმოკინგიანს. ძაანაც არ გაბრაზებულა. – აბა, როგორია, კაცმა წვიმაში ტაქსი არავის დაანებო, მაგრამ არც ის დავიწყნია, რა სახით გამოხედა ლეინმა – თითქოსდა აქეთ სდებდა რაღაცაში ბრალს. ამის გახსენებაზე და კიდევ ერთი-ორ მაგდაგვარივეზე ახლა რაღაც დამნაშავესავით იგრძნო თავი და, ვითომ გრძნობებს აყოლილი, ლეინის მკლავს აეტმასნა. მერე ტაქსიში ჩასხდნენ, უკანა სავარძლებზე; თეთრზოლებიანი ლურჯი ჩანთა წინ, მძღოლის გვერდით დაასვენეს.

– ჩანთას სასტუმროში დავტოვებთ. შევაგდებთ ოთახში და მორჩა, მერე კი წავიხემსოთ, – თქვა ლეინმა, – შიმშილით კუჭი მიხმება. – წინ გადაიხარა და ახლა მძღოლი დააკვალიანა.

– კარგია, რომ ისევ ერთად ვართ, – თქვა ფრენიმ, – მაგრა მომენატრე. – დამთავრებული არც ჰქონდა, ენაზე იკბინა – ნაღდად არ ფიქრობდა არაფერს ამისდაგვარს. ისევ სინანულის გრძნობამ შეიპყრო, თითები გაიწვდინა და ლეინისას გადააჭდო.

საათიც არ იქნებოდა გასული, ორივენი რომ შიგ ქალაქის ცენტრში გაწყობილ სიკლერის რესტორანში უსხდნენ ცალკე მაგიდას; იქაურობას, ძირითადად, კოლეჯის თავგადაკლულ ინტელექტუალთა ნაღები სწყალობდა – სწორედ ისინი, იელსა თუ ჰარვარდში რომ ყოფილიყვნენ, თავიანთ გოგოებს არც მორის გააკარებდნენ და არც კრონინს. სიმართლე ითქვას, ერთადერთი რესტორანი იყო ქალაქ-

ში, სადაც ჩასქელებულ ბიფშტექსს არ გიდებდნენ თეფშზე. პირიქით, იქ სტუდენტს ან სალათი უნდა დაგეკვეთა, ან ამაზეც უარი გეთქვა, ნივრით გადამეტებული შეზავებისაკენ მიდრეკილების გამო. ახლა კი ათი-თხუთმეტი წუთი მაინც იქნებოდა გასული, რაც მარტინის აგემოვნებდნენ. პირველი ყლუპი რომ მოსვა, ლეინი სკამის საზურგეზე გადაწვა და იმგვარი შეგრძნებით მიმოიხედა, აქაოდა კარგ დროს და შესაფერის ადგილას ვზივარ – თან ისეთ გოგონასთან ერთად, არაფერი რომ არ დაეწუნება – გარეგნობა გინდა, ქცევა თუ ჩაცმა-დახურვა – არავითარი შინნაქსოვი სვიტრი და ცისფერი ჯინსიო. ფრენიმ წამსვე მოწვა ამაოების ეს უნებლიე გამოვლინება, მაგრამ ყურადღება აღარ გაუმახვილებია. ერთი ეგაა, რატომღაც ისევ დამნაშავედ იგრძნო თავი და სასჯელიც დაიდო: ახლა განსაკუთრებული, დაძაბული ყურადღებით უნდა ესმინა ლეინის წარმოთქმული სიტყვისთვის.

დიდხანს არც დასჭირვებია ლოდინი: როგორც სჩვეოდა, ლეინი იმ კაცის მშვიდი, თანაბარი ხმით მეტყველებდა, ვისაც ეჭვიც არასოდეს ეპარება, რომ საჭირო თემას და შესაფერ ტონს მუდამ მიაგნებს, ნებისმიერ საუბარში.

– უხეშად რომ ვთქვათ, ჯიგარი აკლდა. მიმიხვდი, რას ვგულისხმობ? – წინ გადმოიხარა, ერთსულ და ერთხორც აუდიტორიისაკენ, იდაყვებს დაყრდნობილი.

– რა აკლდაო? – დაეკითხა ფრენი. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოსდა საუკუნე იყო, ხმა არ გაეღო.

– გამბედაობა-მეთქი, – ოდნავ დააყოვნა პასუხი.

– ა-ა, ახლა მესმის.

– ასეა თუ ისე, დედააზრი ეგ იყო და მინდოდა, რაც შეიძლება ფაქიზად გადმომეცა, – ზედ ეტყობოდა, თავიან-ფეხიანად საკუთარ მჭევრმეტყველებას იყო აყოლილი, – მეგონა, ჩირადაც არავინ ჩააგდებდა ამ ჩემს ნაცოდვილარს და უმაღლესი ქულა რომ მიუწერეს და ისე დამიბრუნეს უკან, ლამის იყო, ჩემი დამემართა!

ფრენიმ ისევ ჩაიწმინდა ყელი. ასე ჩანდა, მთელი გულისყურით მოსმენის საკანონო მოხდილი ჰქონდა უკვე.

– რატო? – ჰკითხა ისევ.

– რა რატო? – ლეინს ცოტათი გაუკვირდა, ასე უდიერად რომ შეაწყვეტინეს.

– რატო გეგონა, ჩირადაც არავინ ჩააგდებდა?

– ახლა სწორედ მაგას არ გიხსნიდი? აკი გითხარი, ეგ ბრაუმენი ფლობერის გიჟია-მეთქი. მეგონა, მაგარი მცოდნეც იყო.

– კარგი ერთი, – თქვა ფრენიმ. მერე მარტინი მოწრუპა და გაუღიმა: – კარგი დასალევია. ბედი ჩემი, 20/1-ზე არ აზავებენ. ვერ ვიტან, როცა ცარიელი ჯინის გემო აქვს.

ლეინმა თავი დაუქნია მხოლოდ.

– მოკლედ, ხელნაწერი ახლა სახლში მიგდია. თუ დრო გვექნა, წაგაკითხებ.

– ა-არაჩვეულებრივია! დიდი სიამოვნებით ნავიკითხავ.

ისევ დაუქნია თავი:

– ფიქრადაც არ გამივლია, ქვეყანას გავაკვირვებ-მეთქი. უბრალოდ, მგონი რომ სწორად აღვნიშნე, რაღაც კლოაკალური სახელით ეძიებს ლე მოტ ჯუსტე. შიგ კაკალ გულში გავარტყი. პოზა შეიცვალა – ყოველ შემთხვევაში, ჩვენი დღევანდელი გადასახედიდან. მთლად მარტო ფსიქოანალიზს და ეგეთ რამეებს არ ვგულისხმობ, თუმცა არც უამისობაა. ხომ გესმის? განა რომელი ფროიდისტი მე ვარ, მაგრამ არც ყველაფრის ფროიდიზმად მონათვლა და სანაგვეზე მოსროლა იქნებოდა გამოსავალი. კაცმა რომ თქვას, სრულიად მართებულად ვაცხადებ, რომ ნაღდი მწერლები – ტოლსტოი, დოსტოევსკი... შექსპირი, ბოლოს და ბოლოს – სულაც არ დაგიდევდნენ ამ შენს სიტყვაქმნადობას! უბრალოდ, წერდნენ. მიმიხვდი, რისი თქმაც მინდა? – მომლოდინე თვალებით შესცქეროდა. ეჭვი არ შეჰპარვია, მთელი გულისყურით მისმენსო.

– ზეთისხილს მიატან თუ არა?

ლეინმა ჯერ ჭიქას დახედა, მერე ისევ ფრენის გაუსწორა თვალი. – არა, – გამოცრა კბილებში, – შენი იყოს.

– თუ მართლა არ გინდა... – სახის გამომეტყველებაზე მიუხვდა, შეკითხვა რაღაც ცუდად გამომივიდაო. უცბად აღარც ზეთისხილი მოუნდა და აღარც ის ახსოვდა, საერთოდ რამ ათქმევინა ასე-

თი რამ. მაგრამ მეტი რა ჩარა იყო, იმან უკვე გამოუწოდა თავისი ჭიქა. ფრენიმაც წკიპად ამოიღო თხილისოდენა შავი მარცვალი და მოჩვენებითი სიამოვნებით მიირთვა. მერე სიგარეტი ამოაძვრინა ლეინისავე კოლოფიდან. ლეინმა ჯერ მისას მოუკიდა და კიდევ ერთსაც – თავისას.

სიჩუმე ჩამოვარდა. ბოლოს ისევ ლეინმა ამოიღო ხმა, მხოლოდ იმიტომ, რომ იცოდა, დიდხანს მაინც ვერაფრით შეიკავებდა თავს: – ასეა თუ ისე, თავად ბრაუმენმა მითხრა, რატო არ დაბეჭდავ სადმეო. არ ვიცი, არ ვიცი, – და თავისი გონების ნაყოფს დახარბებული, ქვეყნიერებისაგან თავგაბეზრებული კაცის იერით მოისრისა თვალ-შუბლი. იმავე დროს კი, სრულიად გაუაზრებლად, უძინარი ღამის კვალიც სურდა მოეცილებინა. – საქმე ისაა, ფლობერსა და მთელ მაგ ამქარზე იმდენია უკვე დაწერილ-გადაღეჭილი – და იქვე ჩაფიქრდა წარბშეკრული: – არადა, რომ ვიხსენებ, ამ ბოლო დროს ერთიც არ გამოჩნდა მართლა სიღრმისეული გააზრებით.

– ახლა მართლა ვინმე პროფესორის ასისტენტივით ლაპარაკობ, მართლა-მართლა.

– ბოდიში?.. – ლეინი აშკარად საკუთარ თავშეკავებას უსვამდა ხაზს.

– ვინმეს ასისტენტივით ლაპარაკობ-მეთქი. ოღონდ მართლა.

– და მაინც, როგორ – ნება მიბოძეთ, გკითხოთ?

ფრენიმ სახეზე შეატყო, რომ ნაწყენი დაურჩა, თან გვარიანად, მაგრამ ახლა უკვე საკუთარი უტაქტობა თუ ლეინის მჭევრმეტყველება ერთნაირად აღიზიანებდა და ვეღარც აქეთ შეიკავა თავი:
– არ ვიცი, თქვენთან როგორაა, ჩვენთან კი ეგ ხალხი პროფესორის ადგილს იკავებს აუდიტორიაში – როცა ის მივლინებაშია, ან სტუდენტებმა ფსიქონევროლოგთან მისასვლელად გაუხადეს საქმე, ან კბილი წამოსტკივდა, ან რამე. მოკლედ, შემოდის ასეთი უფროსკურსელი – ვთქვათ, რუსულ ლიტერატურაში სემინარის ჩასატარებლად – გამოწკეპილი, ზოლიანი ჰალსტუხით ყელწაყრონჭილი და იწყებს ტურგენევის ჯვარცმას; მერე კიდე, როცა ამ ტურგენევსაც ყელში ამოგიყვანს, სტენდალზე ან კიდევ ვიღაცა ეგეთზე გადავა, რადგან ერთ დროს საკურსო ჰქონია თურმე მასზე დაწერილი. ათზე მეტი მაინც გვეყოლება მაგათნაირი – დარბიან აქეთ-იქით, ყველასა და ყველაფერზე გიფუჭებენ წარმოდგენას და ისეთი ნიჭიერები და გონებაგახსნილები არიან, სიტყვას ვერ დააცდენინებ ადამიანურ ენაზე. და თუ – ღმერთმა დაგიფაროს – შეკამათება დააპირე, ისეთი სახით გადმოგხედავენ, გირჩევნია, მიწა გაგისკდეს ფეხქვეშ.

– დაიცა, მაინცადამაინც დღეს რა ბზიკმა გიკბინა?

ფრენიმ ნაჩქარევად დააფერფლა ლამბაქზე, მერე კი საფერფლე მიიწია თავისკენ. – მაპატიე რა,

არც ვიცი, რა მეტაკა, – თქვა წყნარად. – მთელი კვირაა, ასე ვარ. საზიზღრად ვიქცევი, ღმერთმანი.

– წერილში ვერაფერი შეგატყვე.

ახლა ფრენიმ დაუქნია თავი. მზის სხივის პაწია ათინათს დასცქეროდა თეთრ, ქათქათა გადასაფარებელზე. – ადვილი არ იყო, – ჩაილაპარაკა.

ლეინი რაღაცის თქმას კი აპირებდა, მაგრამ ამ დროს მიმტანი მოვიდა ცარიელი ჭიქების წასაღებად. – ერთსაც არ დალევ? – ახლა ესღა ჰკითხა ფრენის.

პასუხი არ მიუღია. ფრენი ისე დაშტერებოდა სინათლის ლაქას, თითქოსდა მის გადაადგილებას ეპირებოდა.

– ფრენი, – აუღელვებლად გაუმეორა ლეინმა, აშკარად მიმტანის გულის მოსაგებად, – გინდა, მარტინი კიდევ დავუკვეთო?

როგორც იქნა, ამოხედა. მერე მიმტანის ხელში ცარიელ ჭიქებს დაადგა თვალი: – არა. კი. არ ვიცი...

ლეინმა მიმტანს ახედა და ხმამაღლა გაიცინა: – მაინც, მაინც?

– კი, ერთსაც დავლევდი, – რაღაც გამოცოცხლდასავით.

მიმტანი გატრიალდა და წავიდა. ლეინმა ჯერ მას გააყოლა მზერა, მერე ისევ ფრენის მიუბრუნდა. ოდნავ ტუჩებგაპობილი, ის ახლა ახალ, სუფთა საფერფლის კიდეს უსვამდა სიგარეტის ბოლოს. ლეინს უკვე აღიზიანებდა კიდეც მისი ეს რაღაც განდგომილობის პოზა. ბოლო-ბოლო, ასეთი გან-

წყობით მთელ კვირაძალს ჩააშხამებდა და ასე დამთავრდებოდა კიდეც ყველაფერი. წინ გადაიხარა, იდაყვებით მაგიდას ჩამოეყრდნო – რაღაცნაირად ხომ უნდა ჩაეფარცხა მოულოდნელად ჩამოვარდნილი უხერხული სიჩუმე – მაგრამ ფრენიმ მაინც დაასწრო: – დღეს მართლა არაფრად ვვარგივარ, – თქვა, – მთლად მოვიმჩვარე. ისე გამოხედა, გეგონებოდათ, უცხო ვიღაცის სახეს უყურებს, ანდა ლინოლეუმის რეკლამას სადმე მეტროს გადასასვლელზეო. ისევ დანაშაულის გრძნობა შემოაწვა (ეს ლამის უკვე ჩვეულ ამბად ექცა ამ საღამოს), მაგიდის კიდეზე გადაიხარა და, მდგომარეობის გამოსასწორებლად, ხელი ხელზე დაადო ლეინს. მერე უცბადვე მოაცილა და ახლა მოკიდებულ სიგარეტს დასწვდა საფერფლეზე. – ერთ წუთს მაცალე და თავს მოვერევი. სიტყვას გაძლევ, – მერე თითქოსდა ალალადაც გაუცინა ლეინს; ამ დროს ერთ საპასუხო ღიმილს შეეძლო მთლად გამოესწორებინა ვითარება. მაგრამ ლეინმა არჩია, ხაზგასმულად გულგრილი გამომეტყველება დაეჭირა და არანაირი ღიმილი არ დასტყობოდა სახეზე. ფრენიმ ღრმა ნაფაზი დაარტყა: – იცი, ადრევე რო მომესაზრებინა და დიპლომზე არ გავქაჩულიყავი, იქნებადა საერთოდ შევშვებოდი ამ ინგლისური ლიტერატურის კურსს! – ისევ ჩააბერტყა ფერფლი. – ყელში ამომივიდნენ ეს პედანტები და ჭიფხია ლექტორები – ყველაფერს შეგაძულებენ, ღმერთმანი. – უცებ ლეინს გამოხედა: – მაპატიე, მეტს აღარ ვიზამ.

უბრალოდ, საკუთარ თავზე ვბრაზდები – ასეთი გაუბედავი რომ არ ვიყო, საერთოდ არც დავბრუნ-დებოდი კოლეჯში. მასხარაობაა ეს ყველაფერი.

– შესანიშნავი აზრია. მთლად გადასარევი.

ფრენიმ სარკაზმი მიითვალა. – მაპატიე, – გაიმ-ეორა ისევ.

– მორჩი ამ ბოდიშობანას. ისე, თავში არ მოგ-სვლია, რომ მაგრა აზვიადებ? ყველა რომ მართლა ეგეთი იყოს...

ფრენიმ რაღაცა ჩაილაპარაკა გაურკვევლად. სადღაც, ლეინის ჩაფლანელებული მხრის მიღმა გაშტერებოდა მზერა.

– რა ბრძანეთ? – ჩაეკითხა ლეინი.

– ვიცი-მეთქი. მართალი ხარ. რაღაცა ვერა ვარ – აი, რომ უნდა ვიყო, ისე. ყურადღებას ნუ მომაქცევ.

მაგრამ ლეინიც ასე იოლად ვერ დანებდებოდა: – ცხოვრებაში ერთი-ორი ეგეთი ყველგან შეგხვდე-ბა. მარტივი ამბავია. მოდი, იმ რეგვენ ასისტენტებს ცოტა ხნით შევეშვათ. მისმენ?

– კი.

– ფაკულტეტზე ქვეყნის ორი საუკეთესო ლე-ქტორი დაგიდით – მენლიუსი და ესპოზიტო. ნეტა ეგენი გვყავდეს აქ! ღმერთო ჩემო, ეგენი პოეტები არიან, მართლა.

– გეგონოს. სწორედ მაგაშია საქმე! ლექსებ-საც წერენ, იბეჭდებიან კიდეც, ანთოლოგიებშიც ხვდებიან – და რა მერე? რა პოეტები ეგენი მყვანან? წამით შეჩერდა, სიგარეტი ჩააქრო. სახეზე ფერი

დაეკარგა, თითქოს პომადაც კი გაუფერმკრთალდა ტუჩებზე. – შევეშვათ. ასე მთლად მოგიშხამავ გუნებას, – ლამის წაიჩურჩულა, თან სიგარეტის ნამწვს აწვალებდა საფერფლეში.

ამ დროს ოფიციანტიც გამოჩნდა და თითო კოქტეილი დაუდგა ორივეს წინ.

ლეინმა გრძელი, თლილი თითები შემოაჭდო ჭიქის ფეხს.

– ვერაფერსაც ვერ მომიშხამავ, – უთხრა წყნარად, – მარტო ერთი ეგ მაინტერესებს, რისი დამტკიცება გინდა? რომ პოეტად მხოლოდ ის ჩაითვლება, ვინც ან ბოჰემური ტიპია, ან უკვე მკვდარი? და უცილობლად გრძელთმიანიც უნდა იყოს?

– არა, ეგ სულაც არ მიგულისხმია. იქნებ შევეშვათ? საცაა თავი ამტკივდება.

– ბატონი ბრძანდები. ჯერ ოღონდ ეს მითხარი, როგორი უნდა იყოს, შენი აზრით, *ნაღდი პოეტი.* ძაან მაინტერესებს.

ფრენის თითქოს ოფლმა დაასხა შუბლზე. იქნებ იქ მართლა ცხელოდა, ან ადრე ნაჭამმა აწყინა, ან მარტინი მთლად ისეთი გაზავებულიც არ იყო. ასეა თუ ისე, ლეინს მაინც არაფერი შეუნიშნავს.

– არ ვიცი. იქნებ მოვრჩეთ ამას? მართლა გეუბნები, მართლა-მართლა.

– შენი ნებაა. მოეშვი. მე მარტო იმის თქმა მინდოდა...

– მარტო ის ვიცი, რომ, თუ პოეტი გქვია, რამე მშვენიერს უნდა ტოვებდე ჩვენში, ანუ, როცა წიგნს

დახურავ, რაღაცა ხომ უნდა დაგრჩეს! ეგენი კი ერთ პწკარსაც არ გიტოვებენ. მათზე ცოტათი უკეთესები იქნებ აღწევენ კიდეც შენამდე, მაგრამ ამით არაფერი იცვლება – ამისთვის სულაც არაა სავალდებულო, პოეტი გერქვას. რაღაც – ბოდიში გამოთქმისათვის – სინტაქსური განავალი და რითმებით თამაში და მორჩა, ეგაა სულ. გინდა მენლიუსი იყოს და გინდა ესპოზიტო.

ლეინმა ჯერ შეიცადა, სანამ რამეს ეტყოდა.

– მეგონა, მენლიუსი მაინც მოგწონდა. თუ მეხსიერება არ მღალატობს, სულ რაღაც ერთი თვის წინ გაიძახოდი, *რა კარგი ვინმეაო.*

– მომბეზრდა ეგ უბრალოდ *კარგი ვინმეები.* ოდესმე ისეთ ვინმეს თუ შევხვდები, *პატივისცემას* რომ იმსახურებდეს? ერთი წუთით... – და უცებ ფეხზე წამოხტა სახეგაფითრებული.

ლეინი სკამიდან წამოიწია: – რა იყო, მოხდა რამე? კარგად ხარ?

– წამში დავბრუნდები, – თქვა და თავდაღერებული გავარდა ოთახიდან, თითქოს ერთი ათჯერ მაინც ყოფილიყო აქ ნამყოფი და ყოველი კუთხე-კუნჭული მოვლილი ჰქონოდა.

სახტად დარჩენილი ლეინი ახლა სიგარეტსა და მარტინის მიეძალა. ცხადია, იმის შეგრძნება, კარგ დროს და შესაფერის ადგილას ვიმყოფები და თან ისეთ გოგონასთან ერთად, არაფერი რომ არ დაეწუნებაო, ახლა უკვალოდ გამქრალიყო. სკამის საზურგეზე გადაფენილ ენოტის ქურქს დააცქერდა,

სწორედ იმას, ასეთი საამო მოგონებები რომ გაუღვიძა სადგურის ბაქანზე და რაღაცამ უსიამოდ გაჰკრა გულში. განსაკუთრებით აბრეშუმის საფენის ნაკეცები აღიზიანებდა რატომღაც. მზერა აარიდა და, უსამართლოდ განაწყენებული კაცის იერით, ახლა ჭიქას მიაშტერდა. მთელი ეს საღამო მართლა რაღაც უცნაურად აეწყო. მერე გვერდზე გაიხედა და მოშორებით, ვიღაც გოგოსთან ერთად მოსულ თავის თანაკურსელს ჰკიდა თვალი. წამსვე წელში გასწორდა, სახის გამომეტყველებაც წამში შეიცვალა, აქაოდა უბრალოდ ჩემს მეწყვილეს ველოდები, მოგეხსენებათ, ეგ მაგათი წესია: გავარდებიან ხოლმე ტუჩების შესაღებად და ასე მარტოკას გტოვებენ მაგიდასთან – მეტი რა ჩარაა, უნდა იჯდე და რომანტიკულად მოწყენილი სახით აფუილო სიგარეტიო.

სიკლერის რესტორანში ქალების ტუალეტი ლამის იმხელავე იყო, რამხელაც მთავარი დარბაზი და, გარკვეულწილად, ისეთივე მყუდრო. ფრენი რომ შევიდა, იქ არავინ დახვედრია და შორენკეცის იატაკს რომ დაადგა ფეხი, მცირე ხნით შეყოვნდა, თითქოს ვინმეს გამოჩენას მოელისო. ახლა მართლა დაასხა ოფლმა, სახეზეც მთლად მიტკლისფერი დაედო.

მერე უცბად ადგილს მოსწყდა და ყველაზე შორეულ კაბინაში შევარდა – ბედზე ეგ ავტომატში ხურდა ფულის ჩაშვებას არ მოითხოვდა – კარი მიიჯახუნა და ძლივძლივობით გადარაზა. იქაურო-

ბისთვის საერთოდ არ მიუქცევია ყურადღება, უნიტაზის თავსახურზე ჩამოჯდა, წელში მოიხარა და მუხლები მაგრად მიატყუპა ერთმანეთს – თითქოს სურდა, რაღაცნაირად მაინც დაპატარავებულიყო; თან ხელისგულებით თვალების გუგებს ისრესდა, თითქოს ამით სახედველი ნერვის პარალიზებას გამოიწვევდა და ყველაფერი შავი უკუნის საფარველში დაინთქმებოდა თავისით. ხელები უკანკალებდა და ამის მიუხედავად – ან იქნებ, სწორედაც ამის გამოისობით – მთლად სიფრიფანა მოუჩანდა და ძალზე ლამაზი. წამით ამ ემბრიონის პოზაში გაირინდა, მერე კი უცებ წასკდა ცრემლები. ხუთი წუთის განმავლობაში არც გაჩერებულა – ხან მოთქმით ტიროდა და ქვითინებდა, ხან კიდევ პატარა ბავშვივით ამოიფშლუკუნებდა ხოლმე. მერე კი უცებ მოსხიპა – სუნთქვის ყოველგვარი იმ მტკივნეული შეკავებების გარეშე, რაც ამგვარ ამბავს ახლავს ხოლმე თან. თითქოს რაღაც გამოერთო გონებაში, და ამან წამსვე დამამშვიდებლად იმოქმედაო. დაცრემლილი, მაგრამ სრულიად გამომეტყველებადაცლილი სახით დასწვდა საკუთარ ჩანთას და იქიდან ის მწვანეგარეკანიანი წიგნი ამოაძვრინა. კალთაზე დაიდო, უფრო სწორად, მუხლებზე და ისე დასცქეროდა, თითქოსდა საზოგადოდ, სწორედ აქ, მის მუხლებზე იყო ამგვარი წიგნებისათვის მისაჩენი ადგილი. ცოტა ხნის შემდეგ ისევ აიღო და ახლა გულში ჩაიკრა. ისევ ჩააბრუნა ჩანთაში, ადგა და კაბინიდან გამოვიდა. მერე პირსაბანთან ცივი წყლით

მოიბანა სახე, იქვე თაროდან გადმოღებული პირსახოცით გაიმშრალა, ტუჩებზე პომადა გადაისვა, თმა ჩამოივარცხნა და გარეთ გამოვიდა.

მომხიბლავად კი გამოიყურებოდა, როცა ღიმილით, ნარნარად ჩაუარა გაწყობილ მაგიდებს – ასე ვთქვათ, სავსებით შესაფერისი გოგონა – *qui vive*-ში,[1] კოლეჯის წლიურ ზეიმზე დასასწრებად. ლეინი ისევ წამოიწია, თითებში ხელსაწმენდი მოეჭმუჭნა უნებურად.

– 1001 ბოდიში, – თქვა ფრენიმ, – გეგონა, ფეხები გავფშიკე?

– არც მიფიქრია, – ს̣კამი მიუდგა, – უბრალოდ, აზრზე არ ვიყავი, რა მოხდა. – ისევ თავის ადგილს დაუბრუნდა: – რამე რომ იყოს, არც იმდენი დრო დაგვრჩა. – მერე დაჯდა, ისევ გამოხედა: – კარგად ხარ? თვალები ჩაგწითლებია ცოტათი. – დააკვირდა: – მართლა არაფერი გჭირს?

ფრენიმ ახალ სიგარეტს მოუკიდა, – მთლად გადასარევად ვარ. ასე კარგად ჩემს დღეში არასოდეს მიგრძნია თავი. დაუკვეთე რამე?

– შენ გიცდიდი, – უთხრა ლეინმა, თან თვალს არ აცილებდა, – რა იყო? მუცლის გვრემა?

– არ-ა-ა. თითქოს... არ ვიცი. – ფრენიმ თეფშზე დადებულ მენიუს გადახედა, ოღონდ ხელში არ აუღია, ისე. – წინილის სენდვიჩი მინდა. და ჭიქა რძე. შენთვის რაც გინდა, ის დაუკვეთე, მე ყურადღებას ნუ მომაქცევ. გინდა ხამანწკები და გინდა რვაფეხები. სულ არ მშია.

---

[1] *აქ: შემართული, სრულ მზადყოფნაში (ფრ.)*

ლეინმა ისევ შეხედა, სხვანაირად, და ღრმა ნაფაზი დაარტყა. – მაგარი დროსტარება გვექნება, ღმერთმანი. წიწილის სენდვიჩი. მაგარია. უკეთესს ვერაფერს მოიფიქრებ კაცი.

ფრენის ხმაში განაწყენება დაეტყო: – ბოდიში, მაგრამ სულ არ მშია. კარგი ახლა, ნუ გადამაყოლებ ამ რაღაცას! მე ჩემს წიწილას გავწიწკნი, შენ შენი მიირთვი. რა გახდა ასეთი? ძალით ხომ არ ჩავიტენი საჭმელს!

– კარგი, კარგი! – ლეინმა მიმტანს ანიშნა და ფრენისთვის ერთი სენდვიჩი დაუკვეთა თავისი ჭიქა რძით, თავისთვის – ლოკოკინები, თხელ ფენა ცომში შებრაწული ბაყაყის ფეხები და სალათი. მერე საათს დახედა: – ორის თხუთმეტზე უკვე ტემბრიჯში უნდა ვიყოთ, ჰა-ჰა – ორის ნახევარზე. უოლი გავაფრთხილე, სადმე შევივლით თითოს დასალევად და მერე შენი მანქანით წავიდეთ სტადიონზე-მეთქი. მოსულა? უოლის საწინააღმდეგო გაქვს რამე?

– არც ვიცი, ვინაა.

– კარგი რა, ერთი ოცჯერ მაინც გყავს ნანახი! უოლი კემპბელი. ღმერთო დიდებულო, მაგისთანას ერთხელაც რომ შეხვდე...

– კი, გამახსენდა. დაიცა, რაზე მიბრაზდები, ეგენი სულ ერთმანეთს ჰგვანან ყველანი, ერთნაირად იქცევიან, ერთნაირად ლაპარაკობენ, ერთნაირად აცვიათ. – უცებ მოკუმა პირი: საკუთარი ხმა ეუცნაურა, ისეთი გაღიზიანებული და გამქირდავი

ეჩვენა. ისევ შემოუტია თვითგვემის ტალღამ და შუბლზეც ისევ ისე დაასხა ოფლმა. ხმა კი განაგრძობდა: – არ იფიქრო – კემპბელის საწინააღმდეგო კი არაფერი მაქვს, მაგრამ აგერ ოთხი წელია, სულ მაგისთანები მხვდებიან ყველგან; უკვე წინასწარ ვიცი მაგათი ყველაფერი: როდის დამიწყებენ შებმას, როდის მომიყვებიან რაღაცა საზიზღრობას საერთო საცხოვრებელში ჩემს მეზობელ გოგოზე, როდის მკითხავენ, ზაფხული როგორ გაატარეო, ან სკამს როდის გადააჯდებიან და საზურგეს ჩაფრენილები ტრაბახს მოჰყვებიან, ეს ვნახე, ის გავიცანიო. თან ერთი უბედურებაც სჭირთ – თუკი ვინმეს მართლა იცნობენ, აი, *ცნობადი სახე* რომ ჰქვიათ, იმათ – უცილობლად რამე უმსგავსობას შეთითხნიან: ეს იჩხირავს, ის ნიმფომანია, ამას მყრალი ხასიათი აქვსო და რა ვიცი...– ისევ ჩაუვარდა ხმა. ხელში საფერფლეს ატრიალებდა და ცდილობდა, ლეინისათვის არ გაესწორებინა თვალი. მერე უცბად შეიცვალა ტონი: – მაპატიე. უოლი კემპბელი რა შუაშია. უბრალოდ, შენ თვითონ ახსენე და იმიტომ. თან ისე გამოიყურება, ნაღდად რომ იტალიაში გაატარებდა ამ ზაფხულს.

– საფრანგეთში, – დაუმოწმა ლეინმა, – მესმის, რისი თქმაც გინდა, მაგრ...

– ეგრე იყოს, – დაღლილი ხმით თქვა ფრენიმ, – საფრანგეთი იყოს, რა განსხვავებაა? – გადასწვდა და ერთი სიგარეტიც ამოიღო კოლოფიდან. – უოლი კემპბელში არაა საქმე. თუნდაც ვინმე გოგო აიღე

– იგივე ამბავია. თუნდაც ის ჩემი მეზობელი გოგო ყოფილიყო – მთელ ზაფხულს რომელიმე ფირმისათვის ვესტიბიულის მოხატვაში გაატარებდა, ან ნახევარ უელსს დაივლიდა ველოსიპედით. ანდა ერთოთახიან ბინას იქირავებდა ნიუ-იორკში და რომელიმე სარეკლამო ბიუროსა თუ ჟურნალისთვის იმუშავებდა. ყველანი ეგეთები არიან. და ყველაფერი, რასაც მაგათნაირები აკეთებენ, არც ისეთი სისულელეა და არც მთლად უაზრობა – უბრალოდ, *უმნიშვნელოა*. და მოსაწყენი უბედურება კიდე ისაა, თუნდაც რომ ბოჰემურ ცხოვრებას გადაყვე, ეგეც თავისებური კომპრომისი იქნება, უბრალოდ, ცოტა განსხვავებული. – ისევ გაჩუმდა. მერე უცებ თავი გაიქნია, ისევ გაუფითრდა სახე, წამით შუბლზეც მიიდო ხელი, როგორც დედები შვრებიან ხოლმე იმის შესამოწმებლად, სიცხე ხომ არა აქვს ბავშვსო. – უცნაური რაღაც მემართება, – თქვა, – მგონი, ვაფრენ. თუ უკვე არ გავაფრინე.

ლეინი შეწუხებული შესცქეროდა – ცნობისმოყვარედ კი არა, მართლა შეწუხებული. – ფერი აღარ გადევს, აზრზე ხარ? – ჰკითხა.

ფრენიმ უარის ნიშნად თავი გადააქნია: – არა მიშავს. წუთში კარგად ვიქნები. – აიხედა და მიმტანი დაინახა, რომელსაც შეკვეთა მოჰქონდა მათთვის. – მშვენიერი ლოკოკინები ჩანს, ვერაფერს იტყვი. – სიგარეტს მოქაჩა, მაგრამ უკვე ჩაჰქროობოდა. – ასანთი რა უყავი? – ჰკითხა.

ლეინმა მოუკიდა. – ბევრს ეწევი, – უთხრა. პაწია ჩანგალს დასწვდა – სპეციალურად ლოკოკინების საჭმელად მოეტანათ, მაგრამ დააყოვნა და ისევ ამოხედა ფრენის: – რაღაც არ მომწონხარ. მართალს გეუბნები. რა ჯანდაბა გეტაკა ამ ორიოდე კვირაში?

ფრენიმ ისევ გააქნია თავი, ოღონდ ახლა მხრებიც აიჩეჩა უნებლიეთ. – არც არაფერი. სრულიად არაფერი. ჭამე, რა, ეგ თუ გაცივდა, პირში ველარც ჩაიდებ.

– შენც შეჭამე რამე.

ფრენიმ წიწილის სენდვიჩს დახედა თეფშზე. გულის ზიდებასავით რაღაც იგრძნო, წამსვე ააცილა მზერა და სიგარეტს მიეტანა.

– პიესის საქმე როგორ მიდის? – ჰკითხა ლეინმა. თან ლოკოკინებს ათოხლავებდა.

– არ ვიცი. მე არ ვმონაწილეობ. შევეშვი.

– შევეშვიო? აკი ჭკუაზე არ იყავი სიხარულით?! მოხდა რამე? შენი როლი სხვას გადაულოცეს თუ რა?

– არაფერი მაგდაგვარი. არც არავინ შემცილებია – ეგაა სწორედ, გულს რომ მირევს.

– ეგ როგორ? რა, საერთოდ შეეშვი თეატრალურ ფაკულტეტს?

თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, მერე ჭიქიდან რძე მოწრუპა. ლეინმა შეიცადა, სანამ კარგად გაღეჭ-გადაყლაპავდა საჭმელს და ჯიქურ ჰკითხა:

– მაინც რა ამბავი დატრიალდა? შენგან მარტო ეს მესმოდა, თეატრი, თეატრიო.

– მოკლედ, შევეშვი. ძაან უხერხულად ვგრძნობდი თავს და ჩემი დამემართა, საკუთარ თავზე შეყვარებული პატარა ეგომანიაკი. – ერთხანს ჩაფიქრდა. – არ ვიცი, მეჩვენებოდა, რომ მართლა სრული გოიმობაა ეს სცენაზე გამოსვლები. რაღაც ეგოცენტრიზმის გამოვლინებაა და მეტი არაფერი. საკუთარ თავს ვეღარ ვიტანდი. კულისებში კიდე დაგეხვევიან და არი მოლოცვები, ერთი ამბავი, გეხვევიან და გკოცნიან და მაგათი დათხაპნილი მაკიაჟი ვეღარ მოგიცილებია მერე! შენ კიდე ბუნებრივად უნდა გეჭიროს თავი და ყველას უცინოდე და რა ვიცი... გეუბნები, საკუთარ თავს ვეღარ ვიტანდი. მთავარი კიდე ისაა, უბრალოდ, მთელ ამ დადგმებში მონაწილეობის რომ მრცხვენოდა! განსაკუთრებით, საზაფხულო შეკრებებზე. არა, არც იფიქრო – მშვენიერ როლებს მაძლევდნენ, ამაში არ იყო საქმე. უბრალოდ, წარმოვიდგენდი ხოლმე, რომ ჩემი ახლობლები, ვისაც პატივს ვცემ – თუნდაც ჩემი ძმები – ესწრებოდნენ ყველაფერ ამას და ესმოდათ, რას გავიძახოდი სცენიდან. ზოგს წერილებსაც კი ვუგზავნიდი ხოლმე, არ დაესწროთ-მეთქი. – ერთი წუთით ისევ ჩაფიქრდა. – გამონაკლისი მარტო პეჯინის როლი იყო „მექალთანეში“ შარშან ზაფხულს. მართლა კარგი რამე გამოვიდოდა, მაგრამ მთავარ როლში იმ ხისთავამ გააფუჭა ყველაფერი

– იმისთანა გრძნობები აღვარღვარა სცენიდან, ლამის იყო, ცრემლების ტბა დააყენა!

ლეინმა მშვიდად მოუღო ბოლო თავის ლოკოკინებს. – მშვენიერი გამოხმაურებები კი ჰქონდა. თვითონ არ გამომიგზავნე ამონაჭრები?!

ფრენიმ ამოიოხრა: – კარგი, ამასაც მოვრჩეთ.

– დაიცა, რა, ნახევარი საათია, მიმტკიცებ, რომ ერთადერთი ხარ დედამიწის ზურგზე, ვისაც რაღაცა ესმის და რაღაცა გაეგება. არადა, თუკი საუკეთესო კრიტიკოსები აქებდნენ, იქნებადა შენ ცდებოდი? რა, შანსი არაა? ჯერ არც იმ ასაკისა ხარ...

– კი, მშვენივრად თამაშობდა – ნიჭიერი კაცის კვალობაზე, აქ კი გენიოსი იყო საჭირო, მორჩა და გათავდა. – უცებ წელში გაიმართა და კეფაზე დაიდო ხელი:

– თითქოს მთვრალი ვიყო. აზრზე არა ვარ, რა მჭირს.

– თვლი, რომ თავად ხარ გენიალური მსახიობი?

ფრენიმ ხელი ჩამოიღო კეფიდან. – კარგი რა, ლეინ. არ გინდა ასე.

– მე რა – მე არაფერი.

– მხოლოდ ის ვიცი, რომ რაღაც მაგრად ვჭედავ. მომბეზრდა ეს *მე, მე, მე*. საკუთარიც, სხვათა შორის! ყელში ამომივიდა ეს ხალხი, ყველა იმას ცდილობს, რამეს მიაღწიოს, რაღაც განსაკუთრებული გააკეთოს, ყურადღება მიიქციოს. ამაზრზენია,

ღმერთმანი. რაში უნდა მანაღვლებდეს, ვინ რას იტყვის ჩემზე?!

ლეინმა წარბები აზიდა და სკამის ზურგს მიეყრდნო – ალბათ იმისთვის, მეტი წონა რომ შესძენოდა ნათქვამს: – გულისგულში იქნებ სწორედ ამგვარი გამოწვევების გეშინია? – ხაზგასმით, მშვიდი ხმით დაეკითხა. – თავს ვერ დავდებ, მაგრამ, ასე მგონია, ერთი კარგი ფსიქოანალიტიკოსი არ გაწყენდა.

– არაფრისაც არ მეშინია! პირიქით – სწორედ იმას ვფიქრობ, აქეთ არ გამიჩნდეს ეგეთი სურვილი-მეთქი! იმიტომაც დავანებე თავი თეატრალურს, რომ სულ სხვების შექებას ველოდები, ტაშის დაკვრას, შეფასებებს. მრცხვენია. ყელში ამომივიდა. რატო არ უნდა შემეძლოს, უბრალოდ, *არავინ* ვიყო? საკუთარი თავი მომბეზრებია და რაღა სხვას გავუწიო ანგარიში? – რძიანი ჭიქა მიიტანა ტუჩებთან, მაგრამ არ დაულევია, ძირს დაუშვა და ისევ განაგრძო: – აი, ახლაც იგივე მემართება – კბილები მიკანკანებს! გუშინწინ იყო, ლამის ჭიქა რომ ჩავკბიჩე! იქნება ნაღდი გიჟი ვარ და არც არავინ მეუბნება! – სწორედ ამ დროს მიმტანი მიუახლოვდათ, ბაყაყის ფეხები და სალათი მიჰქონდა ლეინისთვის. ფრენის თითდაუკარებელ წიწილის სენდვიჩს დახედა და იკითხა: – ახალგაზრდა ქალბატონი შეკვეთის შეცვლას ხომ არ ინებებდა? – ფრენიმ მადლობა კი გადაუხადა, ოღონდ უარიც ზედ დააყოლა: – უბრალოდ, ძალიან ზანტი ვინმე

ვარ, – უთხრა მობოდიშებით. ხანში შესულმა მიმ-ტანმა ერთი კი შეავლო თვალი მის ფერმკრთალ სახეს და დაცვარულ შუბლს, მაგრამ არაფერი უთ-ქვამს, თავი ოდნავ დაუკრა და გატრიალდა.

– არ გინდა? – ლეინმა თეთრი, გატკიცინებუ-ლი ცხვირსახოცი გაუწოდა. ხმაში აშკარად თანა-გრძნობა ეტყობოდა, თუმცა კი რაღაც გაუგებარი სიჯიუტით ცდილობდა ამის დაფარვას.

– რად მინდა? – გაიკვირვა ფრენიმ.

– ოფლად ხარ გაღვრილი. არა, მთლად ეგრეც არა, მაგრამ შუბლზე კი აშკარად გეტყობა.

– ოღონდ მართლა?! რა საძაგლობაა, ბოდიში, რა! – ფრენი თავის ხელჩანთას დასწვდა, გახსნა და შიგ ქექვას მოჰყვა: – აქ ერთჯერადი ცხვირსახოცე-ბის პაკეტი მქონდა სადღაც.

– ჩემი აიღე, რა განსხვავებაა?

– არ-ა-ა, ეგეთ მშვენიერ რამეს ვერ გავაფუჭებ!

არადა, ხელჩანთა მართლა ათას ერთი წვრილ-მანით ჰქონდა სავსე. ამ ძებნა-ძებნაში ნახევარი შიგთავსი მაგიდაზე, სენდვიჩიანი თეფშის გვერ-დით გადმოყარა. – აგერ ყოფილა! – პაწია სარკეც დააძრო და სწრაფად შეიმშრალა მთელი სახე. – ღმერთო დიდებულო! ამაზე იტყვიან, ავ თვალს არ დაენახვებაო. როგორ მიტან?

– კარგი ერთი... ეგ რა წიგნია?

ფრენი ლამის იყო ადგილზე შეხტა. მერე მაგი-დაზე გადმოყრილ ნივთებს დახედა. – რომელი წიგნი? – იკითხა დაბნეულად. – ესა? მატარებელში

საკითხავად წამოვიღე. – თხელყდიანი წიგნი უკან, ჩანთაში ჩააბრუნა.

– შემახედე მაინც. რაზეა?

ფრენის თითქოს არც გაუგონიაო, ისევ სარკეში ჩაიხედა და, *ღმერთო ჩემო*, ესლა თქვა. მერე ყველაფერს ისევ ხელჩანთაში ჩაუძახა: სარკეს, საფულეს, მთელ შეკვრა რაღაც ქვითრებს, კბილის ჯაგრისს, ასპირინის კოლოფს, მოოქრულ კოვზს.

– ამ ბრჭყვიალა სისულელეს პირველი კურსიდან დავათრევ თან – ერთმა დარტყმულმა მაჩუქა დაბადების დღეზე. ალბათ იფიქრა, ძაან მაგარი სახსოვარი იქნებაო – ისე შემომყურებდა, სანამ შეკვრას გავხსნიდი. სულ მინდა, სადმე მოვისროლო, მაგრამ ვერ ვახერხებ. იქნებ კუბოშიც ჩამაყოლონ. – დაფიქრდა, მერე განაგრძო: – სულელივით მიღიმოდა და ერთი ათჯერ მაინც მითხრა, თან ატარე და ბედს ეწევიო.

ლეინი უკვე ბაყაყის ფეხებს მისდგომოდა. – და წიგნი რაზეა? – დაეკითხა ისევ. – თუ დიდი-დიდი საიდუმლოა?

– რა წიგნი – აი, ის, ჩანთაში რომ მიდევს? – მიამიტად გაეპასუხა ფრენი. უყურებდა, როგორ გაღეჭა ლეინმა ჯერ ცალი ფეხი; მერე კიდევ ერთი ახალი სიგარეტი ამოიღო კოლოფიდან და თვითონვე მოუკიდა. – არც კი ვიცი. ისეთი არაფერი, „მომლოცველის გზა“ აწერია სათაურად. – მცირე ხანს ისევ ლეინის თითებსა და პირს მიაშტერდა. – ბიბლიოთეკაში ავიღე. რელიგიის ისტორიის კურსს

გვიკითხავენ ამ სემესტრში და ლექტორმა ახსენა, – ისევ დაარტყა ნაფაზი, – რამდენიმე კვირაა, თან დამაქვს და სულ მავიწყდება დავაბრუნო.

– ავტორი ვინაა?

– მე რა ვიცი, – თქვა აგდებულად, – ვიღაც რუსი გლეხი უნდა იყოს. საკუთარ სახელს არსად ახსენებს, მარტო იმას წერს, რომ ერთი უბირი გლეხია, 33 წლისაა და ცალი ხელი გახმობია. ცოლი კი მკვდარი ჰყავს. XVIII საუკუნის ამბავია.

ლეინმა ყურადღება ახლა სალათზე გადაიტანა. – მერე, ვარგა რამედ?

– აბა, რა გითხრა. ძაან თავისებური კია. მოკლედ, რწმენის საკითხებს ეხება. ერთი შეხედვით, თავგადაკლული მართლმორწმუნის დაწერილია, მაგრამ არც მთლად ეგრეა საქმე. იმით იწყება, რომ ეს გლეხი მომლოცველის გზას დაადგება და სურს გაერკვეს, რას ნიშნავს, როცა საღვთო წერილი გვეუბნება, *მოუკლებლად ილოცვიდეთ*, ანუ – უწყვეტად, დღითა და ღამით უნდა ლოცულობდეთო. სადღაც თესალონიკელთა მიმართ წერია, თუ სადღაც იქვე. მოკლედ, მთელ რუსეთს დაივლის და ყველას ეკითხება, ეს როგორ უნდა მოხერხდესო, და თუ მოახერხებ, კერძოდ, მაინც რომელი ლოცვები უნდა ითქვასო. – ფრენი ახლა ლეინის ნახევრად მოსუფთავებულ თეფშს მიშტერებოდა. – თან მხოლოდ ერთი ტომსიკა დააქვს, შიგ კი ნატეხი პური და ერთი მწიკვი მარილი უდევს, და მეტი არაფერი. ბოლო-ბოლო ვიღაც *სტარეცს* გადაეყრება – ეს კიდე

მაგარი მორწმუნე და განსწავლული ხალხია – და ის მოუყვება რაღაც წიგნზე, რომელსაც „თილოკალია“ ეწოდება. სწორედ იმ ხალხის დაწერილია, ვინც ლოცვის ამ წესს მისდევდაო.

– ნუ ფხაკურობ! – შეუძახა ლეინმა ბაყაყის ფეხს.

– ასე თუ ისე, ბოლო-ბოლო, ეს ჩვენი მომლოცველიც ისწავლის ამ *მოუკლებლად* ლოცვას, გაიწაფება და მთელი ამბავი. მერე კი მთელ რუსეთს დაივლის და საოცარ ხალხს ხვდება და ყველას ასწავლის, როგორ ილოცონ *მოუკლებლად*. ესაა სულ.

– რამე რომ იყოს, ახლა მთლად ავქოთდები ნივრით, – თქვა უცებ ლეინმა.

– ერთხელაც კიდე იმ ცოლ-ქმარს წააწყდება – ისეთი საოცარი ვინმეები არიან, მაგათნაირები არავინ შემხვედრია ცხოვრებაში, ეს კიდე მიდის სოფლად, და უცებ ორი პაწაწუნა აედევნება და ეძახიან: *უპოვარო, უპოვარო, წამო ჩვენსა – დედიკოს შენნაირებისთვის მუდამ რაღაც აქვს გადანახული!* ისიც გაჰყვება და ეს საოცარი ქალი, მათი დედა, გამოეგებება, სახლში შეიპატიჟებს, დასვამს, ტალახიან ფეხსამოსს გახდის, ჩაით უმასპინძლდება. ამ დროს ოჯახის თავიც ბრუნდება შინ, გულითადად ესალმება მომლოცველს და ყველანი ერთად სხდებიან სასადილოდ. სტუმარი გაკვირვებულია და იკითხავს, ეს სხვა ხალხი ვინააო და უხსნიან, რომ ესენი მათი მსახურები არიან, მაგრამ მუდამ ერთად შეექცევიან საჭმელს, რადგან ქრისტესმიერ ძმებსა და დებს ასე სჩვევიათო. – აქ

ფრენი ცოტათი შეყოვნდა, შესცქეროდა, როგორ უსვამდა ლეინი პურის მომცრო ნაჭერზე კარაქს. – იცი, სწორედ ამან გამაკვირვა, მომლოცველმა რომ ჯერ იმათი ამბავი იკითხა. ბოლოს კიდე, ის და ოჯახის უფროსი გვიანობამდე ისხდნენ და *მოუკლებლად ლოცვის* ამბავს არჩევდნენ. მომლოცველმა არაფერი დაუმალა მასპინძელს, დილით კი ისევ გაუდგა გზას. მერე უამრავ სხვა ხალხსაც შეხვდა და ყველას ასწავლიდა მართებულად ლოცვას – მთელი წიგნიც სწორედ ამაზეა.

ლეინმა თავი დაუქნია მხოლოდ, თან ჩანგლით სალათის ფოთოლი გადააბრუნა თეფშზე. – იქნებ ამ დღეებში იმის დროც დაგვრჩეს, ჩემს ნაწერს გადაავლო როგორმე თვალი, – თქვა მერე, – არც ვიცი, მართლა ღირს სადმე მისი დაბეჭდვა თუ... ყოველ შემთხვევაში, იქნებ შენც გენახა.

– აუცილებლად, – უთხრა ფრენიმ. უყურებდა, პურის მეორე ნაჭერსაც როგორ დაადო კარაქი. – მოგეწონებოდა, – თქვა მოულოდნელად, – ისეთი უბრალოა, მარტივი.

– მართლა? კარაქს არ გასინჯავ?

– არა, გმადლობთ. ოღონდ ვერ გათხოვებ, ჩაბარების ყოველგვარ ვადას გადავაცილე. მაგრამ თქვენს ბიბლიოთეკაშიც ხომ იქნება? არ შეიძლება, არ იყოს!

– მისმინე, ხელიც არ გიხლია ამ ოხერი სენდვიჩისთვის, – შეაწყვეტინა ლეინმა, – ლუკმასაც არ ჩაიდებ პირში?

ფრენიმ ისე დახედა თეფშს, თითქოს ახლაღა დაინახაო. – დაიცა, ახლავე, – თქვა და ისევ გაჩუმდა. მარცხენაში სიგარეტი ეჭირა, ოღონდ არ ეწეოდა და მარჯვენას თითები კი მაგრად შემოეჭდო რძიანი ჭიქისთვის. – გინდა გითხრა, რაგვარი ლოცვა ასწავლა მომლოცველმა იმ კაცს? მართლა საინტერესოა, მართლა-მართლა.

ლეინმა ბაყაყის ფეხების ბოლო ორ ნაჭერსაც მოუთავა ხელი. თავი დაუქნია: – კი, რა თქმა უნდა.

– მოკლედ, როგორც უკვე გითხარი, ამ მომლოცველმა – თავიდან ერთი უბირი გლეხი რომ იყო – იმის გასაგებად წამოიწყო ეს თავისი მოგზაურობა, რას უნდა ნიშნავდეს, როცა ბიბლიაში წერია, *მოუკლებლად ილოცვიდეთო.* მერე ისევ ამ ვიღაც *სტარცებს* გადაეყარა, რომლებიც წლობით სწავლობდნენ თილოკალიის წიგნს... – ცოტა ხნით იყუჩა, ფიქრების მოსაკრებად. – იმათ კიდე ჯერ მაცხოვრის ლოცვა დაასწავლეს: *უფალო შეგვიწყალე.* მოკლედ, ესაა მთავარი. და აუხსნეს კიდეც, ამის უმჯობესი არაფერიაო. განსაკუთრებით სიტყვა *შეგვიწყალე* – რადგან ამ სიტყვას უ-უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს, განა მარტო *შეწყალებას* ნიშნავს! – ისევ ჩაფიქრდა ერთხანს. უკვე ლეინის თეფშზე კი არა, სადღაც მიღმა იყურებოდა. – ასეა თუ ისე, – გააგრძელა, – იმ ვიღაც *სტარცებმა* უთხრეს, თუკი უწყვეტლივ აღავლენ ლოცვას, ჯერ თუნდაც მხოლოდ შენთვის, უჩუმრად, მერე უკვე ლოცვა თავად იწყებს მოქმედებას და რაღაც ხდე-

ბაო. ეგ ადგილი მთლად კარგად ვერ გავიგე, მაგრამ სიტყვები გულისცემის ტაქტში ჯდება და მერე უკვე უწყვეტად, ანუ – *მოუკლებლად* ლოცულობ; ეს კიდე მთელს შენს არსებაზე ახდენს გავლენას. იმის თქმა მინდა, რომ ესაა მთელი დედააზრი: ლოცულობ და შენც განიწმინდები, სულ სხვანაირად აღიქვამ ყველაფერს.

ლეინი ჭამას მორჩა. ახლა, როცა ფრენიც თითქოს მორჩა თავის ამბავს, მანაც გააბოლა, საზურგეზე გადაწვა და სახეში შეაცქერდა. ის კი ისევ ისე იყურებოდა, სადღაც მის მხარსზემოთ და თითქოს მისი არსებობაც კი დავიწყნოდა. ოღონდ ამით არ გათავებულა ყველაფერი:

– მაგრამ საქმეც ისაა, რომ თავიდან არც არაფრის რწმენა არაა საჭირო – თუ გეხამუშება კიდეც, არც ამასა აქვს მნიშვნელობა. ხომ არც არავის შეურაცხყოფ და არც არავის უშლი ხელს – მოკლედ, არავინ გაძალებს, რამე *ირწმუნო*. ისიც კი უთხრეს, თავიდან საერთოდ არც უნდა იფიქრო, რას შესთხოვ უფალს – ჯერ წარმოთქმულის *რაოდენობრივი* ფაქტორია მთავარი, რაც მერე *თვისებრივში* გადავაო. საკუთარი ძალით თუ რაღაცნაირად. მოკლედ, ღვთის ყველა სახელს – ნებისმიერს – საკუთარი ძალა გააჩნია და ის მოქმედებს, როგორც კი მის უსასრულოდ გამეორებას იწყებ.

ლეინი ლამისაა მთლად გადაშხლართულიყო სკამზე, ეწეოდა და, თვალმოჭუტული, ფრენის სახეს აკვირდებოდა. ახლაც ფერმკრთალი მოუჩანდა,

მაგრამ უკვე არც მთლად ისე ფერდაკარგული, როგორიც ადრე.

– კაცმა რომ თქვას, სავსებით გასაგები რამაა, – თავისას მიერეკებოდა ფრენი, – აკი ნემბუცუს სექტის ბუდისტებიც ერთთავად *ნამუ ამიდა ბუტსუს* გაიძახიან – ეს კი „დიდება ბუდას“ თუ რაღაც ამდაგვარს ნიშნავს და იქაც ზუსტად იგივე ხდება[1]

– ჩააქრე რა, თორემ საცაა თითებს მოიწვავ, – შეაწყვეტინა ლეინმა.

ფრენიმ თავისი მარცხენა ხელისაკენ გააპარა თვალი და მხრჩოლავი ნამწვი საფერფლეში ჩააგდო. – აკი „შეუცნობის ბურუსშიც“ ეგეთივე ამბავია მოთხრობილი: საკმარისია, სიტყვა „უფალი“ იმეორო და, – ისე გახედა ლეინს, მთელი ამ საღამოს მანძილზე რომ არ შეუხედავს, – ასეთი რამე საერთოდ გაგიგია ცხოვრებაში? შეგიძლია თქვა, რომ ეს უბრალო დამთხვევაა და დაიქნიო?.. – უცბად გაწყვიტა სიტყვა. ლეინი უკვე ადგილზე ცქმუტავდა და მისი ეს მაღლა აზიდული წარბებიც რაღაც მეტისმეტად ნაცნობი იყო ფრენისთვის. – მოხდა რამე? – ჰკითხა.

– დაიცა რა, მთელი ამ ბაზარის მართლა გჯერა?

ფრენი სიგარეტის კოლოფს დასწვდა და ერთი ცალი დაითრია ისევ: – არ მითქვამს, მჯერა-მეთქი, უბრალოდ, გამაოგნებელი ამბავია. – მაგიდას მოავლო თვალი, ისევ ასანთის კოლოფს ეძებდა. მერე

---

[1] *იგულისხმება ბუდიზმის ერთ-ერთი შტო, რომლის მიხედვითაც ბუდა ამითაბჰა სამყაროს მხსნელად გვევლინება.*

ლეინის გამოწვდილი ასანთიდან მოუკიდა. – ანდა გასაოცარი დამთხვევა. – ბოლი გამოუშვა ნესტოებიდან. – ყველა ეს გაბრძნობილი და სარწმუნოებას გადამკვდარი მოძღვარი ერთსა და იმავეს გიჩიჩინებს, იმეორე სახელი უფლისა და შეგეწევაო. ოღონდ ინდოეთში ამას „ომ“ ჰქვია, მაგრამ *შედეგი* ხომ იგივეა! არ შეიძლება ყველაფერი ეს ხელის ერთი მოსმით...

– ეგ რომელ *შედეგ*ზე მელაპარაკები?

– რაა?

– რა და, შედეგად რას ვიღებთ-მეთქი? მთელი ამ მჩხიბაობისა და რაოდენობრივ-თვისებრივი ამბების მერე – გული არ გიხდება ცუდად?

– არა. უბრალოდ, ღმერთს მიუახლოვდები. სადღაც, სულის რომელიღაც კუნჭულში, სადაც *ატმანი* მყოფობს – ყოველ შემთხვევაში, ჰინდუები ამბობენ ასე – ღმერთს დაინახავ. ეგაა სულ. – ჩაფერფლება უნდოდა და უნებლიეთ ააცილა. ხელით მოხვეტა და ისე ჩაუძახა საფერფლეში. – ახლა არ მკითხო, ღმერთი სადაა და როგორ გამოიყურებაო. მე რა ვიცი. ისიც კი არ ვიცი, მართლა თუ არსებობს. პატარა რომ ვიყავი, მეგონა... – ენაზე იკბინა. მიმტანი მიუახლოვდა, თეფშები ააცალა ორივეს და ახალი მენიუ წინ დაულაგა.

– ჩაროზად აიღებ რამეს თუ მხოლოდ ყავა გინდა? – ჰკითხა ლეინმა.

– არც არაფერი. ამ ჩემს რძეს მოვამთავრებ. შენთვის შეუკვეთე რამე. – მიმტანმა მისი წიწილი-

ანი სენდვიჩიც აიღო მაგიდიდან. ფრენიმ თვალი აარიდა.

ლეინმა მაჯის საათზე დაიხედა: – ძაან დრო გასულა! ვიგვიანებთ. ვაითუ მატჩის დაწყებას ვეღარც მივუსწროთ. – მიმტანს ახედა. – ერთი ყავა ჩემთვის, თუ არ გაგიჭირდებათ. – თვალი გააყოლა რატომღაც, მერე წინ გადმოიხარა, მკლავები მაგიდაზე დააწყო, მშვიდად. ახლა მაძღარიც იყო და ერთი ფინჯანი კარგი ყავაც არ აწყენდა. – კი, საინტერესოა. ნამდვილად. მთელი ეს ამბავი. ოღონდ ეგაა, ფსიქოლოგიის უმარტივეს საფუძვლებსაც კი არ ითვალისწინებ. მე თუ მკითხავ, მთელ ამ რელიგიურ განცდებს გარკვეული ფსიქოლოგიური ზემოქმედება უდევს საფუძვლად. თუმცა, მეორე მხრივ, ყველაფერსაც ასე ხელაღებით ვერ უარყოფ კაცი. – უცბად გაუღიმა, ალალად: – მართლა, მგონი, დამავიწყდა მეთქვა – მიყვარხარ-მეთქი. არ მითქვამს?

– ერთი წამით კიდევ გავალ რა... – ჯერ სიტყვა არც დაემთავრებინა, უკვე ფეხზე იდგა.

ლეინიც წამოიწია, ნელა, თვალს არ აცილებდა.

– რა გემართება? – ჩაეკითხა. – ისევ შემოგიტია?

– რაღაც ვერა ვარ. ახლავე დავბრუნდები.

სწრაფად გადაჭრა დარბაზი, მაგრამ უცაბედად ბართან შეჩერდა. ბარმენი ამ დროს ხერესის ჭიქის გაპრიალებით იყო გართული და ცალი თვალით გამოხედა მხოლოდ. ფრენი მარჯვენათი დახლს ჩააფ-

რინდა, მერე მარცხენა ხელის თითები მიიდო შუბლზე, შექანდა და გულწასული იქვე ჩაიკეცა.

კარგა ხუთი წუთი დასჭირდათ მის მოსაბრუნებლად. ახლა მენეჯერის ოთახში იწვა, ტახტზე და თავთან ლეინი უჯდა. ისიც ფერწასულად გამოიყურებოდა.

– აბა, ახლა როგორა ვართ? – დაეკითხა ნაღდი ექიმივით. – უკეთესად?

ფრენიმ თავი დაუქნია მხოლოდ. მერე თვალები დახუჭა – ზემოდან მჭახე სინათლე დანათოდა. მაგრამ წამსვე ისევ გაახილა. – ახლა რა უნდა ვთქვა? *სადა ვარ* თუ რამე ამდაგვარი? რამე რო იყოს, მართლა სადა ვარ?

ლეინს ჩაეცინა: – მენეჯერის ოთახში. მთელი პერსონალი კი აქეთ-იქით დარბის და ნიშადურის სპირტს დაეძებს, ექიმიც გამოიძახეს. დიდი აურზაურია. არა, მართლა როგორ ხარ? არ გეხუმრები.

– რა ვიცი, ალბათ კარგად. მართლა შემიღონდა გული?

– კი, ნამდვილად. გაითიშე, – უპასუხა და ხელზე დაადო ხელი, – რა გჭირს, აღარ იტყვი? ტელეფონში ვერაფერი შეგატყვე, სავსებით ნორმალურად მელაპარაკებოდი. დილით არაფერი გიჭამია?

ფრენიმ მხოლოდ მხრები აიჩეჩა. მერე ოთახს მოავლო თვალი. – უხერხულია, ღმერთმანი. ხელში ატატებული შემომიტანეს თუ რა?

– კი, მე და ბარმენმა. აგწიეთ, შემოგიტანეთ და დაგაწვინეთ. მართლა გვარიანად დაგვაფეთე.

მისი ხელი ჯერ ისევ თავისაში ეჭირა. ფრენიმ ჭერს ახედა, მერე მოუტრიალდა, მეორე ხელით მისი სახელოს აწევა და საათზე დახედვა სცადა. – ახლა რა დროა?

– ნუ ღელავ, მაინც არსად მიგვეჩქარება.

– აკი კოქტეილზე იყავი დაპატიჟებული...

– დიდი ამბავი.

– ველარც თამაშს მივუსწრებთ?

– არც ეგაა დიდი ამბავი. ახლა ჯერ შენს ნომერში აგიყვან, კარგად დაისვენე და მერე ვნახოთ. – უფრო ახლოს მიუჩოჩდა, დაიხარა და აკოცა – ისე, მსუბუქად. მერე კარისკენ გაიხედა და ისევ ფრენის მოუბრუნდა: – ოღონდ ამ საღამოს უნდა დაისვენო. ეგაა მთავარი. – მკლავზე ჩამოუსვა ხელი. – თუ კარგად მოიქცევი და ყველაფერს დამიჯერებ, იქნებ მერე მეც ამოვიდე. უკანა ეზოდან კიბე ექნება ან რამე. რაღაცას გავახერხებ.

ფრენის არაფერი უთქვამს. ჭერში იყურებოდა.

– თუ იცი, რამდენი ხანი გავიდა, რაც ერთად არ ვყოფილვართ? თვეზე მეტი. – თავი გააქნია. – ასე არ ივარგებს. უსმელობისაგან ყელიც გაგიშრება კაცს. მართლა უკეთ ხარ? – დაამატა მერე.

ფრენიმ მხოლოდ თავი დაუქნია. მერე სახეში შეაცქერდა. – მწყურია. აქ სადმე ჭიქა წყალს ვერ მიშოვი?

– ახლავე. და კიდე უკეთესი – იცი, რას ვიზამ? ჯერ ვინმეს გამოვაგზავნი ჭიქა წყლით, მერე მაგათ ყველას ნიშადურის სპირტის ძებნას შევაწყვეტი-

ნებ, ჩვენს მიმტანს ფულს გადავუხდი და ტაქსისაც გამოვიძახებ, ქუჩაში რომ არ მოგიწიოს ლოდინმა. ოღონდ იქნებ ცოტა შემაგვიანდეს – ახლა ყველა სტადიონისაკენ წამსვლელს ეძებს. – წამოდგა, ზემოდან დახედა. – მოსულა?

ფრენიმ ისევ დაუქნია თავი.

– არ წამოდგე, მალე მოვალ, – თქვა და ოთახიდან გავიდა.

მარტოდ დარჩენილი ფრენი ერთხანს წყნარად იწვა და ჭერს ასცქეროდა. მერე ტუჩები აუთრთოლდა, თითქოს უჩუმრად უნდოდა რაღაცის თქმა, დაუსრულებლად.

ზუი

საერთო აზრით, ხელთ არსებული ფაქტები მუდამ თვითკმარი საბუთია, მაგრამ ამჯერად ეს კიდევ უფრო ულაზათოდ გამოიყურება, ვიდრე ამგვარ ამბებს ზოგადად ახასიათებს ხოლმე. სწორედ ამის საპირწონედ ვიყენებთ ჩვენც ამ ძველ, თუმცაღა უჭკნობ ხრიკს: ავტორისეულ წინათქმას. ოღონდაც შესავალი ესე იმდენად გაფუყულია და სიტყვამრავალი, პატიოსან მწერალ კაცს ავ სიზმარშიც არ დაეზმანება – იმაზე აღარას ვამბობ, რამდენად პირადული და, შესაბამისად, მტკივნეულია; მოკლედ, თუკი გამიმართლებს და რაღაცას მაინც გავახერხებ, წინასწარ გაფრთხილებთ: ეს უფრო რომელიმე

სამანქანო განყოფილებაში იძულებით ექსკურსიას დაემსგავსება – ძველმოდურ, ზოლებიან საცურაო ტანსაცმელში გამოწყობილი თქვენი მონა-მორჩილი რომ გაგიძღვებათ წინ.

უარესიდან დავიწყოთ და მოგახსენებთ: ეს არც მთლად მოთხრობა იქნება – უფრო საშინაო სამოყვარულო ფილმს ემგვანება, და ვისაც კი მოუწია მისი თუნდაც ჯერეთ დაუმონტაჟებელი ასლის ნახვამ, ერთხმად მირჩევდნენ – არა იმედი არა მქონოდა მისი დიდ ეკრანზე ჩვენებისა. ერთიც ითქვას, კრიჭაში ჩამდგომთა ეს მცირე ჯგუფი სამი მთავარი როლის შემსრულებლისაგან შედგება: ორი ქალია და ერთიც – კაცი. ჯერ წამყვანი პერსონაჟიდან დავიწყოთ, რომელსაც, დიდი ეჭვი მაქვს, ძაან უნდა, რომ დახვეწილ, მგრძნობიარე ბანოვანად იხსენიებდნენ და იმასაც ამტკიცებს – არაფერი მაგ ფილმს არ დააკლდება, თუკი იმ სცენებს ამოიღებთ, საცა ცხვირს ვიხოცავ ხოლმეო. აი, ასე – ამოჭერი და გადააგდე, აუტანელი სანახავიაო. მაგას არც მეორე ჩამორჩება – ფერხორციანი, ოღონდ ოდნავ მიმჭკნარი ქალბატონი, რომელიც იმაზე იბზუებს ცხვირს – ძველ, ფერგადასულ ხალათში რატომ გამომაჭენეო. რამე რომ იყოს, არც ერთი ამ ლამაზმანთაგანი (თავად ჩამიგდეს სიტყვა, *ასე* მოგვიხსენიე ხოლმეო) ძალიანაც არ იდებს თავს – მიზეზი კიდე, უნდა გითხრათ, მარტივია და მცირეოდნავ უხერხულიც: რამდენი სიტყვა დასცდებათ ჩემი ჩანაფიქრის უბადრუკობაზე, იმდენს ვწითლდები და ეული ცრემლი მადგება

ხოლმე თვალზე, მაგრამ, ვინც მართლა ენაგადმოგდებული მიმტკიცებდა, შეეშვი ამ საქმესო, სწორედაც ჩანაფიქრის მთავარი გმირი გახლავთ: ასეო და ისეო, მთელი ინტრიგა მისტიციზმსა და რელიგიურ მისტიფიკაციაზეა დაფუძნებული, ყველაფერ ამაში კი გარკვეული ტრანსცენდენტული საწყისი იკვეთება, რაც უცილობლად ჩემივე პროფესიული მარცხის მომასწავებელიაო. რამე რომ იყოს, მაგათ არც სხვები ჩამორჩებიან და თავებს აკანტურებენ – კიდევ ერთხელ თუ სადმე მაინც იხმარ სიტყვა „უფალს" – არა მისი ჯანმრთელი, საღი, ამერიკული გაგებით, როგორც რამ ემოციის გამომხატავ საშუალებას, არამედ მიღმიერ სამყაროზე მიანიშნებ, შენი საქმე წასულიაო. მერედა, განა არაა ეს საკმარისი, ჩემისთანა მყიფე სულიერი წყობის ადამიანს – ხელოვანს, შეიძლება ითქვას, – ფარ-ხმალი დააყრევინოს? და მეც ვამუხრუჭებ კია, მაგრამ არა დიდი ხნით: საქმეც ისაა, ნებისმიერი შენიშვნა, რაც უნდა დამაჯერებელი იყოს, მაინც იმით ფასდება, თუ რამდენად გამოსადეგია იგი, მე კიდე ჯერ მთლად თხუთმეტისაც არ ვიყავი, ამისთანა „ფილმების" კეთებას რომ მივყავი ხელი. წიგნში „დიდი გეტსბი" (12 წლის ჩემისთანა ბიჭისთვის ეს იგივე „ტომ სოიერი" იყო) მთხრობელი ამბობს, ყველას დიდზე დიდი ეჭვი აქვს, რომ რაღაც პირველადი ღირსებითაა დაჯილდოებული, და ბოლოს გვიმხელს: ჩემი – პატიოსნებაა. იმას ღმერთმა შეუნდოს და მე კიდე მგონია, ნაღდად შემიძლია, მისტი-

კური მოთხრობა სასიყვარულოსაგან განვასხვაო. იმის თქმა მინდა, რომ ეს ჩემი მონათხრობი არავითარი მისტიფიკაცია არაა და, მით უმეტეს – სარწმუნოებრივი ხასიათისა; მეტიც, იმას ვამტკიცებ, რომ ეს უბრალოდ, ჩახლართული სასიყვარულო ამბავია და სხვა არაფერი!

დამატებით კიდე იმასაც მოგახსენებთ, რომ თავად სიუჟეტიც კი ფრიად არაღვთისმოსავი თანამშრომლობის შედეგია და რასაც ახლა მოგიყვებით (მშვიდად, აუჩქარებლად მოგიყვებით), დიდ-დიდი ხანგაშვებებით გამჟღავნდა ამ სამ მთავარ პერსონაჟთან ჩემს საუბრებში: ბოლოს და ბოლოს, არც ერთი მათგანი არ გამოირჩევა ნათლად და გასაგებად, მოკლედ და ამომწურავად რამის მოყოლის უნარით. ვშიშობ, ეს თავისებურ დაღადაც დააჩნდება თუნდაც უკვე ჩემეულ ვარიანტს. ამას ვერაფერს ვუშველი, მაგრამ თავი მაინც ხომ უნდა ვიმართლო როგორმე! საქმეც ისაა, რომ ჩვენ ოთხივენი ახლო ნათესავები ვართ და ერთგვარ ეზოთერულ ოჯახურ ენაზე ვმეტყველებთ – რაღაც საშუალოზე სემანტიკურ გეომეტრიასა და არაევკლიდურ გეომეტრიას შორის.

და ბოლო ამბავი: ჩვენი გვარი ასე იკითხება – გლას; ამ წუთში კი გლასთაგან ყველაზე უმცროსის გრძელზე გრძელ წერილს წაგიკითხავთ (ტექსტი სრულია, არავითარი ამონარიდები), რომელიც მას უფროსმა ძმამ, ბადი გლასმა გამოუგზავნა. რო-

გორც მითხრეს, გადმოცემის სტილი მეტისმეტად ჰგავს ჩემსას, და ვაითუ მკითხველიც იმ დასკვნამდე მივიდეს, ეს ერთი და იგივე პირიაო; რას იზამ, მოსახდენი მოხდეს, მაგრამ მაგ ბადი გლასს მთელ ჩემს თხრობაში მესამე პირად დავტოვებ და ვერც ვერავინ დამარწმუნებს, თითქოსდა სხვაგვარად იყოს საჭირო.

1955 წლის ნოემბრის ერთ დღეს, დილის თერთმეტის ნახევარზე, ახალგაზრდა ზუი გლასი პირამდე სავსე აბაზანაში გაწოლილიყო და ოთხი წლის წინანდელ წერილს კითხულობდა. გრძელი წერილი გახლდათ, უხეირო მოყვითალო ქაღალდზე ნაბეჭდი; ზუის ის წყალში ორი კუნძულივით ამოშვერილ მუხლებზე გადაეფინა, მისგან ხელმარჯვნივ კიდე, კედელში ჩაშენებულ სასაპნეში, ოდნავ დანესტიანებული სიგარეტი ბოლავდა. შიგადაშიგ დასწვდებოდა ხოლმე, გააფუილებდა და ფერფლიც ხან წყალში ცვიოდა და ხანაც გაშლილ ფურცლებს ეფინებოდა. ოღონდ ახლა ამის დარდი არა ჰქონდა – ერთი ეგაა, ცხელი წყალი ოფლს ადენდა და შუბლისა თუ მთელი სახის შემშრალებაც სულ უფრო ხშირად უწევდა.

ისიც ითქვას, ზუი იმდენად რთული, გაორებული, წინააღმდეგობრივი პიროვნებაა, მის თაობაზე თხრობა ორ აბზაცზე ნაკლები არაფრით გამოვა: დავიწყოთ იმით, რომ ტანდაბალი იყო და მსუბუქი

აღნაგობისა: უკნიდან – განსაკუთრებით, თუ ხერხემლის მალებიც უჩანდა – მართლა იმ ქალაქელ ბიჭს ჰგავდა, ზაფხულობით საქველმოქმედო ბანაკებში რომ გზავნიან ხორცის შესასხმელად; თუმცა სახით – გინდა წინიდან შეგეხედათ, გინდა გვერდიდან – გამორჩევით ლამაზიც კი ეთქმოდა. მისი უფროსი და, რომელიც თავმდაბლად ითხოვდა, რომ ის ტაკაჰოს ტომის სკვოდ მოეხსენიებინათ – მთხოვდა, ზუისთვის მეწოდებინა *მონტე-კარლოში, სათამაშო მაგიდებთან ქალის მკლავებში სულგაფრთხობილი, მოჰიკანთა მოდგმის ცისფერთვალა ირლანდიელ-ებრაელი სკაუტი.* თუმცა, შინაურებში უფრო გავრცელებული და, გავბედავ ვთქვა, არც მთლად ასე გაზვიადებული აზრი იმას ღაღადებს, რომ ნარცისული სილამაზისაგან იგი მცირეოდნად მოღუნულმა ცალმა ყურმა გადაარჩინა. აი, თავად მე სრულიად განსხვავებული აზრისა ვარ და მიმაჩნია, რომ, რაკიღა ზუის სახე მართლაც მშვენიერებასთანაა წილნაყარი, მისი გადამეტებული შეფასებაც – ისევე, როგორც ხელოვნების ნებისმიერი ნიმუშისა – შეიძლება არცთუ გასაკვირი ამბავი იყოს. ერთს კი დავუმატებდი: იმ ყოველდღიურ ხიფათებს, რაც ჩვენი სიცოცხლის განმავლობაში გვემუქრება – იქნება ეს ავტოავარია, გრიპი თუ დილაადრიან დაყრანტალებული ცინცხალი ტყუილი – ყველაფერი ეს დაღს ასვამს ჩვენს აღქმას. თუმცა იყო მასში რაღაც, ასე ვთქვათ, „სამა-

რადისო გახარების"[1] თანდაყოლილი *esprit,*[2] და იგი მთელ მის სახეზე აღიბეჭდებოდა, განსაკუთრებით კი მის თვალებში, თითქოსდა არლეკინის ნიღბიდან იხედებაო და ზოგჯერ – კიდევ უფრო გამაოგნებ-ლადაც.

ზუი მსახიობი გახლდათ და აგერ უკვე სამ წელზე მეტია, გამორჩეულიც ეთქმოდა, ოღონდ – ტელედადგმებში. მასზე ნამდვილი ნადირობა იყო გამართული და (როგორც ეს ოჯახის წევრთა ყურამდე აღწევდა) კარგა გვარიანადაც უხდიდ-ნენ, თუკი გავითვალისწინებთ, რომ ჰოლივუდთან ჯერ არასოდეს ჰქონია საქმე. ვაითუ ყველაფერ ამიდან რაღაც არასწორი წარმოდგენა შეგექმნათ და მეც იმთავითვე გეტყვით, რომ ჯერ კიდევ შვი-დი წლის ზუი სრულიად ოფიციალურად გამოჩნდა ტელეეკრანზე – როგორც პროგრამის წამყვანი. საქმეც ისაა, ოჯახის შვიდ შვილს შორის (ხუთი ბიჭი და ორი გოგონა)[3] ის ბოლოდან მეორე ბავშვი

---

1 *(a joy of a kind forever) რემინისცენცია ჯონ კიტსის პოემი-დან „ენდიმიონი".*

2 *სული, განწყობა, სამშვინველი.*

3 *ვფიქრობ, ისეთი არაესთეტიკური ხრიკიც კი, როგორიც გვერდის ბოლოში დართული შენიშვნაა, აქ სრულიად მართებულია: თქვენ მხოლოდ იმის საშუალება გექნებათ, მათგან ბოლო ორ უმცროსს გაეცნოთ; დანარჩენი ხუთი მხოლოდ აქა-იქ თუ გამოჩნდება – შექსპირისეული პერ-სონაჟის, ბანქოს აჩრდილივით. იქნებადა სწორედ ამიტო-მაც, მკითხველისათვის ინტერესს მოკლებული არ იქნება იმის გაგება, რომ 1955 წლისათვის უფროსი ვაჟი, სიმორი,*

იყო, დანარჩენები კი, უკვე კარგა ხანია, შესაშური თანამიმდევრობით მონაწილეობდნენ საბავშვო რადიოგადაცემაში „ჭკუის კოლოფი“. თვრამეტ-წლიანმა განსხვავებამ უფროსს, სიმორსა და უმ-ცროსს – ფრენის შორის, საშუალება მისცა მათ, რაღაც მემკვიდრეობითობისდაგვარი დაეწესები-ნათ მიკროფონთან და ამ გადაცემის უცვლელი მონაწილენიც გამხდარიყვნენ 1927-1943 წლებში; ეს კიდე ხუმრობა ამბავი არ გეგონოთ, ეს ხანა ერთ-დროულად მოიცავდა ჩარლსტონის პოპულარობას საცეკვაო მოედნებზე და B-17-ის გამოჩენას ცაში (მთელი ეს მონაცემები, სავარაუდოდ, მეტ-ნაკლე-ბად მაინც მართებულია). ისიც სათქმელია (მცირე-

---

უკვე შვიდი წლის გარდაცვლილი გახლდათ: ფლორიდა-ში ისვენებდა მეუღლესთან ერთად და იქ მოიკლა თავი. 1955 წლისათვის, რომ ეცოცხლა, ოცდათვრამეტისა იქ-ნებოდა. მისი მომდევნო – სახელად ბადი, „მოწვეულ მწერალ-კონსულტანტად“ მუშაობდა ქალთა კოლეჯის დაბალ კურსებზე, ნიუ-იორკის შტატში. ცხოვრობდა კი ელექტრობაგაუყვანელ საზაფხულო კოტეჯში, თუმცა-ღა სათხილამურო ტრასიდან სულ რაღაც ნახევარ კილო-მეტრში. რიგით მესამე, დაიკო ბუ-ბუ, მალე გათხოვდა და სამი შვილი შეეძინა. 1955-ის ნოემბერში ის ევროპაში მოგზაურობდა მეუღლესთან და სამივე ბავშვთან ერთად. ასაკისდა მიხედვით, შემდეგნი ტყუპები მოდიოდნენ – უოლტი და უეიკერი. უოლტი 10 წლის გარდაცვლილი იყო უკვე – შემთხვევით აფეთქებას შეეწირა იაპონიაში, საოკ-უპაციო ჯარში სამსახურის დროს. სულ რაღაც 12 წუთით მასზე უმცროსი უეიკერი შემდგომ კათოლიკე მღვდელი გახდა და 1955 წლის ნოემბერში ეკვადორში გახლდათ იეზუიტთა რომელილაც თავყრილობაში მონაწილეობის მისაღებად.

ოდენი გამონაკლისი არცაა სათვალავში ჩასაგდები), თითოეულმა მათგანმა მსმენელების მიერ ამ წლების განმავლობაში გამოგზავნილ იმდენ ღრმა-აზროვან, ეშმაკურ თუ, უბრალოდ, „ჩამჭრელ“ შეკითხვებს გასცა პასუხი – თან იმგვარი თავდაჯერებითა და გონებამახვილობით, კომერციული რადიოგადაცემები რომ ვერ დაიკვეხნიდნენ.

რა დასამალია და, მსმენელებიც დიდი ხალისით ეხმაურებოდნენ ბავშვების ეთერში გამოსვლას, თუმც კი იმთავითვე ორ და უპირობოდ შეურიგებელ ბანაკად გაიყვნენ: ერთი ნაწილი თვლიდა, რომ „ეს გლასები“ ერთი ჭიფხია, თავგასული შემადგენლობა იყო და მათი დაბადებისთანავე წყალში ჩახრჩობა ან გაზით მოწამვლა დიდ ცოდვად არ ჩაითვლებოდა, სხვების თვალში კი ისინი მცირეწლოვან ბრძენთა რაღაც ახალი, ხელოვნურად გამოყვანილი ჯიში გახლდათ და მათ შესაშურსაც ვერაფერს ხედავდნენ. ახლა, როცა ამ წიგნს ვწერ (1957 წ.) ჯერ კიდევ მრავლად არიან ისეთები, ვისაც „ჭკუის კოლოფების“ გამოსვლები სულ წვრილად ახსოვს. სწორედ ამ მცირერიცხოვან, მაგრამ შეუვალ წრეში ჩამოყალიბდა აზრი, რომ უფროსი გლასი – სიმორი – იყო სწორედ ამ ბავშვებში ყველაზე ნიჭიერი, საუკეთესო ხმის პატრონიცა და უებრო „მოპასუხეც“. მის მომდევნო „მსმენელის სიმპათიად“ კი უმცროსს, ზუის ასახელებენ. ახლა, რამდენადაც სწორედ ისაა ჩვენი გამოკვლევის უმთავრესი სამიზნე, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ის თავის და-ძმებშიც

კი განსაკუთრებული, ლამის *ენციკლოპედიური* ცოდნით გამოირჩეოდა და რაღა გასაკვირია, თუკი ეს „ვარსკვლავბიჭუნა“ ბავშვთა ფსიქოლოგებისა თუ ათასი ჯურის პროფესიონალ პედაგოგ-თეორეტიკოსთა კერძი ხდებოდა! მაგრამ საყურადღებოა, რომ იმგვარ თითქოსდა შეუთავსებელ განხრებშიც კი, როგორიც კლინიკური, სოციალური თუ რეკლამის ფსიქოლოგიაა, მისთვის მუდამ რაღაც იმალებოდა სახიფათო: ან ითრგუნებოდა, ან ღიზიანდებოდა, ანდა სულაც ავად ხდებოდა ხოლმე. მაგალითისთვის შორს რომ არ წავიდეთ, მხოლოდ 1942 წელს (მისი ორი ძმის გაუთავებელი აღშფოთების მიუხედავად, რომლებიც სწორედ მაშინ გაიწვიეს ჯარში) მეცნიერთა ერთმა ჯგუფმა ხუთჯერ გამოიძახა იგი ბოსტონში (ისე, სიმართლე ითქვას და, ჩვენი ზუი მაშინ სწორედ თორმეტი წლისა გახლდათ, ე.ი. მატარებლით იქით-აქეთ 10-ჯერ მგზავრობა სულაც არ მოეჩვენებოდა ძაან მოსაწყენ საქმედ); კვლევა-ძიებათა მიზანი, ცხადია, ერთი იყო: როგორმე მისი ამ მეტისმეტად ადრიანად გამოკვერილი უნარიანობის მიზეზი დაედგინათ. მეხუთე ტესტირების მერე კი უკან დააბრუნეს – ნიუ-იორკში, თან ერთი კოლოფი ასპირინითაც დაასაჩუქრეს – აქაოდა, სურდო აქვსო, რაც სინამდვილეში ბრონქოპნევმონია აღმოჩნდა. თვე-ნახევარი არ იყო გასული, რომ ვიღაც მაიმახმა დარეკა ბოსტონიდან ლამის თორმეტის ნახევარზე და დიდის სიხარულით ამცნო ქ-ნ და ბ-ნ გლასებს: თქვენს

შვილს სიტყვების ისეთივე მარაგი აღმოაჩნდა – და თანაც 12 წლის ასაკში – როგორიც მავან მერი ბეიკერ ედის, და ახლა მათი გამოყენების სწავლებაღაა მხოლოდ საჭიროო!

მოკლედ, ახლა ჩვენს თხრობას მივუბრუნდეთ: ეს გრძელი, ოთხი წლის წინ დაბეჭდილი წერილი, რომელსაც ზუი 1955 წლის ნოემბრის ორშაბათ დილას ეცნობოდა აბაზანაში, იმდენჯერ იყო კონვერტიდან ამოღებული და გადაკითხული, რომ შელახულის შთაბეჭდილებას ტოვებდა და განაკეცებში უკვე იხეოდა კიდეც. გამომგზავნი, როგორც თავშივე მოგახსენეთ, მისი ამ დროისთვის ცოცხლად დარჩენილი ძმებიდან უფროსი, ბადი გახლდათ. თავად ნაწერი მრავალსიტყვაობით, კარგად მოქცევის თხოვნა-ხვეწნით, რჩევებით, ჭკუის დარიგებითა და, პირდაპირ ითქვას, უთავბოლობით გამოირჩეოდა. თუკი ყველაფერ ამას ძმური სიყვარულის წრეგადასულ გამოვლინებებსაც დავუმატებთ, ცხადი ხდება – უხერხულობის რაოდენი გრძნობა აიძულებდა, ამდენი ხანი თან ეტარებინა უკანა ჯიბით. ზოგი მწერალი გიჟდება, ისე უყვარს ამგვარი წერილების სიტყვასიტყვით მოტანა.

3/18/51

ჩემო ზუი!

ეს-ესაა დედასგან გამოგზავნილი გრძელზე უგრძესი წერილის კითხვას მოვრჩი: ძირითადად,

შენზე და გენერალ ეიზენჰაუერის ღიმილზეა და
იმ ბიჭუნებზე, ლიფტის შახტში რომ ცვივიან თუ-
რმე პარტყაპურტყით, და როდის ვაღირსებ ჩე-
მი ტელეფონის მოხსნას ნიუ-იორკის ბინიდან და
აქ, სოფელში დადგმას, სადაც ის თურმე *მართლა*
მჭირდება! ერთადერთი ქალია ალბათ მსოფლიოში,
უხილავი ხაზგასმებით რომ წერს წერილებს... საყ-
ვარელი, საყვარელი ბესი! ყოველკვარტალურად,
დღე-დღეში ვიღებ მისგან წერილებს და შანსი არაა,
ხუთასი სიტყვა მაინც არ ეძღვნებოდეს საკითხს,
თუ რაოდენი ფულის *ფლანგვაა* ყოველთვიური გა-
დასახადი იმ ტელეფონისათვის, რომლითაც *აღარ-*
ავინ სარგებლობს. არადა, როცა კი ქალაქში ვარ,
საათობით ვესაუბრები ხოლმე ჩემს ძველ მეგობარს
– სიკვდილის ღმერთ *იამას* და ტელეფონის გარეშე
ეს ხომ უბრალოდ შეუძლებელი იქნებოდა! მოკ-
ლედ, ასეა თუ ისე, გადაეცი, რომ მტკიცედ ვდგა-
ვარ. ბოლო-ბოლო, მიყვარს ეს ძველი ჯაბახანა და
რა ვქნა. ბესის მთელს კიბუცში ეს ერთადერთი რამ
ნივთი იყო, რასაც მე და სიმორი საკუთრად მივით-
ვლიდით. ესეც არ იყოს, სატელეფონო წიგნში თა-
ვად სიმორის ხელით გაკეთებულ მინაწერებს რომ
ვკითხულობ, სულიერ სიმშვიდესავით მეუფლება
რაღაც. ვზივარ და აუჩქარებლად ვათვალიერებ
ხოლმე ფურცლებს ასო გ-ზე. იქნება შენც უთხრა
– ოღონდ ისე, ფრთხილად შეაპარე; ასევე, იქნებ
ცოტა უფრო ალერსიანად მოეპყრო ჩვენს ბესის,

ზუი – იმიტომ კი არა გთხოვ, რომ ჩვენი დედაა, უბრალოდ, გადაიღალა და სადღაც ოცდაათი წლის მერე თავადაც დაგაწვება წლები და მიხვდები ყველაფერს. ოღონდ ცოტა ახლაც სცადე. არ შეიძლება ისე ექცეოდე, როგორც ვინმე მაგარი ბიჭი თავის პარტნიორს ცეკვის დროს. ესმის, განა არა, ყველაფერსაც ხვდება, ოღონდ სენტიმენტების გარეშე ცხოვრება არც მას შეუძლია – იმ ჩვენი ლესისა არ იყოს.

ტელეფონის ზემოხსენებულ პრობლემას თუ არ ჩავთვლით, მთელი წერილი მაინც უფრო შენ გეძღვნება: უნდა მოგწერო, რომ „მთელი ცხოვრება წინა გაქვს“ და რომ „დანაშაულია, შენისთანა ვინმემ სადოქტორო ხარისხის ძიებაზე აიღოს ხელი“ – ყოველ შემთხვევაში, სამსახიობო კარიერის დაწყებამდე მაინც უნდა მოასწრო ეს ამბავი. აი, იმას აღარ იწერება, რა განხრით ვარაუდობს ამ შენს სამეცნიერო აღმასვლას, ოღონდ, მე თუ მკითხავ, ბერძნული ტექსტების ზუთხვას ისევ მათემატიკა გერჩივნოს, შე წიგნის მავნე ჭიავ, შენა! მოკლედ, მე ისე მესმის, უნდა, რომ რაღაც საყრდენი გქონდეს ცხოვრებაში, თუკი მსახიობი არ გამოვიდა შენგან. იქნებადა მართალსაც ამბობს, მაგრამ მე არა ვარ იმის კაცი, ასეთი რამ გიჩიჩინო. ახლა თითქოს მთელს ჩვენს ოჯახს და საკუთარ თავსაც ჭოგრიტის მეორე ბოლოდან ვაკვირდები: წარმოგიდგენია, ამ დილით საფოსტო ყუთთან ვიდექი

და თავს ვიმტვრევდი, ვინაა ეს ბესი-მეთქი! ოღონ-დაც თავის სამართლებელი კი მაქვს, გაგიხარია: უფროსჯგუფელებმა ლიტერატურულ კომპოზი-ციაში ჩამაბარეს ნამუშევრები – 38 მოთხრობა და ახლა მთელი ეს შაბათ-კვირა მაგათ ნაცოდვილარს უნდა ვუკირკიტო. გული მიგრძნობს – მათგან 37 საბრალო პენსილვანიელ ლესბოსელზე იქნება, რომელიც წერის წერას აუტანია, ე.ი. პირველ პირ-ში მოთხრობილი და თანაც – იქაურ კილოკავზე! ღმერთო შემეწიე.

მოგეხსენება, მთელი ამ წლების განმავლობაში, რაც მსუბუქი ყოფაქცევის ლიტერატორივით ვიც-ვლი კოლეჯებს, ბაკალავრის ხარისხი მაინც ვერ ავიღე. დიდი ხნის ამბავია, მაგრამ მაინც მგონია, ამას ორი თავმიზეზი გააჩნია (წყნარად იჯექი, ნუ ცქმუტავ – ბოლო-ბოლო, რა ხშირად მე'გწერ წერი-ლებს): ჯერ ერთი, ისეთი სნობი გავხდი, მხოლოდ „ჭკუის კოლოფების“ წამყვანსა და ინგლისური ლი-ტერატურის სამარადჟამო კურსდამთავრებულს რომ ეკადრება; შესაბამისად, არც არავითარ ხა-რისხებს არ გამოვკიდებივარ – ეგ სიკეთე ათას უნიგნურ მოკალმეს, სატელევიზიო მიმომხილველ-სა თუ სერტიფიცირებულ პედაგოგ-მასწავლებელს უდევს ჯიბეში; მეორეც, სიმორმა იმ ასაკში გაინაღ-და დოქტორობა, სხვებს რომ ჯერ სკოლა არ დაემ-თავრებინათ – მას მაინც ვერაფრით დავეწეოდი. და საერთოდ, შენი ხნისა, დარწმუნებული ვიყავი,

მასწავლებლობას ვერავინ მაიძულებდა და თუ-კი ჩემი მუზა ვერ გამატანინებდა თავს, წავიდოდი და ბუკერ თ. უოშინგტონივით[1] დავიწყებდი სად-მე ლინზების თლას. რამე რომ იყოს, არც დიდად ვნაღვლობ, აკადემიური კარიერა რომ არ ამეწყო. მხოლოდ ძალიან შავ დღეებში ვფიქრობ ხოლმე, ხომ არ ჯობდა, დროზე მიმეღო უფლება, ერთი-ორი ხარისხი მიმეწერა საკუთარი გვარ-სახელის წინ, მაშინ არც ამ სრულიად უიმედო კურსთან მექნე-ბოდა საქმე. თუმცა, რა იცი – იქნებადა ყველაფერი წინასწარვე ჩაწყობილი ამბავია და ყველა ჩვენ, ასე ვთქვათ, პროფესიონალი ესთეტები, სწორედ იმ სიტყვაკაზმულ, აკადემიურ აღსასრულს ვიმსახუ-რებთ, რაც ჩვენივე გზის ბოლოს გველოდება.

რამე რომ იყოს, არც ის მგონია, შენი ბედ-იღ-ბალი ბევრად განსხვავდებოდეს ჩემისაგან, და არც მთლად ბესის მხარე მიჭირავს; ოღონდ ერთი კია – თუკი ხვალინდელი დღე გადარდებს, ეგ შენი დიპლომი იმის საშუალებას მაინც მოგცემს, სოფ-ლის სკოლასა თუ რომელიმე მიგდებულ კოლეჯ-ში დაიკავო მათემატიკის მასწავლებლის ადგილი. მეორე მხრივ – ეგ ტკბილხმოვანი ძველბერძნული არაფერში გარგია (ყოველ შემთხვევაში, წესიერ უნივერსიტეტში მაინც), თუკი დოქტორის ხარისხი არა გაქვს – რას იზამ, ასეთია აკადემიური წრეების ცხოვრება. მოკლედ, პრობლემა ისაა, მე და სიმორ-

---

1 *XIX-XX ს. ამერიკელი ზანგი საზოგადო მოღვაწე.*

მა უფანიშადები, ალმასის სუტრა, მაისტერ ეკჰარტი და ათასი სხვა ჩვენი საყვარელი წიგნი რომ მოგაჩეჩეთ ბავშვს საკითხავად! შენისთანა მსახიობი კი მართლა მსუბუქად უნდა დაიარებოდეს და ამგვარი რამეებით თავი არ ჰქონდეს გამოტენილი. მაგალითისთვის – არ ვიცი, იცი ეს თუ არა – მე და ს. ერთხელ ჯონ ბერიმორს[1] შევხვდით – მაგარი ჭკვიანი ვინმე იყო და მაგის მოსმენაც ერთ რამედ ღირდა, ოღონდ უნივერსიტეტები არ დაუმთავრებია, არავითარი ხარისხი მაგას არ ჰქონია და არც დარდობდა. ამას იმიტომ გიყვები, ამას წინათ ერთ ჭიფხია აღმოსავლეთმცოდნეს შევხვდი; უცებ მეტად ღრმააზროვანი, ლამის მეტაფიზიკური დუმილი ჩამოვარდა სუფრაზე და ვეუბნები, – ჩემი უმცროსი ძმა ცალმხრივი სიყვარულის იარებს *მუნდაკა უპანიშადის* ძველბერძნულად თარგმნით იშუშებდა-მეთქი... ლამის ჩაბჟირდა სიცილით.

აი, ერთი ის მაცოდინა, როგორი მსახიობი დადგება შენგან! ნიჭი დაბადებით დაგყვა – ამას ბესიც არ უარყოფს; გარეგნობას რაც შეეხება, შენ და ფრენი ხართ მთელ ჩვენს ოჯახში, მართლა ლამაზები რომ შეიძლება გიწოდოთ კაცმა. ოღონდ ერთი ის მიბრძანე, სად აპირებ თამაშს? კინოში? მერედა, რა გამოვა მანდედან? წონაში მოიმატებ და მყის ერთ ჰოლივუდურ ყალიბში ჩამოგასხამენ – მაგარი დამრტყმელის, მისტიკოსის, განგსტერის, ჩაგრუ-

---

[1] *ამერიკელი მსახიობი.*

ლის, კოვბოის, ნამუსიანი კაცისა და ა.შ. და ა.შ. – გინდა ეგეთი? ან იქნებ რამე უფრო ამაღლებულს გამოჰკრა ხელი – zum Beispiel,[1] პიერ ბეზუხოვი გეთამაშა ან ანდრეი ბოლკონსკი ეკრანიზებულ „ომსა და მშვიდობაში“ – სადაც ყველაფერს აჩეხ-დაჩეხავენ იმ საბაბით, მთავარი ბატალური სცენ-ებია, ლიტერატურა და მთელი ეს ფსიქოლოგიური ბაზარი კი „ეკრანში არ ჯდებაო“. ნატაშას როლზეც ანა მანიანის შეარჩევენ (ვითომ ეკრანიზაციის-თვის მეტი ბუნებრიობის მისაცემად), ალალბედზე დმიტრი პოპკინის მუსიკას შეარჩევენ, აქაოდა რუსიაო, და გავლენიანი ბიძაკაცებიც მრავალ-მნიშვნელოვნად შეიჭმუხნიან შუბლს დიდი ემოცი-ური სტრესის გამოსახატად... მსოფლიო პრემიერა გაჩახჩახებულ ზამთრის ბაღში გაიმართება. ცხა-დია, მოლოტოვი და მილტონ ბერლი დაესწრებიან და მოწვეულ ზეპურ საზოგადოებასაც პირადად მიეგებება გუბერნატორი დიუვი (ამ საზოგადო-ებაში, რა თქმა უნდა, ტოლსტოის ერთგულ თაყვა-ნისმცემლებს ვგულისხმობ – სენატორ დირკსენს, ზა ზა გაბორს, გეილორდ ჰაუზერს, ჯორჯი ჯესელს და სხვებს). როგორ მოგეწონება? და თუკი თეატ-რში ჩარჩი, იქ რა გელის? „ალუბლის ბაღის“ თუნ-დაც ერთი რიგიანი დადგმა მაინც თუ გახსოვს ამ ბოლო ხანებში? ახლა არ მითხრა, მახსოვსო. იქნებ *არაჩვეულებრივი* და *თანამედროვე* ბევრიც იყოს,

---

[1] *მაგალითად (გერმ.).*

მაგრამ მართლა კარგი დადგმა? შანსი არ არის! ძირითადად, „ჩეხოვის მიხედვით“ დგამენ, თავად ჩეხოვს კი იქ ახლოსაც არ გაუვლია... მაპატიე ეს ჩემი პესიმიზმი, ან თუნდაც მრავალსიტყვაობა, მაგრამ ძაან კი ვდარდობ შენზე: კარგად მახსოვს, რა სატანჯველი იყო შენ გვერდით თეატრში ჯდომა – იმდენს ითხოვ ფიცარნაგზე გამართული სანახაობისგან, რაც მასზე არანაირად არ ეტევა! იქნებ ცოტა უფრო საღად შეხედო ყველაფერს.

ისე, დღეს თავისუფალი ვარ. ეს ბოლო სამი წელია – სიმორის თვითმკვლელობის მერე – რაც ნაღდი ნევრასთენიკის დღიურს ვავსებ. არასოდეს მითქვამს შენთვის, როგორ გავემგზავრე ფლორიდიდან მის ჩამოსასვენებლად? ჯერ იყო და, თვითმფრინავში მთელი ხუთი საათი ღაპაღუპით მდიოდა ცრემლები და კიდე კარგი, გვერდით არავინ მეჯდა; მაგრამ, რად გინდა – დაფრენამდე ხუთი წუთი იქნებოდა დარჩენილი, უკანა სავარძლებიდან რომ პირწმინდად ბოსტონური დაყენებული ტონით ნათქვამს მოვკარი ყური: „და მეორე დღეს კი – წარმოგიდგენიათ? – მთელი სინჯარა ჩირქი ამოქაჩეს ამ მშვენიერი ლამაზი სხეულიდან...“ მეტი არაფერი მახსოვს, ოღონდ ტრაპი რომ ჩავირბინე და იქ ახლა გულმოკლული ქვრივი დავინახე ბერგდორფის სალონში სპეციალურად მისთვის შეკერილ შავებში გამოწყობილი, სახეზე ისეთი ღიმილი დამედო, ამ წრეგადასულ ურვა-ვაებას არანაირად რომ არ

ეკადრებოდა. აი, ახლაც ამგვარი უცნაური გრძნობა მეუფლება – თითქოს სადღაც აქვე, გვერდზე სახლში პოეტი დაიბადა, მეორეში კი – *ვიღაცის ნეშტიდან მხიარულად იღებენ ერთ ჭიქა ჩირქს*, და ხომ არ შემიძლია, სულ ასეთ დღეში ვიყო – ხან გულს ვასკდებოდე და ხანაც ჩამესმოდეს – *იხარეთო!*

წინა თვეს დეკანი ტრაკსონი (მარტო ამ სახელის გაგონებაზე ფრენის თავისი ემართება ხოლმე) ღიმილიანი სახითა და ხარის ტყავის მათრახით მომადგა და ახლა იძულებული ვარ, ყოველ პარასკევ დღეს ფაკულტეტის პროფესურას, მათ ცოლებსა და რამდენიმე ძაან-ძაან ღრმააზროვნად მაცქერალ უფროსკურსელს ვუკითხო ლექცია ძენ-ბუდიზმისა და მაჰაიანა ბუდიზმის თაობაზე. ეჭვი არაა, ეს გმირობა ჯოჯოხეთში მაინც გამინაღდებს აღმოსავლური ფილოსოფიის კათედრას! მთავარი ისაა, რომ ახლა უნივერსიტეტში ხუთ დღეს ვატარებ ოთხის ნაცვლად და კიდევ ღამღამობითაც ვმუშაობ და კვირაობითაც – რაღაცა აზრიანზე ფიქრის დროც კი არ მრჩება. მთელი ამ ჩემი ვაი-ვიშიდან ახლა ის დასკვნა შეგიძლია გამოიტანო, რომ ყოველ თავისუფალ წუთს სულ შენსა და ფრენიზე ვფიქრობ, ეს კი არც ისე ბევრია... მოკლედ, აი, რისი თქმა მინდოდა: ბესის არავითარი კავშირი არა აქვს იმასთან, მე რომ ახლა სულ საფერფლეებითა ვარ გარშემორტყმული და ისე გწერ წერილს. თვითონ კვირა არ გავა, რაიმე ახალი არ შემატყობინოს

თქვენ შესახებ, მე კიდე ვზივარ აქ და თითის განმძრევი არა ვარ. მაგრამ არც ესაა მთავარი. იმის თქმა მინდა, რა ამბავი შემემთხვა დღეს ჩვენს სუპერმარკეტში (არა, ახალი აბზაცით დაწყებას არ ვაპირებ, ამით მაინც გცემ პატივს); მოკლედ, ხორცის დახლთან ვდგავარ – ველოდები, სანამ ცხვრის ნეკნებს დამიჩეხავენ და გვერდით ვიღაც ახალგაზრდა დედიკო ამომიდგა – ოთხიოდე წლის გოგონა ახლდა თან. ის კიდე, უსაქმოდ ყოფნისგან თავგაბეზრებული, ვიტრინას მიეყრდნო და ჩემს გაუპარსავ სიფათს ათვალიერებს. ვეუბნები, შენისთანა ლამაზი გოგო დღეს საერთოდ არ შემხვედრია-მეთქი. შეიფერა. მერე ვეუბნები, საქმროები ალბათ ბუზებივით გახვევია-მეთქი. პასუხად ორი თითი ამიწია. რა ამბავია-მეთქი, ვეუბნები – ორი?! და რა ჰქვიათ? ის კიდე თამამად, ისე მპასუხობს, წკრიალა ხმით: „ბობი და დოროთი!“ ქაღალდში გამოხვეულ ხორცს დავავლე ხელი და დავგაზე. აი, სწორედ ამან მაიძულა, წერილი მომეწერა შენთვის, და არა ბესის გაუთავებელმა თხოვნებმა სამეცნიერო ხარისხებისა თუ სამსახიობო კარიერის თაობაზე. და კიდევ, იცი, რამ? იმ ჰაიკუმ, რომელიც სასტუმროს ნომერში ვიპოვე – აი, სადაც ს.-მ მოიკლა თავი. პაწაწკინტელა ლექსი საშრობი ქაღალდის ნაგლეჯზე იყო მიწერილი ფანქრით: *ციდა გოგონამ თვითმფრინავში არც შემომხედა – / მხოლოდ თოჯინას / მოუტრიალა თავი ჩემკენ... ეს* ორი ბავშვი მახსენდებოდა, მანქა-

ნით რომ გამოვდიოდი სუპერმარკეტის სადგომი-
დან და სწორედ მაშინ გავიფიქრე – ახლა მაინც მი-
ვწერ-მეთქი, რამ გადაგვაწყვეტინა მე და ს.-ს, შენი
და ფრენის აღზრდა-განათლებისათვის მოგვეკიდა
ხელი, თანაც ასე ადრეულ ასაკში და ასე ბეჯითად.
ადრე ამის ახსნა თავშიც არასოდეს მოგვსვლია და
ვგონებ, ახლა მაინც დადგა მაგის დრო; ოღონდაც
– შევძლებ კია? აღარც იმ გოგონას სახე მახსოვს
და ვეღარც იმ თოჯინის გამომეტყველება წარმო-
მიდგენია... ამას ის მუდმივი შიშიც დაურთე, ვაითუ
ოდესმე პროფესიონალი მწერალი გავხდე-მეთქი,
და საწერ მაგიდასთან მიახლოების სურვილიც კი
მიქრება. არადა, მეჩვენება, რომ აუცილებელია
თუნდაც ვცადო მაინც, იმდენად მნიშვნელოვანია
ეს ყველაფერი.

ეს ასაკობრივი სხვაობები ხომ მუდამ დამატებით
პრობლემებს გვიჩენდა ოჯახში. სიმორსა და ტყუ-
პებს, ან თუნდაც ჩემსა და ბუ-ბუს შორის ეს არც
ისე საგრძნობი იყო, ოღონდ წყვილებში – შენ და
ფრენი, მე და სიმორი – ეს უკვე აშკარად იჩენ-
და ხოლმე თავს. თქვენ რომ კითხვა ისწავლეთ, იმ
დროისათვის ს.-ს კოლეჯიც დამთავრებული ჰქონ-
და. ტყუპებისა და ბუ-ბუსაგან განსხვავებით, მაშინ
არც გვიფიქრია, ჩვენი საყვარელი კლასიკოსები
თქვენთვის მოგვეხვია თავს – ეჭვი არ გვქონდა,
შემეცნებისათვის დაბადებულს უვიცად ვერ და-
ტოვებ, ოღონდ გულისგულში იმისაც გვეშინოდა,

უნივერსიტეტების დერეფნებში მობოდიალე ზუთ-ხვია ფრიადოსნებისა და გონგამშრალი ტვინიკოსე-ბის ლეგიონს არ შემატებოდით. მთავარი, მართლა მთავარი კი ისაა, რომ ორივემ, მეც და სიმორმაც, გავიაზრეთ – განათლება ცოდნის ძებნით კი არ უნდა დაიწყო, არამედ იმით, რასაც ძენ-ბუდიზმის მიმდევარი *არცოდნის ძიებას* დაარქმევდა. დო-ქტორ სუძუკის თქმით, წმინდა გონების მდგომარე-ობის – *სატორის* მიღწევა იმას ნიშნავს, უფლი-სა თანა იმყოფებოდე იმ დროს, როცა მას ჯერ კიდევ არა აქვს ნათქვამი – „იყავნ ნათელი!" მე და ს. ვფიქრობდით, არც ისე ცუდი იქნებოდა, სანამ შეგვეძლო, ეს ნათელიცა და ბევრი სხვა სინათლის ეფექტიც – ხელოვნება, მეცნიერება, კლასიკოსები, უცხო ენები – ცოტა ხანს მაინც შორს დაგვეჭირა თქვენგან; ყოველ შემთხვევაში, მანამდე მაინც, სა-ნამ თავად ამ ნათლის წყაროს არსებობას არ გაიაზ-რებდით. იმასაც ვეჭვობდით, რამდენად ვარგისი იქნებოდა, რომ *თუნდაც* (ეს უკვე იმ შემთხვევაში, თუკი ჩვენივე „შეზღუდულობა" გადაგვიდგებო-და წინ) იმ ცოდნის თაობაზე მაინც მოგვეთხრო თქვენთვის, რაც სხვებს – წმინდანებს, არქატებს, ბოდჰისატვებსა თუ რინდებს ჰქონდათ; გვინდოდა გცოდნოდათ, ვინ იყვნენ იესო და გაუტამა, ლაო-ძი და შანკარაჩარია, ხოი-ნენი და შრი რამაკრიშნა თუ სხვები და სხვები... ანუ – ეს ყველაფერი მანამდე გაგეგოთ, სანამ ჰომეროსით, შექსპირით ან თუნ-

დაც ბლეიკითა და უიტმენით დაინტერესდებოდით – ნიუტონსა და მის ვაშლის ხეზე აღარას ვამბობ, ან – ნახევარკუნძულის განმარტებას დაიზუთხავდით, ან წინადადების სინტაქსურ ანალიზს გაუგებდით გემოს. ასეა თუ ისე, სწორედ ამგვარი გახლდათ ჩვენი ეს ბრძნული ჩანაფიქრი, თუმცა კი იმასაც ვამჩნევდით, რამდენად გემწარებოდათ ეგ საშინაო „სემინარები" და, განსაკუთრებით, მეტაფიზიკური სეანსები. იქნებ როდისმე ერთი ლაზათიანად გამოვთვრეთ და ყველაფერ ამაზე დავილაპარაკოთ კიდეც. ახლა კი მარტო იმას გაგიმხელ, რომ არც ს.-სა და არც მე შენი მომავალი მსახიობობა ფიქრადაც არ გაგვივლია. იქნებ უნდა გვეაზრა კიდეც, მაგრამ – არაფერი მსგავსი. სხვა შემთხვევაში, ს. აუცილებლად ამ განხრით გააჩაღებდა თავის საგანმანათლებლო მუშაობას (ბოლო-ბოლო, რაღაც ნირვანის მიღწევის კურსისდაგვარს გამოჩხრეკდა დამწყებ მსახიობთათვის – ეგეთიც ექნებოდათ ძველ აღმოსავლეთში). რამე იყოს, ახლა მაინც დროა, ეს პარაგრაფი დავხურო, რაღაც ენა ამიქაფდა. თუმცა იქნებ არც მოგეწონოს, რის თქმასაც ახლა ვაპირებ, მაგრამ რა ვქნა, ასეა საჭირო. ხომ იცი, ჯოჯოხეთის გზა კეთილი სურვილებითაა მოკირწყლულიო, და მეც წესად მედო, შიგადაშიგ მაინც მომეკითხა, როგორ მიდიოდა შენი და ფრენის საქმეები. შენ უკვე თვრამეტისა იყავი და იმდენად აღარც მადარდებდი, თუმც კი ერთმა ცხვირწაგრ-

ძელებულმა ჭორიკანამ ენა მომიტანა, მთელ სტუ-
დენტურ საცხოვრებელში სახელი იმით დაიგდო,
ხანდახან ათ საათს წაწყობილად ზის ხოლმე მედ-
იტაციაშიო. აი, ამან კი დამაფიქრა. ოღონდ ფრენი
ხომ სულ ცამეტისა იყო მაშინ და მაინც ვერაფრით
ვაიძულე თავი, სახლს მოვბრუნებოდი. არა, იმის
კი არ მეშინოდა, მაქს მიულერის „აღმოსავლეთის
წმინდა წიგნების" ტომებს ერთიანად გადამახე-
ვდით თავზე (ამას იქნებ მაზოხისტური სიამეც კი
მოენიჭებინა ჩემთვის), არამედ იმის, შეკითხვების
დასმა არ დაგეწყოთ – ეს ყოველგვარ ბრალდებებ-
ზე უარესი მეჩვენებოდა. როგორც მახსოვს, მთე-
ლი წელი გავიდა, სანამ დასაფლავების მერე კიდევ
ჩამოვიდოდი ნიუ-იორკში. მერე უკვე ადვილი იყო –
დაბადების დღეებსა და არდადეგებზე – აკი წინას-
წარ ვიცოდი, რა შეკითხვებსაც დამაყრიდნენ: ახალ
წიგნს როდის ამთავრებო, თხილამურებზე სრიალს
თუ აპირებო... ლაპარაკსაც ვინ გვიშლიდა, რა –
ოღონდ *ამაზე* სიტყვა არასოდეს დაგვიძრავს. დღეს
კი პირველად მომინდა ამაზე საუბარი. არადა, რაც
მეტს ვწერ, მით მეტად მიჭირს, საკუთარი მოსაზ-
რებები დავასაბუთო. ოღონდ გეფიცები, იქ – იმ სუ-
პერმარკეტში – დღეს, მართალია, მცირედ, მაგრამ
მაინც, თითქოს გონება გამინათდა, როცა ბავშვმა
მითხრა, ჩემს საქმროს ბობი და დოროთი ჰქვიათო:
სიმორმა მითხრა ერთხელ – გინდ დაიჯერე, გინდა
არა, ავტობუსში იყო ეგ ამბავი – ნებისმიერი სარ-

წმუნოების სწორ შესწავლას ყოველგვარ განსხვავებათა მოჩვენებითობის გაგებამდე მივყავართო – ანუ, გოგო-ბიჭის, ცხოველისა და მინერალის, დღისა და ღამის, სიცხისა და სიცივის – სწორედ ეს გამახსენდა ხორცის განყოფილებაში და გავიფიქრე კიდეც, ახლა თუ 100 კმ/სთ სისწრაფით არ გავქანდი სახლში და სასწრაფოდ წერილი არ მივწერე, წასულია საქმე-მეთქი. ახლა კი ვნანობ, რატომ იქვე, დახლთან არ ავიღე ხელში ფანქარი – მეგონა კია, არაფერი დამავიწყდებოდა. არა უშავს, იქნებ ასე ჯობდეს კიდეც. ხანდახან მეჩვენება, შენ დიდი ხანია მიხვდი ყველაფერს და ს.-საც ყველაფერი შეუნდე – ყოველ შემთხვევაში, მეტად, ვიდრე ჩვენ ყველამ. უეიკერმა მითხრა კიდეც შენზე – ახლა მხოლოდ თუთიყუშივით ვიმეორებ მის სიტყვებს – ის ერთადერთია, ვინაც ამ თვითმკვლელობის გამო მართლა განაწყენებული იყო სიმორზე და ასევე ერთადერთი, ვინაც ბოლომდე შეუნდო; სხვები არაფერს ვიმჩნევდით, მაგრამ გულისგულში ვერც გვეპატიებინა ეგო. იქნებ მართალზე მართალი თქვა – აბა, მე საიდან უნდა ვიცოდე? მარტო ის ვიცი, რომ რაღაც კარგისა და სასიხარულოს მოწერას ვაპირებდი შენთვის – სულ რაღაც ერთ ფურცელზე, სახლში კი ყველაფერი ამომივარდა თავიდან და ახლა ერთიღა დამრჩენია: ვწერო და ვწერო, რაც კი რამ გამახსენდება – გინდა სამეცნიერო ხარისხისა და გინდაც სამსახიობო კარიერის თაობაზე. სი-

სულელეა ეს ყველაფერი – ს. ალბათ ჩაიღიმილებდა მხოლოდ და მერე ორივეს დაგვარწმუნებდა, არ ღირს ჩიტი ბდღვნადო...

მორჩა. იმსახიობე, ზაკარია მარტინ გლას, – სადაც გინდა და როცა მოისურვებ – თუკი გრძნობ, რომ ეგაა შენი საქმე, ოღონდ – მთელი ძალით; და თუკი რამე ისეთს შექმნი სცენაზე, რაღაც მშვენიერს, ამაღლებულს, შვების მომტანს, რასაც სახელსაც კი ვერ მოუძებნი – იცოდე, მე და ს. ნათხოვარ სმოკინგებში გამოვეწყობით და შავი ტიტებით ხელში უკანა კართან დაგელოდებით... ასეა თუ ისე, ჩემი სიყვარულისა და მხარდაჭერის იმედი გქონდეს – ნებისმიერი მანძილ/სიშორის მიუხედავად.

ბადი

P.S. როგორც ყოველთვის, ჩემი პრეტენზიები ყოვლისმცოდნეობაზე სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. მაგრამ, სხვებისგან განსხვავებით, სწორედ შენ უნდა დააფასო, როცა რაიმეს ჭკვიანურს ვიტყვი ხოლმე. დიდი-დიდი ხნის წინათ, როცა უკვე მწერლობაზე ვდებდი თავს, ერთხელაც ს.-სა და ბუ-ბუს ჩემი ახალი მოთხრობა წავუკითხე. რომ მოვრჩი, ბუ-ბუმ მოკლედ მოჭრა (თუმც კი სიმორს მაინც გახედა ცალი თვალით): „ჭკვიანურია, მეტისმეტად“. ს.-მა კიდე გაიღიმა და გამომიცხადა – ინტელექტი შენი თანდაყოლილი დაავადებაა, ერთგვარი ხის ფეხი, და ვერაა ლამაზი, ყველას უჩვენ-

ებდეო... მე და შენ კი ორივე ცალფეხები ვართ და მოდი, ზრდილად და კეთილად მოვეპყროთ ერთმანეთსო.

დიდი სიყვარულით, ბ.

ოთხი წლის წინ გამოგზავნილი ამ წერილის ბოლო გვერდი ერთიანად დათხაპნილი იყო და გადანაკეცში – ორ ადგილას, გახეულიც. კითხვას რომ მორჩა, ზუიმ ფრთხილად, რიგისდა მიხედვით დაალაგა ფურცლები, თან მშრალ მუხლისთავებზე უსწორებდა კიდეებს. მერე წარბები მოქუშტა და დაუდევრად – თითქოსდა ბოლოჯერ კითხულობდა – ფურცლები ბურბუშელასავით ჩატენა კონვერტში. ახლა აბაზანის კიდეზე შემოდო და ერთგვარი თამაში წამოიწყო: ხან აქედან, ხან იქიდან წკიპურტს ჰკრავდა და იმის ცდაში იყო, წყალში არ ჩავარდნოდა. ბოლო-ბოლო, ზედმეტი მოუვიდა და სულ წკიპზე მიასწრო. ამით დამთავრდა კიდეც თამაში. გადარჩენილი კონვერტით ხელში, ზუი უფრო ღრმად ჩაჯდა წყალში – ისე, რომ მუხლებიც ჩაემალა. ერთხანს შორენკეცით გაწყობილ კედელს მიშტერებოდა, მერე სასაპნეში ჩარჩენილ სიგარეტს დახედა, აიღო, სცადა მოექაჩა, მაგრამ დიდი ხნის ჩამქრალი აღმოჩნდა. ისევ წამოჯდა და მარცხენა, მშრალი მკლავი ჩამოადო კიდეს. აბაზანის წინ, ფარდაგის ნაჭერზე, აკინძული ხელნაწერი იდო, დასწვდა და კონვერტი შიგ შუაგულში ჩატენა.

მერე ახლა უკვე სველ მუხლებზე დაიდო ხელნაწერი და ფურცვლა დაუწყო. მეცხრე გვერდიდან კი მთლად ჟურნალივით გადაშალა. ვინმე რიკის რეპლიკები ფანქრით იყო მსუქნად ხაზგასმული.

ტინა (უხალისოდ): ვერაფერი ფეხბედნიერი აღმოვჩნდი შენთვის, ეგრეა?

რიკი: მეორედ ეგეთი რამე არ დაგცდეს, იცოდე!

ტინა: და რატომ ვითომ? მართლა უბედურის ერთი ვარ. მე რომ არა, ახლა უკვე სკოტ კინკეიდის ოფისში იჯდებოდი! ღმერთმანი, ყველაფერს ვაფუჭებ (ფანჯარასთან მიდის): ასე მგონია, რაღაც ძაან რთულ პიესაში მიწევს თამაში, მე კი ერთი უბრალო გოგო ვარ, ამდენს ვერა ვხვდები... მე – ეს უბრალოდ *მე* ვარ, მორჩა და გათავდა! (შემოტრიალდება): რიკ, მეშინია! რა გვემართება? თითქოს ჩვენ *ჩვენ* აღარ ვიყოთ. ვეძებ, ვეძებ და ვერ ვპოულობ... მართლა მეშინია. შეშინებული ბავშვივითა ვარ (ფანჯარაში იხედება): წვიმას ვერ ვიტანი. ხანდახან მეჩვენება, მკვდარი ვწევარ-მეთქი წვიმაში.

რიკი (მშვიდად): ჩემო კარგო, ჰემინგუეის ციტირებაც დაიწყე?

ტინა (გაცოფებულია): მომწყდი თავიდან! აღარც დამენახო, თორემ ფანჯრიდან გადავხტები! გესმის შენ?

რიკი (ჩაეხუტება): მომისმინე, ჩემო პატარა ჭკუანაკლულო მზეთუნახავო! სულ ასე ტრაგედიობანა უნდა ითამაშო?

აქ ზუის დედის ხმა გააწყვეტინებს კითხვას – კარებს მიღმა, ვითომ ძალიან საქმიანი და მომთხოვნი: – ზუი? ისევ აბაზანაში ხარ?

– კი, დედა, ეგრეა. მოხდა რამე?

– ერთი წამით შემოვალ, რაღაც საქმე მაქვს

– ღმერთო დიდებულო, აბაზანაშიც აღარ მომასვენებ?!

– სულ *ერთი* წამით, რა გახდა ასეთი – შენც აიღე და ფარდა გამოსწიე!

ზუიმ გამოსამშვიდობებელი მზერა შეავლო გვერდს, მერე ხელნაწერი დახურა და იქვე, იატაკზე დააგდო. – კირიე ელეისონ! როგორია – *„ზოგჯერ მეჩვენება, მკვდარი ვწევარ წვიმაში...“*

წითელი ფერის, დიეზებით, ბემოლებითა და ვიოლინოს გასაღებებით მოხატული ნეილონის ფარდა პლასტმასის რგოლებზე ეკიდა; ზუიმ ერთი მკვეთრი მოძრაობით გადასწია და წინ ჩამოიფარა. – შემოდი, რაკი შენსას არ იშლი! – დაიბუხუნა. მის ხმაში არავითარი ძალდატანება არ იგრძნობოდა, მაგრამ მაინც მეტისმეტად დაბალი სიხშირისა იყო – აკი „ჭკუის კოლოფშიც“ სულ იმას ეუბნებოდნენ, მიკროფონიდან შორს დაიჭირე პირიო.

კარი გაიღო და სააბაზანოში გვერდულად შემოიპარა საშუალოდ ფერხორციანი, თავზე ბადეწაკრული ქალბატონი გლასი. ასაკი მისი არანაირად არ ემორჩილება რაიმე სახის განსაზღვრას, თავზე წაკრული ბადით ხომ – მით უმეტეს; მისი გამოჩენა, როგორც წესი, ერთდროულად ფიზიკურიც გახლდათ ხოლმე და სიტყვიერიც. – არ მესმის, ამდენი ხანი როგორ ძლებ მაგ აბაზანაში! – თქვა და ისეთი სისწრაფით მოიხურა კარი, იფიქრებდით, მთელი თავისი ცხოვრება შთამომავლობის ორპირი ქარისაგან დაცვაში გაატარაო. – ბოლოს და ბოლოს, ეს არც ჯანმრთელობისათვის ვარგა! იცი, რამდენი ხანია, მანდ ზიხარ? ზუსტად ორმოცდახუთი...

– კარგი ახლა, არ გინდა.

– რას ნიშნავს – *არ მინდა?*

– არ გინდა-მეთქი, მორჩა და გათავდა. ნუ მაფიქრებინებ, თითქოს მთელი ეს ხანი კარს უკან იდექი და წუთებს ითვლიდი...

– არავინაც არაფერს ითვლიდა, ჩემო კარგო. – ბესი უკვე საქმიანობდა: ხელში გვარიანი სიგრძის რაღაც პაკეტი ეჭირა, ოქროსფერი თასმით ჯვარედინად შეკრული და ახლა კბილებით ცდილობდა კვანძის გახსნას.

ჩვეულებრივი, ყოველდღიური სამოსი ეცვა – სწორედ ის, რასაც მისმა შვილმა ბადიმ (რომელიც მწერალი კაცი გახლდათ და, კაფკას თქმისა არ იყოს, შესაბამისად – გვარიანი უსიამო ვინ-

მეც) „სიკვდილისწინარე უნიფორმა“ შეარქვა. დიდი არც არაფერი – უბრალო, გაცრეცილი, ერთ დროს კი ლურჯი ფერის იაპონური კიმონო გახლდათ, ჯიბეებდაკერებული, და შიგ ყველა ის ნივთი მოიპოვებოდა, თავგადაკლულ მწეველსა და ხელმარჯვე ოსტატს რომ შეიძლებოდა დასჭირვებოდა მთელი დღის განმავლობაში: ორი-სამი კოლოფი სიგარეტი და ამდენივე ასანთი, სახრახნისი, მონადირის დასაკეცი დანა, ჩაქუჩი, წყლის ონკანის ემალირებული სახელური, კარის ანჯამა და, ასევე, დიდ-პატარა ლურსმნების, ხრახნებისა თუ ჭანჭიკების მთელი გროვა. გასაგები მიზეზების გამო, ყველაფერ ამიანად ქ-ნ გლასის ბინაში გადაადგილება უხმაუროდ ვერა და ვერ ხერხდებოდა, ხოლო მისი ქალიშვილების თხოვნა-მოთხოვნა, ბოლოს და ბოლოს, გადაეყარა ეს ძველმანი, რჩებოდა ხმად მღაღადებელთა უდაბნოსა შინა (ბუ-ბუმ ივარაუდა კიდეც ერთხელ, მაგის სანაგვეზე გადასაგდებად ჯერ დედის გათიშვა მოგვიწევს რითიმეო). მაგრამ ასეა თუ ისე, ეს აღმოსავლური ეგზოტიკა არანაირად არ უშლიდა ხელს ქ-ნ გლასს, გარკვეული შთაბეჭდილება მოეხდინა ნებისმიერ მნახველზე. ისიც უნდა ითქვას, გლასები ერთ ძველ, თუმცა სულაც არაძველმოდურ სახლში ბინადრობდნენ აღმოსავლეთით სამოცდაათიანი ქუჩების მიდამოში, სადაც ხანმოთეულ ბანოვანთა ალბათ ორი მესამედი ბეწვის ქურქებით დაიარებოდა და ამ მხ-

რივ ქ-ნი გლასის სამოსი აშკარად საამო გამონაკ-ლისს წარმოადგენდა ნებისმიერი მიუკერძოებელი მზერისთვის – თუნდაც ამ ტიპურად მანჰეტენურ გარემოცვაში: საქმე ისაა, რომ ჯერ ეს ერთი, იფ-იქრებდით, ეს ქალი არასოდეს გამოდის შინიდანო, და მეორეც – *თუკი გამოვა* – უცილობლად ო'კო-ნელ-სტრიტისაკენ გასწევს, რათა რაღაც სარწმუ-ნოებრივ გაუგებრობაში მოხვედრილ და შავ-ხაკის-ფერთა[1] მიერ დახოცილ საკუთარ (სანახევროდ ირლანდიელებისა და სანახევროდ – ებრაელ) შვი-ლთა ცხედრები გამოითხოვოს მორგიდანო.

ზუიმ უცებ დაეჭვებით გამოსძახა ფარდისმილ-მიდან: – დედა! რას შვრები მანდ?

ამასობაში ქ-ნ გლასს უკვე გაეხსნა პაკეტი და კბილის პასტის კოლოფზე წვრილი ასოებით ნაბე-ჭდ ინსტრუქციას ეცნობოდა მთელი გულისყუ-რით. – ენას კბილი დააჭირეთ, გეთაყვა, – დაუგდო სასხვათაშორისოდ და ახლა პირსაბანის თავზე მიმაგრებულ საოჯახო აფთიაქის კარადას მიადგა. ჯერ სარკიანი კარი გამოაღო და მერე ისე შეათვა-ლიერა გაძეძგილი თაროები, როგორც კარგ ექთანს შეეფერება. მის წინ ფარმაცევტიკულ ყვავილთა ჯარი[2] გამწკრივებულიყო და კიდევ – დიდზე დიდი

---

[1] *ინგლისელთა დამსჯელ რაზმებს ირლანდიაში ორი ფერის ფორმა ეცვათ: შავი – პოლიციის შენაერთებისათვის და ხაკი – სამხედროთათვის.*

[2] *ერთგვარი უგერგილო მინიშნება უორდსუორთის ცნო-ბილ ლექსზე „ნარგიზები“.*

რაოდენობით – სხვა ისეთი ნაკლებმნიშვნელოვანი რამერუმეები, როგორებიცაა იოდი, ბრილიანტინი, ათასგვარი ვიტამინები, ელექსირები, ასპირინი, ინგლისური მარილი, „ჟილეტის" ფირმის საპარსის ორი პირი, კრემები, არგიროლი, მასტეროლი, კუთხემოხეული ფოტოსურათი შავი კატის გამოსახულებით, სამი სავარცხელი, ორი ჯაგრისი, ერთი ფლაკონი ქერტლის საწინააღმდეგო სითხე, ერთი გლიცერინის სანთლების კოლოფი, ბოთლი შამპუნი, ექვსი ნაჭერი საპონი, პოპულარული მიუზიკლის 1946 წლის დადგმის სამი გადახეული ბილეთი, დეპილატორი, „კლინექსის" ქაღალდის ცხვირსახოცების შეკვრა, ორი ზღვის ნიჟარა, ორი ქილა სარეცხი პასტა, სამი მაკრატელი, ფრჩხილების ქლიბი, ნაოჭების გასასწორებელი მალამო, წარბების ამოსაქნელი პინცეტი, ქალის მოოქრული საათი (დაშლილი) და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. ქალბატონმა გლასმა მაღლა გაიწვდინა ხელი, რაღაც ჩამოიღო თაროდან და ნაგვის ყუთში გადაუძახა. – იცოდე, აქ გიდებ ახალ კბილის პასტას, ხალხი ჭკუას კარგავს ამაზე (თქვა და კოლოფი თაროზე შემოდო) – შენ გარდა ვიღა ხმარობს მაგ ფხვნილს! მაგისაგან მთელ მინანქარს ჩამოიცლი შენი ჩაწიკწიკებული კბილებიდან და, საერთოდ, თავს უნდა გაუ...

– და ვინ ამბობს მაგას? – ფარდის იქიდან წყლის აღშფოთებული გაშხლაპუნების ხმა გაისმა. – ვინა თქვა, მაგისაგან მინანქარი სძვრება კბილებსო?

– მე გეუბნები, – ქ-ნმა გლასმა ბოლო კრიტიკული მზერა შეავლო თაროებს, – მოკლედ, იხმარე. და აღარ შემიძლია შენთან ყველაფერზე დავა. – მერე თითის წვერით გაასწორა საერთო რიგიდან რატომღაც წინ გამოწეული შამპუნის ბოთლი და კმაყოფილმა სარკიანი კარიც მიხურა. ოღონდ ახლა ონკანი მოუშვა: – დიდად საინტერესოა, ვინ იბანს აქ ხელებს და მერე არც კი მოასუფთავებს აქაურობას, – თქვა მკაცრად, – თითქოს ყველანი ზრდასრული ხალხი კი ვართ ოჯახში... – წყლის ჭავლს მოუმატა და ცალი ხელით სწრაფად მორეცხა პირსაბანი. – ეჭვი მაქვს, ჯერაც არ გილაპარაკია საკუთარ დაიკოსთან, – თქვა და სახე ფარდისკენ მიატრიალა.

– არა, ჯერაც არ მილაპარაკია ჩემს პაწია დაიკოსთან. იქნებ ახლა მაინც გამანებო თავი?

– და რატომ მერე? – ჩასდია ქ-ნმა გლასმა. – ვერაა კარგი ამბავი, ზუი. ხომ განსაკუთრებულად გთხოვე, წადი და ნახე ერთი-მეთქი.

– ჯერ ერთი, სულ რაღაც საათ-ნახევრის წინ გავიღვიძე. მეორეც, გუშინ მთელი ორი საათის განმავლობაში ველაპარაკებოდი და ერთი ის დავადგინე, რომ სადღეისოდ მაინც არავისთან არ სურს ლაპარაკი. და მესამეც, თუ ახლავე არ გახვალ აქედან, ამ ფარდას ცეცხლს წავუკიდებ, იცოდე! მართლა გეუბნები.

ამ ჩამონათვალის სადღაც შუაში ქ-ნი გლასი უკვე აღარც უსმენდა. იქვე ჩამოჯდა და გააბა

თავისი, ლამის მოვკლა ბადი, ტელეფონი რომ არ დაიდგა! როგორ შეიძლება, კაცს არც ტელეფონი გედგას და არც არაფერი? ეჭრება ვინმე სახლში თუ რა? მთლად ასე განდეგილივით ცხოვრება გაგონილა? – მხრები აიჩეჩა და ფეხი ფეხზე შემოიდო. – რამე რომ იყოს, სახიფათოცაა – ვთქვათ და, ფეხი მოიტეხა, ან რამე ეგეთი. ვინ მიხედავს?

– კარგი ერთი, რა სჭირს მისახედი? მისი ფეხის მოტეხა უფრო გადარდებს, თუ ტელეფონზე რომ ვერ ურეკავ, როცა თავად მოგეპრიანება?

– ერთიცა და მერეც! რაა აქ გასაკვირი?

– შეეშვი, ტყუილად კარგავ დროს. სულ აგრევია ჭკუა, ღმერთმანი! რა, ბადის აღარ იცნობ?! ოც კილომეტრზე რომ შებოდიალდეს იმ ტყეში, ორივე ფეხი რომ მოიტეხოს და კიდე ისარიც გაურჭონ ზურგში, მაინც მიფორთხდება უკან – ემანდ ვინმე ხომ არ შეიპარა სახლში და კალოშები ხომ არ ამწაპნაო! – ფარდის იქიდან რაღაც დემონური სიცილისმაგვარი მოისმა. – დამიჯერე, საკმარისად ფრთხილია იმისათვის, რათა უაზროდ არ დაიღუპოს თავი.

– *არავითარ დაღუპვაზე* სიტყვაც არ მითქვამს, – ქალბატონმა გლასმა, რატომღაც, ბადე გაისწორა თავზე, – მთელი დილაა, მის ქუჩის გადაღმა მეზობლებს ვურეკავ, კაცი არ იღებს ყურმილს. რამდენი ვეხვეწე, ის ტელეფონი დაიდგი, შენ და სიმორს რომ გედგათ ოთახში-მეთქი – გაგიგონია? მართლა რო

რამე დაემართოს, კაცი არაა ამბის გამგები! გუშინ საღამოს ორჯერ ვცადე და დღეს დილითაც – ერთი ოთხჯერ მაინც!

– და რა მერე? ვიღაც უცხო ხალხი რატო უნდა არბენინო აქეთ-იქით – ამბის გასაგებად?

– არავინ არავის აქეთ-იქით არ არბენინებს, ზუი. და საერთოდ, სიტყვას ნუ მიბრუნებ, თუ შეიძლება! რამე რომ იყოს, *მართლა ძალიან* მაღელვებს ფრენის ამბავი. და ბადისაც უნდა გავაგებინო. შეიძლება, ეწყინოს კიდეც, თუკი დავუმალავ, რომ...

– კეთილი და პატიოსანი, ოღონდ ის მაინც მითხარი, რაღა მეზობლებს ანიოკებ, კოლეჯში ვერ დაურეკავ? დღის ამ დროს სხვაგან განა სად უნდა იყოს?

– ახლა ხმასაც ნუ მიმაღლებ, თუ შეიძლება! ყურს ჯერ არ დამკლებია. მოგახსენებთ, რომ კოლეჯშიც დავურეკე უკვე, მაგრამ კარგად ვიცი, აქედან მაინც არაფერი გამოვა: კაბინეტში დაუტოვებენ წერილს – მავანმა დაგირეკაო, ის კიდე არც დახედავს ზედ. – მერე უცბად დაიხარა, ხელი წაიგრძელა და სარეცხის კალათიდან რაღაცა ამოიღო. – ღრუბელი დაგავიწყდა? – გასძახა ისევ.

– ერთადერთი, რაც არ მავიწყდება, რომ მინდა, ჩემთვის წყნარად ვიყო აბაზანაში! ფერხორციანი ირლანდიელი ვარდების ცვენას თუ ვინატრებ, პირველი შენ იქნები! ახლა კი მოუსვი აქედან.

– ზუი, – ვითომც არაფერი გაუგონიაო, ჰკითხა ქ-ნმა გლასმა, – ხელში ღრუბელი მიჭირავს და

მაინტერესებს, გჭირდება თუ არა? ან ჰო მითხარი, ან – არა.

– ღმერთო, შენ მიშველე! კი, მჭირდება, ნამდვილად, აუცილებლად, კი! გადმომიგდე!

– არაფერსაც არ გადმოგიგდებ. წყნარად და მშვიდად *მოგაწოდებ*. თქვენს ნებაზე რომ მიგიშვათ კაცმა, სულ რაღაცების სროლას დაიწყებთ ამ ოჯახში. – ქ-ნი გლასი წამოდგა, სამი გამოზომილი ნაბიჯი გადადგა ფარდისაკენ და დაელოდა, სანამ უსხეულო ხელი გამოიწვართებოდა იქითა მხრიდან.

– მადლობელი, დიდად. ახლა კი აუდე აქედან! ათი ფუნტით მაინც შევიფერთხე შენი წყალობით.

– რა გასაკვირია, რა, ზიხარ მანდ წყალში გალურჯებამდე და... ე-ეს რაღაა? – ქ-ნი გლასი ძირს დაგდებულ ხელნაწერს დასწვდა. – ლესაჟის გამოგზავნილი სცენარია? და ასე *იატაკზე* უნდა ეგდოს? – პასუხი არავის გაუცია. ასე ევას შეეძლო ეკითხა კაენისთვის – ემანდ შენი ახალი თოხი ხომ არ დაგრჩენია გარეთ, წვიმაშიო.

– გადასარევი მოსახერხებელი შესანახი ადგილი კი გიპოვია ხელნაწერისთვის, ნამდვილად. – დიდის სიფრთხილით წაიღო ფურცლები და რადიატორზე დაალაგა, ფანჯარასთან. მერე შეათვალიერა – თითქოს ამოწმებდა, ხომ არ დასველებულაო. ჟალუზი დაშვებული იყო, რადგან ზუი მაინც ჭერზე დაკიდებული ნათურის სინათლეზე კითხულობდა ხოლმე, მაგრამ მთლად ძირიდან დაჭიატებული

მზის ერთი სხივი მაინც დაეცა პირველ გვერდს. ქ-ნმა გლასმა ერთდროულად თავიც გადახარა გვერდზე – სათაურის უკეთ წასაკითხად, და მარჯვენა ხელით ჯიბიდან გრძელი სიგარეტების კოლოფიც გააძრო. „გული *ჩემი – შემოდგომით მოხეტიალე...*“ – წაიკითხა ხმამაღლა, დაფიქრებით. – დი-იდი უცნაური სათაურია, ღმერთმანი.

საშხაპიდან პასუხმა ცოტათი დააგვიანა, მაგრამ მერე მაინც გაისმა აშკარად დაინტრიგებული ხმა: – როგორიო? რა, არ მოგეწონა?

მაგრამ ქ-ნ გლასს ასე იოლად ვერავინ წამოაგებდა ანკესზე. თავის ძველ ადგილას ჩამოჯდა და სიგარეტი გააფუილა. – *უცნაური-მეთქი,* ვთქვი. არ მითქვამს, მშვენიერია ან მოხდენილი-მეთქი. და საერთოდ...

– აგაშენა ღმერთმა! ადრიანად უნდა ადგეს ხოლმე, შენ რომ რამე გამოგაპაროს კაცმა. და, იცი, თავად როგორი გული გაქვს, ბესი? აი – *შემოდგომის გარაჟიო,* რომ იტყვიან, სწორედ ისეთი! არა, როგორი სათაური იქნებოდა?! რამდენს ჰგონია, მარტო სიმორი და ბადი არიან ჩვენს ოჯახში ნაღდი კალმოსნები – ვერ მიართვეს! როცა ვზივარ და მგრძნობიარე პროზაზე, გარაჟების პოეზიაზე და ათას ეგეთ რამეზე ვფიქრობ...

– კარგი, ჰო, ახლა სულ ნუ გაუტიე! – საკუთარი ესთეტიკური შეხედულებების მიუხედავად, ქ-ნ გლასის თვალებში მაინც გაკრთა – სულ ოდნავ

შესამჩნევად – რაღაც თავისებური კმაყოფილება სიტყვებით ამ თავხედური ფარიკაობის გამო, რაც მის ერთადერთ პირმშვენიერ შვილს ახასიათებდა. წამით თითქოს გაუქრა კიდეც დაღლილობისა და მუდმივი წუხილის ის გამომეტყველება, სააბაზანოში შემოსვლიდანვე რომ აღებეჭდა სახეზე. თუმცა წამსვე აიყვანა თავი ხელში და იქით გადავიდა შეტევაზე: – ვითომ რა ვთქვი ისეთი? უცნაურია-მეთქი, ეგ იყო სულ! შენ კიდე არასოდეს არაფერი გეჩვენება არც უცნაურად და არც მშვენივრად. და საერთოდ, ერთხელაც არ გამიგია შენგან...

– რა – რა არ გაგიგია, მაგალითად?! – ფარდის იქით წყალი ადგაფუნდა. – რაც გინდა ისა თქვი ჩემს წარმომავლობაზე, კანის ფერსა თუ სარწმუნოებაზე, ოღონდ სიტყვა არ დაგცდეს – *მშვენიერების* არაფერი გესმისო! ეს ჩემი აქილევსის ქუსლია, პუტკუნა ჩემო! ჩემთვის *ყველაფერი* მშვენიერია ამქვეყნად – ოქროსფერი მზის ჩასვლაზე ხომ საერთოდ ელეთმელეთი მემართება! „პიტერ პენის“ დადგმაზე ფარდის აწევას ვერ ასწრებენ, მე რომ უკვე ეული ცრემლი მდის... მაშ! და შენ კი გინდა თქვა, რომ... .

– კარგი, ერთი, მორჩი ამ სისულელეებს, – გულსგარეთ გაეპასუხა ქ-ნი გლასი. მერე ღრმად ამოიოხრა, ნაფაზი დაარტყა და თქვა – უფრო სწორად, წამოიძახა:

– ერთი ეგ გამაგებინა, რა უნდა ვუყო იმ ბავშვს?! – გამჭოლი მზერა მიაპყრო ფარდას და ისევ ამოიოხრა. – ხეირი არაა თქვენგან, არავითარი. მამაშენს ხომ საერთოდ ვერ დაელაპარაკები ამაზე. რა თქმა უნდა, თვითონაც ნერვიულობს – სახეზე ეტყობა, მაგრამ არ უნდა, რომ სიმართლეს გაუსწოროს თვალი! – კუშტი სახით მომუწა ტუჩები. – სულ ასეთი იყო, რაც მახსოვს. ასე ჰგონია, ყველაფერი თავისით მოგვარდება, თუკი რადიოს ჩართავს და ვიღაც უხმო-უსმენოს ჯღავილს დაუგდებს ყურს!

ფარდისიქიდან თავშეუკავებელი სიცილი მოისმა. წინა ჯერისგან ცოტათი განსხვავებული, მაგრამ მაინც მსგავსი.

– ეგრეა, ეგრე! – თავისას მიერეკებოდა ქ-ნი გლასი. – გინდა გითხრა, გულის სიღრმეში რას ვფიქრობ? გინდა?

– კარგი რა, ბესი – მაინც მეტყვი და რაღა მნიშვნელობა აქვს.

– მართლა ასე ჰგონია, ან ჯერ კიდევ იმედი აქვს, ძველებურად რადიოდან გაიგონებს თქვენს ხმას, – ისევ ამოიოხრა, – ყოველ ჯერზე, როცა კი რადიოს ჩართავს ხოლმე, ასე ჰგონია „ჭკუის კოლოფს" დაიჭერს და მოუსმენს, ერთიმეორის მიყოლებით როგორ პასუხობთ შეკითხვებს. – ისევ მოკუმა ტუჩები, თითქოს ამით ხაზი უნდა გაესვა ნათქვამისათვის, – მიყოლებით-მეთქი, იმიტომ, რომ სიმორიცა და უოლტიც, – ისევ გაიმართა წელში, ისევ დაარტყა ღრმა ნაფაზი, – მთლად წარსულში გადაბარგდა.

ტელევიზორს საერთოდ არ ცნობს, თუკი წინასწარ არ იცის, რომ შენ გამოხვალ. და არაფერია აქ სასაცილო.

– მერე, იცინის ვინმე?

– აზრზეც არაა, ფრენის თავს რომ რაღაცა ხდება! თუ იცი, რა მითხრა, 11 საათის ახალი ამბების მოსმენის მერე? იქნებ მანდარინი ეამოსო! გესმის შენ?! ბავშვი ცრემლებად იღვრება, ბოდავს რაღაცებს, ის კიდე – მანდარინი ხომ არ ეამებაო! ლამის იყო, დანა ჩამერტყა კისერში! თუ ერთხელაც კიდევ... – უცებ გაჩუმდა და ფარდას მიაშტერდა. – არა, მაინც რაა აქ სასაცილო?

– არც არაფერი, ღმერთმანი! მანდარინის ამბავი მომეწონა. და საერთოდ, კიდევ ვინ გიშლის ნერვებს? მე, ლესი, ბადი – კიდევ? გული გადამიხსენი, ბესი – ჩვენი ოჯახის უბედურებაც ესაა, ძაან გულჩახურულები ვართ

– სულაც არ მეცინება, ჩემო კარგო. ეს იგივეა, ხეიბარს დასცინო! – ისევ გაისწორა თმა და განაგრძო: – ერთი ბადისთან დამარეკვინა და მეტი არაფერი მინდა! ერთი ეგ თუ გაერკვევა მთელ ამ დომხალში. – დაფიქრდა. – ეს ოხერი, ჩვენში თუ წვიმს, ცა ფეხად ჩამოვა ხოლმე, – დააფერფლა. – ბუ-ბუ ათ რიცხვამდე არ ჩამოვა. უეიკერს ვერც ვეტყოდი ვერაფერს, მომერიდებოდა. ანკი სად გამოვიჭირო? ღმერთმანი, ამგვარი ოჯახი არსად მინახავს! კაცმა რომ გკითხოთ, სულ ჭკუის კოლოფები ხართ

ყველანი და საქმე საქმეზე თუ მიდგა, ხეირი არაა თქვენგან. მომბეზრდა.

– რა ხეირი აგიტყდა?! გინდა, მივადგეთ ყველა და მისი ცხოვრებით ვიცხოვროთ?

– მაგას არავინ გთხოვთ! მარტო ის მინდა, ვილაცა მაინც შევიდეს იმ ოთახში და გაერკვეს მაინც, რა ხდება! ბოლო-ბოლო, მიდის თუ არა ბავშვი კოლეჯში? აკი ბოლო სემესტრი აქვს დასახური! და კიდევ – შეჭამს რამეს *ნორმალურს?* შაბათიდან მოყოლებული, ლუკმა არ ჩასვლია პირში. ამ ნახევარი საათის წინ გადასარევი ბულიონი მივართვი და ორი კოვზი ძლივს მოწრუპა. გუშინ კი რაც დავაძალე, უკან ამოანთხია! – ქ-ნი გლასი აქ წამით მხოლოდ იმიტომ მიჩუმდა, ჰაერი ჩაესუნთქა. – მითხრა, იქნებ ჩიზბურგერი შევჭამო მერეო. *ჩიზბურგერი* რა საჭმელია? ისედაც სულ მაგით არ იკვებებოდა მთელი სემესტრი? ჩიზბურგერი და კოკა-კოლა – ეგაა სულ მაგათი საზრდო! მაგისმა ტოლებმა, რაც უნდათ, ისა ქნან, მე კიდე არ ვაპირებ, ბავშვს კუჭი გავუფუჭო!

– აი, ეს მესმის – ან ბულიონი, ან არაფერი! მაგარი დეზიზია, თუკი სურს, ნერვები დაიწყვიტოს, ის მაინც იცოდეს, რომ უჩვენოდ არაფერი გაუვა – აბა ჰე! დასცხე!

– მორჩი ავყიობას, ყმაწვილო! ეგ ენა რომ არა გქონდეს, ყვავი წაგიღებდა. იქნებადა, სულაც ამგვარმა კვებამ მიიყვანა ბავშვი აქამდე?! ადრეც

სულ ძალით ვატენიდი ხოლმე ბოსტნეულს. არასწორ კვებას ვისთვის მოუტანია სიკეთე.

– მართალი ბრძანდებით, სავსებით! გასაოცარი აღმოჩენაა, მე და ჩემმა ღმერთმა! ჰო, ღმერთზე გამახსენდა – კოლეჯში ოთხი, არა, ხუთი თემა დავწერე ჯვარცმის თაობაზე და მუდამ ვგრძნობდი, რაღაც მთავარი მისხლტებდა ხელიდან. ახლა დღესავით ნათელია – არასწორი კვების ბრალია ეგა! აი, საიდან მოდის იესოს ფანატიზმიცა და მისი ესოდენ უხეში მოპყრობა ამ პატიოსანი, კანონმორჩილი, ჭკუადამჯდარი ფარისევლების მიმართ! *არასწორი კვება* – ესაა ახალი აღთქმის პრობლემურ საკითხთა თავი და თავი! ჩიზბურგერებმა და კოკა-კოლამ დაღუპა იესო და, საერთოდ, იქნებ სწორედაც ხუთითა ჩიზბურგერითა და ორად-ორი ბოთლითა კოკა-კოლათი აპურებდა...

– გაჩერდები თუ არა?! – თქვა ქ-ნმა გლასმა მრისხანედ. – სიამოვნებით აგიკრავდი მაგ პირს ალიკაპით!

– მე რა – მე არაფერი, უბრალოდ, საუბარში გამოგყევი – როგორც მაღალი დონის სააბაზანოებშია მიღებული.

– ძაან სასაცილოა! ისეთი გონებამახვილი მყავხარ, მეტი არ შეიძლება. საქმე ისაა, ჩემო კარგო, რომ მე ცოტა სხვაგვარად აღვიქვამ უფალს და სულ სხვაგვარად ვუყურებ შენს საბრალო პატარა დაიკოს. იქნებ ეს შენთვის უცნაური რამაა, მაგრამ რას იზამ, ასეა და ვერავითარ მსგავსებას ვერ ვპოულობ

მაცხოვარსა და გაჩხინკულ, რელიგიური წიგნებით თავგამოტენილ, ნერვებდაწყვეტილ სტუდენტ გოგონას შორის! ჩემზე კარგად მოგეხსენება, ან უნდა იცოდე მაინც – რომ მეტისმეტად მგრძნობიარეა და ფაქიზი ფსიქიკის მქონეც!

სააბაზანოში წამიერი სიჩუმე ჩამოვარდა.

– დედა! ჯერ კიდევ მანდა ხარ? ასე მგონია, ზიხარ და ორ ცალ სიგარეტს ერთად აბოლებ...

ამ ინსინუაციაზე პასუხის გასაცემად ქ-ნმა გლასმა არც კი დაიმდაბლა თავი.

– ბესი-ი! გამოსვლა მინდა! ბესი, გესმის?

– მესმის, მესმის, არ დავყრუებულვარ ჯერ. – ქ-ნ გლასის სახეზე კვლავ გადაირბინა შეშფოთების ტალღამ. წამოიწია, ნერვიულად. – ის წყეული ბლუმბერგიც რომ მოისვა ტახტზე! რა წესია, ბოლოს და ბოლოს! – ისევ ამოიოხრა, ღრმად. მერე დაიხარა და ხელისგულზე მოგროვებულ ფერფლს ნაგვის ყუთში ჩაუძახა. – აზრზე არა ვარ, რა უნდა ვქნა. მთელი სახლი ყირაზეა დამდგარი. მღებავებმა მისი ოთახი კი მოათავეს, მაგრამ ახლა სასტუმროში უნდა გადავიდნენ, ის კი იქა წევს. როგორ ფიქრობ, გავაღვიძო? იცი, ბოლოს როდის მყავდა მღებავები სახლში? თითქმის ოცი წელია გასული.

– აჰ-ა-ა, აი, თურმე სად ყოფილა ძაღლის თავი დამარხული! მე კიდე რა არ ვიფიქრე... კი მაგრამ, აქ რატო არ შემოიპატიჟე? რას იფიქრებენ – ეს

რა კაცი ყოფილა, აბაზანაშიც კი არ შეგვიყვანა მასპინძელმაო.

– ერთი წუთი მაინც გაჩუმდი, ვფიქრობ რაღაცას.

თითქოს ყურად იღოო, ზუიმ ახლა ღრუბლის გასაპვნას მიჰყო ხელი. ერთხანს მისგან მხოლოდ რაღაც შარიშური მოისმოდა. ქ-ნი გლასი კი მეტ-ლახის იატაკზე დაფენილ ცისფერ ფარდაგის ნა-ჭერს დაშტერებოდა. მარჯვენა ხელის ორ თითში გაჩრილი სიგარეტი ლამის ბოლომდე ჩაეწვა, თუმ-ცა ერთ რამედ ღირდა იმის ნახვა, როგორ ეჭირა ეს ნამწვი და დუბლინელი ქალის შორეული ხატებაც წამში ლიტერატურულ არარაობად გექცეოდათ: ნატიფი თითები ჰქონდა, გრძელი – ასეთს არანაი-რად არ მოელით ხოლმე ხორცსავსე ბანოვანებისა-გან და უფრო სამშობლოდან გადახვეწილი ბალკან-ელი დედოფლისა თუ მაღალი წრის სალონების ერთ დროს სახელგავარდნილი სტუმრისას მოგაგონებ-დათ. და არა მარტო ეს: ფეხებიც ისეთი ჩამოქნილი ჰქონდა, კაბარეს მოცეკვავეს რომ უფრო შეეფერე-ბოდა. ახლა კი იჯდა და ზედ თითების წვერზე გად-მოკიდებულ ფუმფულა ფლოსტს ათამაშებდა. ერ-თი შეხედვითაც ცხადი იყო – ამ ჩამოქნილ ფეხებს არასოდეს დამუქრებიათ ვენების გაგანიერების საფრთხე.

უეცრად ქ-ნმა გლასმა *კიდევ* უფრო ღრმად ამო-იოხრა – ამჯერად თითქოს გულიც ამოაყოლაო –

ადგა, ისედაც უკვე ჩამქრალი ნამწვი ონკანის წყალს შეუშვირა, მერე ისიც ნაგვის ყუთში მოისროლა და ისევ დაჯდა, ფეხი ფეხზე გადადებული; თუმცა ყველაფერი ეს ისე მოიმოქმედა, თითქოს კვლავაც საკუთარ ფიქრებში გახლდათ ჩაძირული.

– იცოდე, სამ წამში გამოვდივარ! – გამოსძახა ზუიმ. – პატიოსნად გაფრთხილებ! ზედმეტი სტუმარმასპინძლობაც არ ვარგა.

ქ-ნმა გლასმა მხოლოდ თავი დააქნია პასუხად. ახლა რომ გამოეხედა მის შვილს, იქნებ სურვილიც გასჩენოდა – რაღაცნაირად მაინც შეერბილებინა საკუთარი ინტონაცია, იქნებ რაღაც კიდევ მიემატებინა სათქმელი ან იქნებ არც არაფერი მომხდარიყო ამდაგვარი. იმ შორეულ 1955-ში ნაღდად საძნელო საქმე იქნებოდა ბესი გლასის სახის გამომეტყველების ამოცნობა – განსაკუთრებით კი მისი დიდრონი, ზღვისფერი თვალები დაგაბნევდა კაცს. და თუკი მანამდე, სულ რამდენიმე წლის წინ, ეს თვალები თავად შენ გეტყოდნენ (ან ფარდაგს – რა განსხვავებაა), რომ ორი შვილი ჰყავდა დაკარგული: ერთმა თავი მოიკლა (მისმა გამორჩეულმა, საუკეთესომ – სწორედ ისეთმა, დედის გული რომ ინატრებდა) და მეორე კიდევ ომში დაიღუპა (ერთადერთი მართლა გულმხიარული ვინმე მთელ ოჯახში), თან ისე წვრილად, ისეთი ოქროპირობით, ამის გაგებასა და მისთვის თვალის გასწორებას ვერც მისი ქმარი და ვერც ჯერაც ცოცხალი შვილები ვერ

მოახერხებდნენ, ახლა, 1955-ში, იგი ამ ერთ დროს მომნუსხველ კელტურ იარაღს მხოლოდღა იმისთვის თუ იყენებდა, ოჯახისთვის ემცნო, რომ იმ დღეს ცხვრის ბარკალი ექნებოდათ სადილად, ან რომ ჰოლივუდის რომელიღაც მბჟუტავი ვარსკვლავი თავის მეექვსე მეუღლესთან ეპირებოდა გაყრას.

ახალ სიგარეტს მოუკიდა, მოქაჩა და წამოდგა, თან ნესტოებიდან ბოლს უშვებდა. – ახლავე დავბრუნდები, იცოდე! – ეს განცხადება რაღაც დაპირებასავით უფრო გაისმა. – და რომ გადმოხვალ, ფეხი ფარდაგზე დადგი, თუ შეიძლებოდეს, – დაამატა იქვე. – სწორედ მაგისთვის აფენია, რამე რომ იყოს. – მერე კი გავიდა და კარიც გაიხურა მჭიდროდ.

ეს ყველაფერი იმას ჰგავდა, ხომალდ „ქუინ მერის" რომ უეცრად უოლდენის ტბორებიდან შეეცურა პირდაპირ ზღვაში – ისევე გამაოგნებლად, როგორც თავიდან ამ ტბორებში მისი გამოჩენა იქნებოდა. ფარდის მიღმა ზუიმ ერთ წამს თვალები მოხუჭა, მერე ფარდა გადასწია და დახურულ კარს მიაჩერდა: იმ კაცის გამომეტყველება ჰქონდა, ვინც ძალზე აფასებს მყუდროებას და ახლა ვერაფრით მოუნელებია, მისი მყუდროების დამრღვევი რომ ასე იოლად გაუსხლტა ხელიდან.

ხუთი წუთიც არ იქნებოდა გასული და ზუი უკვე სარკის წინ იდგა: სველი თმა გადაევარცხნა, მუქი ნაცრისფერი ტყავის შარვალი ამოეცვა და მხრებ-

ზე პირსახოცი მოეგდო. ჯერი პარსვისწინა რიტუალზე იყო მიმდგარი – ჟალუზი ნახევრამდე უნდა აეწია, კარი შეეღო, რათა ორთქლი გასულიყო და სარკეც გაეწმინდა ოხშივარისაგან; სიგარეტისთვის მოეკიდებინა, ერთი ნაფაზიც დაერტყა და მერე სარკის ქვემოთ, შუშის თაროზე შემოედო. ახლა ჯერ ასაქაფებელი კრემი დაადო ფუნჯის წვერს, მერე ხელისგული გადაატარა სარკის ზედაპირს, ბოლოს კი ყბების გასაპვნის ჯერიც დადგა. უნდა ითქვას, ზუი ამ საქმის საკუთარ, განსაკუთრებულ მეთოდს მიმართავდა ხოლმე: სარკეში კი იყურებოდა, ოღონდ არა იმიტომ, ფუნჯის მოძრაობისათვის ედევნებინა თვალი – არა, ის თვალს თვალში უყრიდა საკუთარ გამოსახულებას, როგორც რამ წინააღმდგომს მასსა და ნარცისიზმთან იმ ბრძოლას შორის, წლიდან წლამდე რომ უმართავდა საკუთარ თავს. ოცდახუთი წლის კაცს ეს უკვე, შეიძლება ითქვას, საბრძოლო წრთობად ექცა, თუმცა სულ რამდენიმე წუთის წინ, თმას რომ ივარცხნიდა, ამგვარი რამ აზრადაც არ მოსვლია – პირიქით, როცა ტანს იმშრალებდა, თვალიც არ გაუპარებია სარკისკენ.

ის-ის იყო, სახე გაისაპნა და, სააბაზანოს კარის ღიობში დედამისი აისვეტა – ცალი ხელი რომ ჯერ ისევ სახელურზე ჰქონდა, ვითომდა გაუბედაობის განსახიერებას – სანამ ისევ შიგ შემოიჭრებოდა.

– რაოდენი მოულოდნელობაა! – მიმართა ზუიმ სარკეს. – მობრძანდით, მობრძანდით! – გაიცინა,

ან უფრო სწორად, სიცილი აუტყდა, აფთიაქის კარი გამოაღო და სამართებელს დასწვდა.

ქ-ნი გლასი შემობრძანდა მძიმედ. – ზუი, – თქვა, – ვიფიქრე,– თან ძველი ადგილისაკენ წაიწია დასაჯდომად.

– ეგ არა ქნა! ჯერ ერთი კარგად შეგათვალიერო, – თქვა ზუიმ. გუნება-განწყობა საგრძნობლად გამოკეთებოდა, ნამდვილად. – არც ისე ხშირია სტუმარი ღვთისა სენაკსა ჩუენსა და ვისურვებდით...

– წუთით მაინც დაშოშმინდი, რა... – თქვა ქ-ნმა გლასმა და მაინც ჩამოჯდა ფეხიფეხგადადებული. – როგორ გგონია, ღირს კია, უეიკერი გამოვიძახო? მე თუ მკითხავ, არაფერი საჭიროება არაა, მაგრამ რას იტყვი? ბავშვს ნაღდად სჭირდება ერთი კარგი ფსიქიატრი და არა ეს მოძღვრები ან ვინმე ეგეთი. ან იქნებ ვცდები?

– არა-ა... არავითარ შემთხვევაში! შენ და *შეცდომა*, ბესი?! შენ მხოლოდ აზვიადებ ხოლმე ან ცრუობ, მაგრამ – შეცდომის დაშვება? წარმოუდგენელია! – აშკარად ნაამებმა, სამართებლის პირი წყალში დაასველა და პარსვას შეუდგა.

– ზუი, მორჩი მასხარაობას! გეკითხები, დავუძახო-მეთქი უეიკერს თუ არა? იქნებადა იმ ეპისკოპოს პინჩეოტს თუ რა ქვია იმას, მივაწვდინოთ ხმა? იქნება იმან იცოდეს მისი ასავალ-დასავალი.– ქ-ნმა გლასმა ახლა ნაგვის ყუთი მიიჩოჩა თავისკენ და პირდაპირ შიგ ჩააფერფლა. – ფრენის ვკითხე, ტელეფონზე მაინც თუ დაელაპარაკები-მეთქი.

ზუიმ სამართებელი გაავლო წყალში. – და იმან რაო?

ქ-ნი გლასი უფრო მოხერხებულად მოკალათდა. – რა და – *არავისთან* არ მსურს ლაპარაკიო.

– აჰა-ა, ახლა გასაგებია ყველაფერი. ასე იოლად ხომ არ დავნებდებით, პასუხი უნდა მოვთხოვოთ.

– იცი, რას გეტყვი? ახლა საერთოდ არანაირი პასუხი არ მაინტერესებს მისგან! – მოუჭრა ქ-ნმა გლასმა. – როცა მოზარდი გოგო სასტუმრო ოთახში წევს და უკვე 48 საათია, რაღაცას ჩურჩულებს თავისთვის, განა მისგან რას უნდა მოელოდე?

ამჯერად ზუი ჩუმად განაგრძობდა პარსვას.

– თუ შეიძლებოდეს, მიპასუხე – შევატყობინო თუ არა უეიკერს? სიმართლე გითხრა, მისი სადღაც მეშინია კიდეც. ისეთი მგრძნობიარე ვინმეა – არ ვიცი მე, მოძღვარია თუ რაღაცა, ეტყვი, წვიმა ნამოვაო და თვალები უწყლიანდება.

ზუიმ საკუთარ გამოსახულებას ჩაუკრა თვალი სარკეში. – ახლა, მთლად ასეც ნუ გადაიწურავ იმედს, ბესი.

– რა ვქნა, აბა? ბადის ვერ ვურეკავ, შენ არაფრით მეხმარები – რაღაც ხომ უნდა ვქნა? – ქ-ნმა გლასმა ორიოდ ღრმა ნაფაზი კიდევ დაარტყა. – რაღაც მკაცრად კათოლიკური ამბავი რომ იყოს, კიდევ ჰო – თავად მოვახერხებდი რამეს. რაღაც-რაღაცები ჯერ კიდევ მახსოვს. მაგრამ კათოლიკებად არც ერთი არ გამიზრდიხართ და ახლა გვიანია.

– მაგრა გეშლება, – გააწყვეტინა ზუიმ და გასაპნული სახე მიუტრიალა, – ამას არავითარ მორწმუნეობასთან არა აქვს საერთო. დამიჯერე.

ქ-ნი გლასი ერთხანს დაჟინებით მისჩერებოდა მის პროფილს, იქნებ კიდევ თქვას რამეო, მაგრამ ვერაფერს გამორჩა. და უკვე მერამდენედ, ისევ ამოიოხრა: – ერთი, ის ოხერი ბლუმბერგი მაინც ჩამომაგდებინა ტახტიდან... რა უბედურებაა!.. – ისევ დაარტყა ნაფაზი. – და მღებავებს რაღა ვუთხრა? საცაა მის ოთახსაც მორჩებიან და რაღა დააკავებთ.

– როგორც ვატყობ, ერთადერთი უპრობლემო ვინმე ვარ ოჯახში, და იცი, რატო? როცა ცუდად ვგრძნობ თავს, ან მოწყენილი ვარ, ან უხასიათოდ, ვინმეს სააბაზანოში ვპატიჟებ და ერთად ვარჩევთ ხოლმე საკითხს.

ქ-ნი გლასი ლამის იყო, წამოეგო კიდეც ზუის ამ ახალი მეთოდის გარჩევის ცდუნებას, მაგრამ თავს სძლია. ერთხანს გაყუჩდა, მერე კი რაღაც ეშმაკური, თან მკაცრი, თან უიმედო გამომეტყველება დაედო სახეზე. – იცით, რას გეტყვით, ყმაწვილო? არც ისეთი გულუბრყვილო გახლავართ, ვიღაც-ვიღაცებს რომ გგონიათ! ვითომ ძაან გულჩათხრობილები ხართ, ასაიდუმლოებთ ყველაფერს, მაგრამ რას გამომაპარებთ – თქვა და დასტურად, ხელის მკვეთრი მოძრაობით კალთიდან ფერფლი

ჩამოიბერტყა. – რამე რომ იყოს, მთელი ამ დავიდარაბის მიზეზი სწორედ ის წიგნია, მუდამ თან რომ დაატარებს!

ზუი შემოტრიალდა, სახეზე გამქირდავი ღიმილი დაედო: – ეგ როგორღა გათვალე?

– არაა ეგ შენი საქმე! – თქვა ქ-ნმა გლასმა. – და ის თუ იცი, ლეინმა რო დარეკა რამდენჯერმე? ფრენიზე წუხდა.

– ეს ლეინი ვილაა? – იკითხა ზუიმ და სამართებელი დაფერთხა. აშკარად იმ ახალგაზრდა კაცის შეკითხვას ჰგავდა, ვინაც თავს არ უტყდება, ვიღაც-ვიღაცებს უკვე სახელითაც რომ იცნობს.

– ძაანაც კარგად იცი, ვინცაა! – თავდაჯერებული ტონით წარმოთქვა ქ-ნმა გლასმა, მაგრამ მერე მაინც დაამატა: – კაუტელია გვარად. მთელი წელი დადიოდნენ ერთად. ერთი ათჯერ მაინც შევხვედრივარ და ახლა არ მითხრა, მე კი არაფერი ვიცოდიო.

აი, ამაზე კი მართლა სიცილი წასკდა ზუის – ის კი არა, ლამის გადაიხარხარა კიდეც; აშკარად სიამეს ჰგვრიდა ნებისმიერი, თუნდაც საკუთარი თვალთმაქცობისათვის ნიღბის ახდა. კმაყოფილი განაგრძობდა პარსვას. – მაგას შენ *ერთად სიარულს* ეძახი? ძაან კი ჩამორჩი ცხოვრებას, ბესი... ნეტა რატო?

– ეგ შენი სადარდებელი არაა, ვაჟბატონო. შენ ისა თქვი, უკვე ხუთჯერ თუ ექვსჯერ რომ დარეკა – ორჯერ კიდე ამ დილით, შენ ჯერ ამდგარიც არ

იყავი! ძალიან ზრდილი ყმაწვილია და ძალზე შეწუხებულიც ჩანდა.

– ვიღაც-ვიღაცებისაგან განსხვავებით – თვითონაც მიხვდებით... ისე, არ მინდა ეგ ვარდისფერი სათვალეები დაგიმსხვრიო, მაგრამ წრეგადასული ზრდილობისა რაღაც ვერაფერი შევატყვე. ჭიფხიაა და ქლესა. ისა, რა უნდა მეთქვა – ეს ჩემი სამართებელი ხომ არავის უხმარია იღლიებისა თუ ფეხების ამოპარსვა-გასაპარსად? ან ხომ არ დავარდნია ვინმეს, თუ იცი? პირი მოყანყალებია.

– კაციშვილს არ უხლია ხელი. და ჭიფხიაობისა და ქლესაობის რა შეატყვე ვითომ?

– აბა, მე რა ვიცი. უბრალოდ, ეგეთია. იქნებადა, აწყობს კიდეც. დაგენაძლევები, თუკი მართლა აწუხებს ფრენის ამბავი, ამას რაღაც თავისი მიზეზი ექნება. იქნებ იმ თავის სულელურ ფეხბურთს რომ ვერ უყურა ბოლომდე; გაღიზიანდა და ვერც დაფარა, ფრენიმ კი იწყინა. თვალწინ მიდგას, ეგ ყლიყვი როგორ სვამს ფრენის ტაქსიში, მერე მატარებელში, და გზად სულ იმას ანგარიშობს, მატჩის მეორე ნახევარს მაინც თუ მივუსწრებო.

– არა, მართლა აუტანელი ვინმე ხარ! კაცი ვერაფერზე დაგლაპარაკებია, ნერვები რომ არ აუშალო, ბადის ალი-კვალი ხარ ნამდვილი. მართლა გგონია, ყველა ყველაფერს მხოლოდ რაღაც გამორჩენის გამო აკეთებს? არ შეიძლება, ისე დარეკოს და გოგოს ამბავი იკითხოს?

– ათიდან ცხრა შემთხვევაში – არა. და ეგ შენი ლეინიც არაა გამონაკლისი. ერთხელ მთელი ოცი წუთი ველაპარაკე, სანამ ფრენი ზემოთ იპრანჭებოდა, და გეუბნები, ყლიყვია ნამდვილი! – ჩაფიქრდა, სამართებელი გაუშეშდა ხელში. – და ისა, რას მეუბნებოდა? მექლესებოდა რაღაცას. ჰო, გამახსენდა – როცა პატარა ვიყავი, ყოველ კვირადღეს თქვენ გისმენდით რადიოში ორივესო, და იცი, რას აწვებოდა? ფრენის ხარჯზე მაქებ-მადიდებდა და მანონებდა თავს! – ენა გამოყო და ჩაიფხუკუნასავით ამრეზილად. – დასანახად ვერ ვიტან მაგ კოლეჯელ ბიჭბუჭობას, სტუდენტურ ლიტჟურნალებში რომ იბეჭდებიან და ამით თავი მოაქვთ. მაგათ ერთი კაი პატიოსანი შულერი გერჩივნოს.

ქ-ნმა გლასმა, რატომღაც, დაჟინებული მზერა მიაპყრო მის პროფილს – ოლონდ ისეთი, გამგები და მოზიარე:– ჯერ სულ ჭყინტია, შენ გვერდით კიდე არასოდეს არავინ გრძნობს თავს მშვიდად და წყნარად. ან იქვე გაუშინაურდები ხოლმე, ან ახლოსაც აღარ გაიკარებ. თან, თუკი ვინმე თვალში მოგივიდა, დაიწყებ და აღარ ამთავრებ ლაპარაკს, სიტყვას არ ჩააგდებ, და თუ აითვალწუნე – მტრისას, ზიხარ და უცდი, სანამ საკუთარი ენით არ გაითხრის თავისთვის ორმოს. ვიცი, შევსწრებივარ.

ზუი ადგილზევე შემოტრიალდა და დედას მიაშტერდა – ისე, როგორც ეს მანამდე მის დებსა და ძმებსაც არაერთხელ უქნიათ სხვადასხვა დროსა

და სხვადასხვა მიზეზით. ამ გამოხედვაში მარტო იმით გაკვირვება კი არ იგრძნობოდა, რომ ხანდა-ხან ჭეშმარიტება ნაწილ-ნაწილ ამოტივტივდება ხოლმე აკვიატებული აზრების, ბანალური ფრაზე-ბისა და ცრურწმენების ბლანტე მასიდან – ამ მზე-რაში აღტაცებაც გამოსჭვიოდა, სიყვარულიც და, არცთუ უკანასკნელ რიგში, მადლიერებაც. უნდა ითქვას, ქ-ნი გლასი მუდამ მშვიდად ხვდებოდა მი-სადმი გრძნობების ამგვარ გამოვლინებას – კეთი-ლი ღიმილითა თუ საკუთარი მზერის თავმდაბალი დახრით და ახლაც სწორედ ასევე გახედა ზუის: –კი, შევსწრებივარ, როგორ ელაპარაკებით ხოლმე შენ და ბადი ხალხს, ვინც თვალში არ მოგდით. – და-ფიქრდა, ნათქვამი გადაასწორა: – ვინც არ გიყ-ვართ.

ზუი ისევ ისე იდგა, სამართებლით ხელში, თით-ქოს გადავიწყნოდა კიდეც, რისთვის ეჭირა. – არ ვარგა ასე, – განაგრძობდა ქ-ნი გლასი ნაღვლია-ნად, – ძაან ემსგავსები შენს ძმას. მამაშენიც კი ამ-ჩნევს. თუკი პირველ ორ წუთში ვინმეს ვერ შეეწყვე, მორჩა. – ცერად დახედა ფარდაგის ნაჭერს იატაკ-ზე. ზუი ცდილობდა, არც ესუნთქა, როგორმე არ გამოეყვანა ამ განწყობიდან. – არ შეიძლება, სულ ასე სიმპათია-ანტიპათიებით საზღვრავდე ხალხს. – ვითომც არაფერიო, ახლა ფარდაგის ნაჭერს მი-მართავდა ქ-ნი გლასი. – ვინც რა უნდა თქვასო და მართლა არ ვარგა.

ზუი ღიმილით შებრუნდა და ახლა საკუთარი გამოსახულების შესწავლას მიჰყო ხელი სარკეში. ქ-ნმა გლასმა ამოიოხრა, უკვე მერამდენედ, მერე დაიხარა და სიგარეტი ნაგვის ყუთის ლითონის კიდეზე დააქრო. თითქმის დაუყოვნებლივ ახლა მეორე ღერს მოუკიდა.

– შენს დას რომ ჰკითხო, მაგარი ნიჭიერი ვინმეა ეგ ლეინი, – თქვა მერე.

– ეს, ქალბატონო, მხოლოდ და მხოლოდ სქესთაშორისი ძახილის ხმაა, – გაეპასუხა ზუი. – და რა კარგად რეკავს ეგ ზარი! – ქაფის ბოლო ნარჩენებიც ჩამოიწმინდა სახიდან, მერე თითებით სტრატეგიული ადგილები შეიმოწმა ყელზე და თავიდან იწყო მათი გასაპვნა. – და რაო მერე ლეინმა, რა მინდაო?

ქ-ნი გლასი წინაც კი გადაიხარა, ნათქვამის ხაზგასასმელად: – ამტკიცებს, სწორედ იმ წიგნის ბრალია ყველაფერიო...

– წიგნის ვერსია უკვე განვიხილეთ. მერე?

– ამტკიცებს, რელიგიური შინაარსისაა და ფანატიკურიო. სწორედ ასე თქვა. კოლეჯის ბიბლიოთეკიდან წამოუღია... – უცბად გაჩუმდა, ენაჩავარდნილივით.

ზუი საეჭვოდ სწრაფად შემოტრიალდა: – რაო, საიდანო?

– რა მოხდა ასეთი – კოლეჯის ბიბლიოთეკიდან...

ზუიმ თავი გადააქნია, ისევ პირსაბანისკენ შეტრიალდა, ფუნჯი გადადო და ახლა აფთიაქის კარი გამოაღო.

– რა მოხდა-მეთქი ასეთი? რამ დაგაფეთა? – გაიკვირვა ქ-ნმა გლასმა.

ზუის ხმა არ გაუცია, სამართებლის ახალი პირი გამოაძრო შეკვრიდან. – ძაან სულელი ვინმე ხარ, ბესი. – ძველი პირი ნაგვის ყუთში მოისროლა.

– რატომ ვითომ? ისე, რამე რომ იყოს, გუშინ არ გამოცვალე ეგ პირი?

წარბიც არ გაუტოკებია, ისე ჩადგა დაზგაში ახალი პირი და ახლა მეორე წრეზე გავიდა.

– მგონი, რაღაც ვიკითხე, ყმაწვილო! ვითომ რატომ ვარ *სულელი?* არ აუღია თუ რა?

– ეგრეა, არ აუღია. მაგ წიგნს „მომლოცველის გზის გაგრძელება“ ჰქვია და ეგ მეორე წიგნია, პირველს კი „მომლოცველის გზა“ აწერია. რა ხანია, ორივეს ყველგან თან დაატარებს. სიმორისა და ბადის ყოფილ ოთახში იპოვა. ღმერთო, შენ გვიშველე!

– და რა, ამის გამო უნდა მიაყენო შეურაცხყოფა ადამიანს? რა მოხდა, თუკი მეგონა, ბიბლიოთეკიდან წამოიღო-მეთქი.

– მოხდა, როგორ არ მოხდა! ეგ წიგნები *წლობით* ელაგა სიმორის მაგიდაზე!

ქ-ნ გლასს ხმაში სრულიად მოულოდნელი, რაღაცნაირად *არაწინააღმდგომი* ინტონაცია გამოერია: – იმ ოთახში არ შევდივარ ხოლმე...

– კარგი, მაპატიე. – იმის მიუხედავად, რომ მეორე პირი პარსვა ჯერ კიდევ არ მოეთავებინა, ზუიმ პირსახოცით ჩამოიწმინდა ნარჩენი ქაფი. – ცოტა

ხნით მაინც შევეშვათ ამ ლაპარაკს. – პირსახოცი გამათბობელზე მოისროლა, ააცილა და ისიც პიესის ხელნაწერს გადაეფარა. ყურადღება არ მიუქცევია – ახლა სამართებელს რეცხავდა დიდი მონდომებით.

მობოდიშება წრფელი გულით იყო ნათქვამი და ამას ქ-ნი გლასიც ალალად ხვდებოდა, მაგრამ ასეთ იშვიათ შესაძლებლობას ხომ ვერაფრით გაუშვებდა ხელიდან: – კეთილი ზნისა არა ხარ, ზუი. ამხელა კაცს უკვე ისიც უნდა შეგეძლოს, საკუთარი უგუნებობა სხვას არ დაანთხიო თავზე. აი, ბადი კი იმას მაინც ახერხებს, რომ... – შეკრთა, როცა ზუის ახალგამოცვლილპირიანი სამართებელი ჭახანით შეასკდა ნაგვის ყუთის კიდეს. სავსებით შესაძლოა, არც ეპირებოდა, ასე ყუმბარასავით მოესროლა, უბრალოდ, ზედმეტად გაიქნია ხელი და თავადვე დაისაჯა, მაჯა ჩამოარტყა პირსაბანს. – ბადი, ბადი, ბადი... – წაიბურტყუნა, – სიმორი, სიმორი, ს... – მერე დედამისს მიუბრუნდა: – ეს სახელები ისე ამომივიდა ყელში, ლამისაა, საკუთარი ხელით გამოვიჭრა, – თუმცა სახეზე კი სავსებით მშვიდი გამომეტყველება ედო, – მთელი ეს ოხერი სახლი თითქოს მოჩვენებებითაა გაძეძგილი! თუ მკვდრის აჩრდილი დაგდევს, ეს კიდევ ერთია და ახლა ცოცხალ-მკვდრისაც ამკიდეთ! ბოლო-ბოლო, მაგ ბადიმაც გადაწყვიტოს რამე – თუ ყველაფერში ს.-ს ბაძავს, ბარემ თავიც მოიკლას და ეგ იქნება.

ქ-ნმა გლასმა წამით თვალები მილულა, და ზუიმაც უცბადვე აარიდა მზერა. დაიხარა, ძირს დავარდნილი სამართებელი აიღო: – მეცა და ფრენიც მაგრა მივერეკებით, 25 წლის ძმა და მისი 20 წლის დაიკო, ყველაფერში კი ეს ორი იდიოტია დამნაშავე. – სამართებელი პირსაბანის კიდეზე ჩამოდო, ფრთხილად, მაგრამ მაინც ჩამოუცურდა; წაასწრო და მეტი აღარც გაუშვია ხელიდან. – ფრენის შემთხვევაში დაავადების ნიშნებმა ცოტა გვიან იჩინა თავი, მაგრამ რა, მაინც იგივე უბედურება სჭირს. ღმერთია მოწმე, ორივეს ისე გამოვღადრავდი ყელს, ხელიც არ ამიკანკალდებოდა! დიადი მასწავლებლები. დიადი ჭკუის დამრიგებლები. ღმერთო, შენ გვიშველე! ისიც კი აღარ შემიძლია, კაცთან სასაუზმოდ დავჯდე და ადამიანურად გადავუგდო ორი სიტყვა. ან მთქნარება მიტყდება, ან ქადაგად დავვარდები ხოლმე და ისეთი რაღაცების როშვას ვიწყებ, იმ ჩემისას გრამი ტვინი მაინც რომ ჰქონდეს თავში, სკამს გამომიქანებდა! – მკვეთრი მოძრაობით გამოაღო აფთიაქის კარი და ერთხანს ისე იყურებოდა შიგ, თითქოს დაავიწყდა კიდეც, რისთვისო. მერე სამართებელი თავის ჩვეულ ადგილზე შემოდო, თაროზე.

ქ-ნი გლასი გაუნძრევლად იჯდა, არც კი შერხეულა, თვალს ადევნებდა და სიგარეტი თავისით ეფერფლებოდა კალთაში. ზუიმ ახლა ასაქაფებელ პასტას დაახურა თავზე წვალებით.

– ვის რაში აინტერესებს, რამე რომ იყოს, მაგრამ აქამდე არ შემიძლია, დავჯდე და თუნდაც ერთი მათლაფა წვნიანი ისე შევთქვლიფო, „ოთხი დიადი აღთქმა“ თუ არ წავიბურტყუნე წინასწარ! ნაძლევს ჩამოვალ, ფრენისაც იგივე სჭირს... ისე გვიტენიდ-ნენ თავებში.

– რა ოთხი აღთქმა? – გაიკვირვა ქ-ნმა გლასმა შეპარვით.

ზუი პირსაბანის კიდეს ჩამოეყრდნო; თხელი აღნაგობის მიუხედავად, იფიქრებდით, აი, ახლა მოგლეჯს და იატაკსაც ჩაატანინებსო, ბრაზისა-გან სახე მოღრეცოდა: – ოთხი დიადი აღთქმა: „ცოცხალი ყოველი *აღურაცხელია* – და მაინც ვფი-ცავ, მუდამ ვუწვდიდე დახმარების ხელს; ვნება-ნი – *დაუთრგუნავი*, და მაინც ვფიცავ, მოვთოკო ისინი; დჰარმათა რიცხვი *ამოუწურავია* – და მაინც ვფიცავ, დავეუფლო მათ; ბუდას ჭეშმარიტება *შეუცნობია*, და მაინც ვფიცავ, ამოვიცნო იგი“. ჰა, როგორია?! გითხარით, ფეხებს გავფშეკ-მეთქი! – თვალები მილულა. – ღმერთო მაღალო, ბოლო თხუთმეტი წელია, დღეში სამგზის ვიმეორებდი ამ აბდაუბდას! ლუკმას ვერ ვიდებდი პირში, თუ-კი წინასწარ არ ჩამოვარაკრაკებდი. სულ ერთხელ ვცადე, გამომეტოვებინა – მაშინ ლესაჟთან ვიყა-ვი სავახშმოდ – და ხამანწკა გადამცდა სასულეში, კინაღამ დავიხრჩვე.

თვალი გაახილა, ოღონდ ჯერაც ისევ ისე უცნაურად იდგა. – მისმინე, ბესი, არ ჯობია, ახლა წყნარად გახვიდე აქედან? ნება მიბოძე, მშვიდობიანად დავასრულო საკუთარი ხორცის განბანვა. გეხვეწები, რა... – სახე გაფითრებოდა, თვალები ისევ დაეხუჭა და იფიქრებდით, აი, ახლა კი ნამდვილად სულ დრიგინ-დრიგინით ჩაიტანს ამ პირსაბანს პირველ სართულზეო.

– ნეტა ცოლი მაინც შეგერთო დროზე... – ნამოსცდა ქ-ნ გლასს. ეჭვი არაა, ეს მისი სანუკვარი ნატვრა გახლდათ.

საზოგადოდ, გლასების ოჯახი და, კერძოდ, ზუიც ხშირად ეჯახებოდნენ ქ-ნ გლასის ამგვარი არათანმიმდევრულობის ყრუ კედელს და, შეუცნობელი კანონზომიერებით, მსგავსი რეპლიკებიც სწორედ რომ ამგვარსავე ემოციურ აფეთქებებს ემთხვეოდა ხოლმე. ოღონდ, ამჯერად, ზუი მართლაც რომ სრულიად მოუმზადებელი დახვდა და, შედეგად, მხოლოდ რაღაც ამოიხროტინა – კაცი ვერ გაიგებდა, იცინოდა თუ ძაანაც პირიქით. ქ-ნი გლასი წინ წაიხარა ფენომენის გამოსარკვევად და რაკი განსაზღვრა, სიცილს უფრო ჰგავსო, დამშვიდდა: – დი-იახ, მინდა, რომ ცოლი შეირთო, რაა ამაში უცნაური?

ზუი წელში გაიმართა, ჯიბიდან ოთხად გაკეცილი ცხვირსახოცი ამოიღო, დაფერთხა და ზედიზედ სამჯერ მოიხოცა ცხვირი. მერე ცხვირსახოცი უკან

ჩაიბრუნა ჯიბეში და თქვა: – მატარებლით მგზავრობა მიყვარს. შეირთავ ცოლს და ვეღარასოდეს დაჯდები ფანჯარასთან!

– ეგ რა საბაბია?!

– საბაბი კი არა, თავი და თავი მიზეზიც ეგაა! ბესი, დაახვიე, რა, აქედან. მოისვენე და დამასვენე. ხომ შეიძლება, ლიფტში ჩაჯდე და ზევით-ქვევით... ახლა თუ მაგ ჩამწვარ სიგარეტს არ გადააგდებ, თითებსაც დაიწვავ, ნაღდად გეუბნები.

ქ-ნმა გლასმა ისევ ნაგვის ყუთის თავსახურზე ჩააქრო სიგარეტი. მერე ასე იჯდა ერთხანს, მეტი არც სიგარეტი ამოუღია და არც ასანთი. უყურებდა, როგორ აიღო ზუიმ სავარცხელი და ახლა შუაზე როგორ იყოფდა თმას.

– თმის შეჭრა არ გაწყენდა, ღმერთმანი, აი, სულ იმ გაველურებულ უნგრელებსა თუ ვიღაცებს ჰგავხარ, როცა აუზიდან ამოდიან ხოლმე.

ზუი გაიღმიჭა, სავარცხელი დაატრიალა თითებში და უცებ მოუბრუნდა: – და აი, კიდევ რა, კარგად მომისმინე, ბესი! თუ კიდევ მოგივა თავში აზრი, ფილი ბერნესის ფსიქოანალიტიკოსს შეეხმიანო ფრენის თაობაზე, ერთიც გაიხსენე – სადამდე მიიყვანა სიმორი მაგ შენმა ფსიქოანალიზმა. – გაჩუმდა, ნათქვამის მნიშვნელობის ხაზგასასმელად. – გაიგე? მპირდები?

ქ-ნმა გლასმა წამსვე თმის ბადე შეისწორა, მერე სიგარეტის კოლოფი გააძრო, ზედ ასანთის კოლო-

ფიც მოაყოლა, ოღონდ ჯერ ასევე ეჭირა ხელში, უმიზნოდ.

– რომ იცოდე, სულაც არ მითქვამს, ფილი ბერნესის ფსიქოანალიტიკოსს უნდა დავურეკო-მეთქი! მე ვთქვი, *ხომ* არ დავურეკო-მეთქი. ჯერ ერთი, უბრალო ვინმე არ გეგონოს – მორწმუნე კათოლიკეა და თან, დიპლომიანი ფსიქოანალიტიკოსი... ვიფიქრე, იქნებ ასე აჯობოს-მეთქი. აბა, ვისხდეთ ასე და ვუყუროთ, ეს ბავშვი როგორ...

– ბესი, გაფრთხილებ! სულ მკიდია, პაპისტია, ბუდისტი-ვეტერინარი თუ ვინც არი...

– სარკაზმი შენთვის შეინახე. ფილი ბერნესს ჯერ კიდევ იმ დროიდან ვიცნობ, მოკლე შარვლით რომ დაიარებოდა. მე და მამაშენი კიდე მის მშობლებთან ერთად ვთამაშობდით ეზოში. იმ ფსიქოანალიტიკოსთან სიარულმა მთლად შეცვალა ბიჭი – სულ *სხვანაირი* გახადა, ურთიერთობაშიც სასიამოვნო და...

ზუიმ სავარცხელი აფთიაქის თაროზე მოისროლა და კარიც ჯახანით მიკეტა. – გეშველება რამე, ბესი? ფილი ბერნესი ხომ ერთი ჩია, ორმოცს მიღწეული, გაუბედურებული, მუდამ გაოფლილი იმპოტენტია. ისე ვერ იძინებს, ცალ ხელში თუ კრიალოსანი არ უჭირავს და მეორეში – ქალების ჟურნალი! – მოუტრიალდა, ჯიქურ დააცქერდა და დაეკითხა: – არა, თუ მისმენ მაინც?

დადებითი პასუხის გაცემამდე, ქ-ნმა გლასმა ჯერ ახალ სიგარეტს მოუკიდა, გააბოლა, მერე ვითომ ფერფლი დაიფერთხა კალთიდან: – კი, გისმენ.

– მადლობა ღმერთს. ახლა ძაან-ძაან სერიოზულად გეუბნები – თუ სიმორზე ფიქრი გინდა აიცილო თავიდან, ნება შენია, დაუძახე იმ ვაიფსიქოანალიტიკოსს. მიდი, დაუძახე. მერე ისეთ სიამეებს მიგაჩვევს, როგორიც სერიალებია ტელევიზორში, ოთხშაბათობით „ლაიფის" კითხვა, ევროპაში მოგზაურობა, „თაიმზის" მოწინავე სტატიის გარჩევა, წყალბადის ბომბი, პრეზიდენტის არჩევა, უესტპორტის მშობელ-მასწავლებელთა ასოციაციის კრებებზე სიარული და რა ვიცი, კიდე რა ევალება *სავსებით ნორმალურ* ადამიანს... მიდი, სცადე და წელი არ გაივლის, ფრენი ან საგიჟეთში მოხვდება, ან სადმე უდაბნოში იბოდიალებს ცეცხლწაკიდებული ჯვარცმით ხელში!

ქ-ნმა გლასმა კვლავ ჩამოიბერტყა არარსებული ფერფლი კალთიდან. – კარგი, ჰო, ოღონდ შენ არ *ინერვიულო* და, ღმერთმანი, არავის არავისთვის დაუძახია ჯერ.

ახლა ზუიმ გამოაღო ისევ აფთიაქის კარი და ფრჩხილების ქლიბი გამოიღო. მერე შუშის თაროზე დატოვებულ სიგარეტს დასწვდა, მოქაჩა, მაგრამ დიდი ხნის ჩამქრალი აღმოჩნდა. – აჰა, – უთხრა დედამ და გრძელი სიგარეტი გაუწოდა, ასანთის კოლოფთან ერთად. ზუიმ გამოართვა, ასანთსაც კი გაჰკრა, მაგრამ უცებ ფიქრებმა წაიღო და სიგარეტისთვის აღარც მოუკიდებია, ასანთიც ჩააქრო და სიგარეტიც გამოიღო პირიდან. მერე ბრაზიანად

გადაიქნია თავი: – არ ვიცი, არ ვიცი... გუშინაც ვფიქრობდი, ამ ოხერ ქალაქში კი უნდა იყოს ერთი ფსიქოანალიტიკოსი მაინც, ფრენის რომ უშველიდა-მეთქი... – შუბლი შეიჭმუხნა. – ოღონდ ახლა არც ერთი არ მახსენდება. ფრენის ისეთი სჭირდება... აი, ამ სხვებს არ უნდა ჰგავდეს, ჯერ ერთი, ღვთის ნებით უნდა იყოს ფსიქოანალიტიკოსი და არა – რაღაც სერტიფიკატით. მართლა უნდა სჯეროდეს, რომ ღვთის წყალობაა, თუკი ოდესღაც მანქანამ არ გაიტანა და ახლა საკუთარი პრაქტიკა აქვს. და სჯეროდეს, რომ *ღვთივბოძებული* ნიჭი აქვს – ხალხს დაეხმაროს. ერთსაც არ ვიცნობ ეგეთს. სახელიც კი არ გამიგია. ფრენის თუ ვიღაცა ისეთი შეხვდა – აი, ვინმე თავგადაკლული ფროიდისტი ან ვინმე ეკლექტიკოსი, აჯაფსანდალი რომ აქვს თავში – რომელიც იმასაც კი ვერ ჩამხვდარა, *მადლობელი* რომ უნდა იყოს, თუკი რაღაც ამდაგვარი ნიჭი აღმოაჩნდა, მაგისთანა ისეთ დღეში ჩააგდებს, ს. მონაგონი იქნება! ლამის იყო, ელდა მეცა, ეს რომ ვიაზრე... მოკლედ, მოვრჩეთ ამას, თუ ღმერთი გწამს! – მერე დიდხანს უკიდებდა სიგარეტს, ბოლიც გამოუშვა ნესტოებიდან, სიგარეტი ისევ იმ თაროზე შემოდო და ფრჩხილების ქლიბვას მიჰყო ხელი, თუმცა ისედაც მოვლილ-გაკრიალებული ჰქონდა უკვე. – და საერთოდ, თუ გაინტერესებს და თუკი სიტყვასაც არ გამაწყვეტინებ, – გააგრძელა მცირე ხნის დუმილის მერე, – იმ ორი წიგნის თაობაზეც მოგახსენებ. თუ არადა, არც მე მაქვს დიდი სურვილი

– როგორ თუ არ მაინტერესებს?! ძალიანაც მაინტერესებს.

– კარგი, კარგი, ოღონდ ყოველ სიტყვაზე არ შემაწყვეტინო, იცოდე! – პირსაბანს მიეყრდნო, თან ქლიბი არ გაუჩერებია. – ორივეგან XIX საუკუნის ბოლოს მცხოვრებ ერთ რუს გლეხზეა ლაპარაკი, – წამოიწყო ისეთი გულსგარე ხმით, რომელიც მისგან მაინც თხრობით კილოდ ჩაითვლებოდა. – უბრალო კაცია, ღვთისნიერი და თან ცალხელგამხმარი, ეს კი სავსებით საკმარისია, ფრენიმ მონათესავე სულად მიითვალოს: აკი ყველა სალოსზე და მიუსაფარზე მაგან უნდა იდარდოს... მოკლედ, როგორც ეს კაცი გვიყვება, ცოლიც ჰყოლია, სახლ-კარიც ჰქონია, მაგრამ მისმა ჭკუანაკლულმა ძმამ სახლი გადაუწვა, ცოლი კი მოჰკვდომია. რაკი არაფერი აკავებდა, მომლოცველის გზა აურჩევია ერთადერთ კითხვაზე პასუხის გასაგებად: რას ნიშნავს, საღვთო წერილში რომ წერია, *მოუკლებლად ილოცვიდეთო.*[1] რატომღაც, სწორედ ეს სიტყვები აკვიატებია. – ისევ წაეტანა სიგარეტს, ნაფაზი დაარტყა. – ისე, თავად მაცხოვარიც ამბობს რაღაც მაგდაგვარს: *ჟამსა ყოველსა იფხიზლეთ და ილოცვიდეთო...*[2]

ერთხანს ქლიბს აწვალებდა თითებში, სახეზე უცნაურად მოჟამული გამომეტყველება ედო. – დადის ასე გზა-გზა, მოძღვარს ეძებს, ვინც აუხსნის,

---

1 *წმ. პავლე მოციქულის პირველი ეპისტოლე თესალონიკელთა მიმართ, 5, 17.*

2 *ლუკა, 21,36*

როგორ უნდა ილოცოს *მოუკლებლად* და, საქმე საქმეზე თუ მიდგა, *რატომ.* ერთი მონასტრიდან მეორეში გადადის, ეკლესიას არ ტოვებს მოუნახულებელს, წმინდა ადგილს – მოულოცველს, ათასი ჯურის სასულიერო პირებს ესაუბრება... ბოლოს პოულობს ვიღაც ბერს, რომელიც ეტყვის, რომ ერთადერთი ლოცვა, რაიც კეთილად ეთნიება ღმერთს, თავად მაცხოვრის სიტყვებია: *უფალო, შეგვიწყალე!* სიმართლე ითქვას, სრულად ასეა: „უფალო, შემიწყალე მე ცოდვილი", ოღონდ ამ წიგნებში ამას არავინ აქცევს ყურადღებას და მე თუ მკითხავ, ძალიანაც კარგს შვებიან... მერე ბერი უხსნის, თუ რა ხდება, თუკი ამ ლოცვას დაუსრულებლად იმეორებ. ეს ჩვენი გლეხი კაციც თავდაუზოგავად წვრთნის სულს და მალე აღწევს კიდეც მიზანს – ახლა შეუძლია სწორედ ასე ილოცოს. გახარებული, მთელ რუსეთში დაიარება – უსიერ ტყეებში, დაბლობებსა თუ მაღლობებზე, ქალაქებსა თუ სოფლად, და ყველა მოსურნეს ამ თავის განძს უზიარებს. – დედამისს გახედა: – მისმენ, შე სქელუა დრუიდის ქალო? თუ ისევ ჩემი გასხივოსნებული სახით ტკბები?

ქ-ნმა გლასმა აღშფოთება ვერ დაფარა: – გისმენ, რა თქმა უნდა!

– კიდე კარგი, თორემ არ მჭირდება მე მსმენელი, შუა კონცერტიდან რომ ითესება! – ჩაიცინა თავისთვის და თხრობა გააგრძელა: – პირველ

წიგნში, ძირითადად, სულ ამ კაცის მოგზაურობის ამბებია მოთხრობილი – ვის ხვდება, რას ეუბნებიან სხვათა შორის, ერთიმეორეზე საინტერესო ტიპები არიან გამოყვანილი; მეორე კიდე, ფაქტობრივად, მთელი საღვთისმეტყველო დისერტაციაა თემაზე – რატომაა და რისთვის საჭირო ეს ლოცვა: ჩვენი გლეხყოფილი, მისი ვინმე მოძღვარი, ბერი და კიდე ვიღაც ერთი განდეგილი სხდებიან ერთად და მიდის სჯა-ბაასი. მოკლედ, ესაა სულ. – ქლიბი ახლა მეორე ხელში გადაიტანა. – ამ ორივე წიგნის მიზანი კიდე, თუ მართლა გაინტერესებს, ისაა, რომ ხალხს იესოს ლოცვის მუდმივი გამეორების აუცილებლობა და აქედან მოწევნადი სულიერი სარგებელი დაუმ-ტკიცოს. ამისათვის კიდე საჭიროა, ჯერ გაწაფული მოძღვარი აიყვანო, რაღაც ქრისტიანი გურუს ამ-ბავში, მერე კი უკვე თავად წარსთქვამდე ლოცვას. მოკლედ, ეს საქმე ათასი ჯურის მკერდში მჯილის-მცემელსა თუ გაფუყულ მართლმორწმუნეზე არაა გათვლილი – შეგიძლია, ეკლესიის კიბეზე შესაწი-რავისთვის დადგმული თასიდან ახვეტო ხურდა, ოღონდ ამ დროსაც ლოცვას უნდა წარმოთქვამდე: განწმენდა ლოცვის *მერე* კი არ ხდება, არამედ მი-სი წარმოთქმის დროს... – აქ ცოტათი შეყოვნდა, ოღონდ ეს აშკარად აღარ იყო მჭევრმეტყველების ხერხი. – რამდენადაც ჩავხვდი, მთელი საიდუმლო აქ იმაშია, რომ, ადრე თუ გვიან, ლოცვა თავად გად-მოდის პირიდან, ხოლო თავში გაჩენილი, თანდათან

გულის ცენტრში გადადის და, გულისცემას აყოლილი, უკვე ავტონომიურად მოქმედებს. სწორედ ამის შედეგად – როცა იგი თავად წარმოითქმის გულში – ეზიარება კიდეც ადამიანი არსთა წიაღის საიდუმლოს. ამაზე პირდაპირ არაფერია ნათქვამი, მაგრამ უნდა მოგახსენო, რომ აღმოსავლურ ბრძნობა-სწავლებათა მიხედვით, ადამიანის სხეულში შვიდი ასტრალური ჭიპია, *ჩაკრებად* წოდებული; ხოლო მათგან გულთან ახლოს *ანაჰატა* მდებარეობს, რომელიც რომ უძლიერესია და, თავის მხრივ, წარბებშუა არსებულ *აჯნას* აცოცხლებს – რაც, ჩვენს ენაზე რომ ვთქვათ, იგივე ჯირკვალია, ანუ ეპიფიზი – ე.წ. *აურა* ამ ჯირკვლის გარშემო, და სწორედ აქ იხსნება კიდეც „მესამე თვალი". დიდი არაფერი აღმოჩენაა, ჩვენში დარჩეს – ინდოეთში ეშმაკმა უწყის, რამდენი საუკუნის წინათ იცოდნენ ამ მოვლენის თაობაზე და მას *ჯაპამად* იხსენიებდნენ. ეს კიდე, თავის მხრივ, ერთ მარტივ ამბავს სჩადის – ღმერთისათვის ადამიანთა მიერ შერქმეულ სახელთაგან ნებისმიერის უბრალო გამეორებაა; ანდა, თუკი ასე უფრო გასაგებია შენთვის, მის განსხეულებათა სახელების – მისი *ავატარების* სახელდება. მოკლედ, თუკი დიდხანს, ჯერიჯერზე იმეორებ სახელს და თანაც, გულისგულში, ბოლო-ბოლო პასუხსაც მიიღებ. უფრო სწორად, *პასუხს* კი არა, *გამოძახილს*. – უცბად შეტრიალდა, ისევ გამოაღო აფთაქის კარი, ქლიბი დადო და ახლა ფრჩხილების საწმენ-

დი ჩხირი გამოიღო. – დაიცა, ვინ დაღრღნა ჩემი ჩხირი? – იკითხა უცებ. მერე ოფლით დაცვარული ზედა ტუჩი მარჯვენა ხელისგულით მოიწმინდა და ისედაც გაკრიალებული ფრჩხილების ძირების წმენდას მოჰყვა მარცხენაზე ხელზე.

ქ-ნმა გლასმა მორიგი ღრმა ნაფაზი დაარტყა, ჩვეულებისამებრ გადააჯვარედინა ფეხები და მეტად მომთხოვნი ტონით იკითხა: – მოკლედ, სულ ესაა? ამითაა აქვს ფრენის თავი გამოტენილი?

– მე თუ მკითხავ, კი. მაგრამ მე რას მეკითხები, იმას ჰკითხე.

მცირე ხნით სიჩუმე ჩამოვარდა. არც ერთმა არ იცოდა, რა ეთქვა. მერე ისევ ქ-ნი გლასი ჩაეძია: – დიდი ხნის ამბავია?

ზუის სახე გაუბრწყინდა კმაყოფილებისაგან, მოუტრიალდა: – არც ისე. აი, მღებავები რომ შენს ოთახს მოადგებიან, წინ კი წმინდანები და ბოდჰისატვები წამოუძღვებიან, ბულიონით სავსე თასებით ხელში, სცენის მიღმა კიდე ბავშვთა გუნდი დასცხებს და წარმოსდგება ბარძაყებზე პირსახოცშემოხვეული, თმაშევერცხლილი, ხანმოთეული ჯენტლმენი, წარმოსდგება ლურჯი ცისა და თეთროვანი მწვერვალების ფონზე, და სიმშვიდე მოეფინება სულთა ყოველთა...

– კარგი რა, აღარ მორჩები? – გააწყვეტინა ქ-ნმა გლასმა.

– ღმერთო დიდებულო! მე მხოლოდ თქვენს დახმარებას ვცდილობ, სხვა არაფერი. არ მინდა იფიქროთ, თითქოსდა ეკლესიური ცხოვრება რაიმე უხერხულობას ქმნიდეს მოკვდავთათვის. ზოგს კი მართლა ასე ჰგონია, მართლა-მართლა. არადა, სამკალ ფრიად არს, გარნა... – ცხადი იყო, საკუთარ ცხენჯოხას შემომჯდარი ორატორი იოლად არ დათმობდა სიტყვას, იდგა და ფრჩხილების საწმენდ ჩხირს იქნევდა დედამისის ცხვირწინ. – ოდეს სალოცავი ესე უკან მოგვრჩება, ჩემთვის განსაკუთრებით ძვირფას ერთ პაწია წიგნს გიბოძებთ. ვიმედოვნებ, სწორედ იქა ჰპოვებთ პასუხს ზოგიერთ მცირედ მნიშვნელოვან საკითხებზე, რომელთაც შევეხეთ აქა. სათაური კი ცოტა მაზალო ადევს: „უფალი – ჰობია ჩემი“, ოღონდაც *ავტორი* – თავად დოქტორი ვინსენტ კლოდ პირსონ-უმცროსი გახლავთ, ვინცა გვაუწყებს, რომ ოდეს სრულწლოვანებას მიაღწია, დღეყოველ იწყო ორ-ორი წუთის გადადება ღმერთთან სასაუბროდ, და *ნუუკუე* პირველსავე წლის ბოლოსთვის საკუთარივე წლიური შემოსავალი გაასამმაგა! სადღაც კი უნდა მქონდეს შენახული და თუ იკადრებთ...

– არა, *მართლა* აუტანელი ვინმე ხარ... – უბოროტოდ ჩაილაპარაკა ქ-ნმა გლასმა. მერე თვალებით თავისი დიდი მეგობარი – პაწია ფარდაგი მოძებნა იატაკზე. იჯდა და დაჰყურებდა, ზუი კი ისევ ისე ელოლიავებოდა ფრჩხილებს. ბოლოს და ბოლოს,

ქ-ნმა გლასმა ისევ ამოუშვა ერთი სარეკორდო ოხვრათაგანი და კვლავ ზუის მიაჩერდა; ახლა არც ისე მზერადაფანტული ჩანდა, რამდენიმე წამის შემდეგ კი მართლა რომელიმე საკლუბო გუნდის გულშემატკივარივით გაუნათდა სახე: – სულ უფრო იზრდები და ლამაზდები,– თქვა ხმამაღლა, მერე ხელი გაიწვდინა და სცადა, შიშველ ზურგზე შეხებოდა. – ერთხანს კი ვშიშობდი, ამ სულელური სიმძიმეებით ვარჯიშს არ დაემახინჯებინე.

– ხელი! – წამოიძახა ზუიმ და განზე გახტა.

– რა გეტაკა?! – ალალად გაიკვირვა ქ-ნმა გლასმა.

ზუიმ აფთიაქის კარი გამოაღო და ფრჩხილების საწმენდი თავის ადგილზე დადო. – მოგცლია ერთი, მიშტერებიხარ ამ ჩემს ზურგს... – აფთიაქის კარი მიხურა, მერე საშრობიდან წყვილი ნაქსოვი წინდა ჩამოიღო, გათბობის ბატარეაზე ჩამოჯდა, იმის მიუხედავად, ან იქნებ იმიტომაც, რომ ცხელი იყო, და ჩაცმა დაიწყო.

ქ-ნმა გლასმა ჩაიფხუკუნა, ოდნავ დაგვიანებით: – ჩემს ზურგს მიშტერებიხარო! მაგარია. – თუმცა აშკარად განაწყენებული კი ჩანდა, და ცოტათი შეურაცხყოფილიც. უყურებდა, როგორ იცვამდა წინდებს, სახეზე კი ის გამომეტყველება ედო – ერთდროულად ღირსებისა და ცნობისმოყვარეობის, როცა ადამიანს წლების განმავლობაში გარეცხილი წინდების დათვალიერება გიხდება, ემანდ სადმე გახვრეტილი არ იყოსო. მერე, ტანჯულსახ-

იანი, ისეთივე ხმამაღალი ხვნეშით წამოდგა და ზუის მიერ მიტოვებულ პირსაბანს მიადგა წყლის მოსაშვებად. – რამე იყოს, იქნებ ფლაკონს თავიც დაახურო ხოლმე შიგადაშიგ... – განგებ გამომწვევი ხმით თქვა.

ზუი, რომელიც ახლა წინდების აჭიმებზე მიმაგრებით გახლდათ დაკავებული, ასევე განგებ მშვიდად გამოეპასუხა: – რამე იყოს, იქნებ წარმოდგენის დამთავრების მერე მაინც დაიშალოთ ხოლმე?.. მართლა გეუბნები, ბესი, ერთი-ორი წუთით მაინც დამტოვე მარტო! მეჩქარება, სამის ნახევარზე უკვე ლესაჟთან უნდა ვიყო, მე კიდე გზად რაღაცეები მაქვს საყიდი. აბა, დავიშალეთ! თუ გაქვს რამე საწინააღმდეგო?

ქ-ნი გლასი პირსაბანის წმენდას შეეშვა, გამოხედა და ისევ ის მარადი შეკითხვა დაუსვა, თავის ყველა შვილს რომ უსვამდა ყოველ დილით: – დაიცა, რა, არ წაიხემსებ?

– ქალაქში გავკრავ რამეს კბილს. სადაა ჩემი მეორე ფეხსაცმელი?

ქ-ნი გლასი ახლა უკვე თვალს არ აცილებდა:

– გინდა თქვა, შენს დას არც დაელაპარაკები?

– აბა, რა ვიცი, ბესი! მორჩი, რა, ამ გაუთავებელ შეკითხვებს. რამე რომ მქონდეს სათქმელი, აქამდეც ვეტყოდი, შენი დახმარების გარეშე. – ხელში ცალი ფეხსაცმელი ეჭირა, მეორის მოსაძებნად კი მუხლებზე დაეშვა და თვალებს აქეთ-იქით აცეცებ-

და. – აჰა, გიპოვე თუ არა! – წამოიძახა უცებ, მერე წამოჯდა და თასმების შეკვრა დაიწყო.

ქ-ნი გლასი დასრულებას აღარ დალოდებია, მშვიდად, ფეხაუჩქარებლად იწყო გასვლა, მთლად შენელებული კადრი გეგონებოდათ, და ზუის გულმა რაღაც რეჩხივით უყო.

– არ მესმის, რა დაგემართათ ყველას... – თავიც არ მოუტრიალებია, ისე თქვა და წამით საშრობთან შეჩერდა უშნოდ გადმოკიდებული პირსახოცის გასასწორებლად. – ძველად, რადიოში რომ გამოდიოდით, ისეთი პატარები, მხიარულები, გონიერები... – დაიხარა და რაღაც აიღო იატაკიდან, რაღაც, ქალის თმის მსგავსი, ოღონდ ქერა, რატომღაც. მოტრიალდა, ნაგვის ყუთში ჩააგდო. – რა აზრი აქვს, ყველაფერი იცოდე ქვეყანაზე და ქვეყანას აოცებდე შენი გამჭრიახობით, თუკი ამას არავითარი სიხარული არ მოაქვს. – მერე ისევ კარისაკენ დაიძრა. – არადა, ისეთი საყვარლები იყავით, ისეთ ალერსიანები, ერთი სიამოვნება იყო თქვენი ყურება. – თავი გადააქნია, კარი გამოაღო. – ერთი სიამოვნება იყო, ღმერთმანი, – თქვა და კარიც გაიხურა.

ზუიმ ერთი ღრმად ჩაისუნთქა და მერე ნელი-ნელ ამოისუნთქა. – მაგარი მონოლოგი კი იყო, ღმერთმანი... – თითქოს სიტყვა მიადევნაო, ოღონდ ისე, დერეფნიდან მისი გამგები ნაღდად რომ არავინ იყო.

გლასების სასტუმრო ოთახის შემხედვარე, საერთოდ ვერ იფიქრებდი, მღებავების მისაღებად მზად

არისო. ფრენი გლასს პლედგადაფარებულს ეძინა ტახტზე, დიდი ნოხი არც დახვეული იყო და არც არაფერი; ავეჯი, ერთ პატარა საწყობს რომ გასწვდებოდა, იმ რაოდენობისა, ჩვეული არტისტული უწესრიგობით განელაგებინათ. თავად ოთახი არც ისე დიდი იყო – მანჰეტენზე მიღებულ სტანდარტთან შედარებით – მაგრამ ისე იყო ნაირგვარი ნივთებით გამოტენილი, ვალჰალას[1] დარბაზსაც შეავსებდა: მუდმივად თავახდილი „სტენვეის" როიალი, სამი რადიომიმღები (1927 წლის გამოშვების *ფრეშმენი,* 1932 წლის *სტრომბერგ-კარლსონი,* და 1947-ის R.C.A.), ფართოეკრანიანი ტელევიზორი, ოთხი გრამოფონი (მათ შორის 1920 წლის *ვიქტროლა* – ტუბისოდენა სახმო პირით), თამბაქოსა და ჟურნალების დასალაგებელი ნაირ-ნაირი პატარა მაგიდები, პინგ-პონგის დასაკეცი მაგიდა (ბედზე, დაშლილი), ოთხი სავარძელი, რვა სკამი, ტროპიკული თევზებით თითქმის გამოვსებული ექვსლიტრიანი აკვარიუმი, ზემოხსენებული ტახტი, რომელზეც ახლა ფრენი იწვა, ორი ცარიელი გალია, ალუბლის ხის საწერი მაგიდა და, ყველაფერთან ერთად, დასადგამი, ჩამოსაკიდი თუ შემოსადგამი გამანათებლების მთელი უსიერი ტყე. კედლების გასწვრივ წიგნის თაროები ჩამოემწკრივებინათ, ისეთი გადატენილი, გასაკვირი იყო, რას უძლებდ-

---

[1] *გერმანულ-სკანდინავიურ მითოლოგიაში, ადგილი, სადაც ბრძოლაში დაღუპული მეომრები განისვენებენ.*

ნენ; და რას არ ნახავდით ზედ – საბავშვო წიგნები გინდა, სახელმძღვანელოები, ბუკინისტებთან ნაშოვნი თუ ბიბლიოთეკებიდან მითვისებული... ოღონდ აქ „დრაკულა“ მეზობლობდა „პალის ენის საფუძვლებთან“, „მკვლელობა მორგის ქუჩაზე“ – „ულისესთან“, „ნენსი დრიუ და იდუმალი კიბე“ – „სარტორისთან“ და ასე და ამგვარად. მოკლედ, მედგარ მღებავებს თუნდაც ყველა ეს წინაღობა გადაელახათ, ბოლოს მაინც კარადებს მიადგებოდნენ, რომელთა გამოწევა-გადაადგილებაზე უკვე მათგან ყველაზე თავდადებულნიც კი დაყრიდნენ პროფკავშირის ბილეთებს; მაგრამ მთელი ამ ბარიკადების მიღმა და ზემოთ, მთლად ჭერთან, ბათქაშდამსკდარი კედლების მთელ გაყოლებაზე ისეთი ნივთები გამოეფინათ, რასაც მიახლოებით თუ დაარქმევდით „სამშვენისებს“: ჩარჩოში ჩასმული, გაყვითლებული ფოტოსურათები, სამახსოვრო წერილები თუ მისალოცი ბარათები, ბრინჯაოსა და ვერცხლის მედლები, სიგელ-დიპლომები, და ყველა მათგანი ერთად და ცალ-ცალკე ადასტურებდა, რომ 1927-1943 წწ. რადიოგადაცემა „ჭკუის კოლოფი“ ერთპიროვნულად (ხანაც – *ინ დუო*[1]) მიჰყავდა გლასების საგვარეულოს ამა თუ იმ წარმომადგენელს (ბადი გლასმა, ახლა ყველაზე უფროსმა მათ შორის – ის უკვე ოცდათექვსმეტისა გახლდათ – ერთხელ ენამოსწრებულად შენიშ-

[1] *დუეტში, ერთობლივად.*

ნა კიდეც: *ეს კედლები ჭეშმარიტად რომ ხატად-ქმნილი ჰიმნია კომერციალიზებული ამერიკული ბავშვობისა და ადრეული მომწიფების უგვანობისაო...* თუმცა კი ერთთავად იმას გაიძახოდა, რამდენად იღბლიანნი არიან ჩემი და-ძმები, ჩემსავით მიყრუებულ კუთხე-კუნჭულში რომ არ უწევთ ცხოვრებაო). კედელთა ამგვარად გაფორმების იდეა ბ-ნ ლეს გლასს, ოჯახის თავს ეკუთვნოდა, რომელიც მუსიკალური კომედიის მსახიობი გახლდათ და აშკარაა, „სარდის თეატრალური რესტორნის" ხშირი სტუმარიც უნდა ყოფილიყო, ხოლო ამა პროექტის ხორცშესხმა, ეჭვი არაა, უკვე ქ-ნ გლასის სრული თანხმობისა და ლოცვა-კურთხევის შედეგი გახლდათ. აღსანიშნია, რომ ამ შემოქმედების მწვერვალი ზედ ტახტის თავზე ეკიდა: ამონაჭრები ჟურნალ-გაზეთებიდან ისე მიჯრით გაეკრათ, კაცს შპალერი ეგონებოდა. სამაგიეროდ, კარგა დაბლა განელაგებინათ, რათა საჭიროების შემთხვევაში, ნებისმიერ სტუმარს, ახლობელსა თუ შორებელს, მათი გადათვალიერება უწვალებლად შეძლებოდა.

სიტყვამ მოიტანა და, მღებავების მოლოდინში, იმ დილით ქ-ნმა გლასმა ორი მრავალმნიშვნელოვანი რამის გაკეთება მოასწრო: რაკიღა სასტუმროში წინკარიდანაც შეიძლებოდა შესვლა და სასადილო ოთახიდანაც, ხოლო ორივეგან მაქმანებიანი აბრეშუმის ფარდებაკრული შუშის კარები იყო გამყოფად, ესენი დროულად დააცალა მათ; მერე

კიდევ, როგორც კი დამატებით დრო იხელთა, ანუ – როცა ფრენი ვითომ ბულიონს უსინჯავდა გემოს, არჩვის სისხარტით აძვრა სამივე ფანჯრის რაფაზე რიგრიგობით და ხავერდის მძიმე, სქელი ფარდებიც ჩამოხსნა.

ოთახი სამხრეთისაკენ იყურებოდა. ზუსტად მოპირდაპირე მხარეს, ჩამოსახვევის გადაღმა, გოგონათა სკოლის ოთხსართულიანი შენობა წამომართულიყო – როგორც წესი, ეს მრუმე ნაგებობა დღის ოთხის ნახევრამდე ინარჩუნებდა უკარება-უჩუმარ იერს, ამის მერე კი მე-2 და მე-3 ავენიუებზე განლაგებული სხვა სკოლებიდან იწყებოდა მის ეზოში ბავშვების შემოსევა და ჟივჟივი. გლასების ბინა ერთი სართულით მაღლა იყო და ახლა, ოთხ სართულს ზემოთ ამოწვერილი მზე შიგ უფარდებო ოთახში იჭყიტებოდა. არადა, თვალის სასეირო აქ ბევრი არაფერი იყო: დიდი ხნის გაურემონტებელ, სენტიმენტებითა და მოგონებებით გაძეძგილ, წარსულში ჰოკეის მოედნად მრავალჯერ ქცეულ ამ სივრცეში ავეჯის ნებისმიერ ნაჭერს ერთ ფეხსაც ვერ უპოვიდით მოურყეველს, თუნდაც ერთ გვერდს – დაუკაწრავ-დაუფხაჭნელს; დაახლოებით კაცის სიმაღლეზე კი ყოველ კედელს მრავალგზის ერტყა ნაირ-ნაირი მფრინავი ობიექტების კვალი: ბეისბოლის ბურთებისა გინდა თუ ჰოკეის ყვანჯის, სათამაშო თოფებიდან ნასროლი პლასტმასის ტყვიებისა თუ შუშის ბურთულების, ფანქარ-საშლელებისა

თუ – ერთ განსაკუთრებულად დასამახსოვრებელ შემთხვევაში, რომელსაც 30-იანი წლების დასაწყისში ჰქონდა ადგილი – ფაიფურის უთავო თოჯინისაც კი. მაგრამ განსაკუთრებული, პირდაპირ ბარბაროსული დაუნდობლობით მზე ძირს დაფენილ ხალიჩას ანათებდა: ერთ დროს მუქი ღვინისფერი, ახლა შინაური ცხოველების დატოვებულ, პანკრეასის ფორმის გამოხუნებულ ლაქებს დაეწინწკლა; აღარას ვამბობთ იმ უმსგავსობაზე, მნათობის სხივი ტელევიზორის დიდი ხნის წინ სამუდამოდ ჩამქრალ ეკრანსაც რომ მისდგომოდა.

გარშემო ბალიშებშემოწყობილ ფრენის პირით კედლისაკენ ეძინა, ტუჩები ოდნავ გაპობოდა, მარჯვენა ხელი კი მოემუშტა – თითქოსდა ახლა, ოცი წლისას, ქვეცნობიერად, ბავშვობის დროინდელი დაცვითი რეფლექსები დაჰბრუნებოდა. და აი, აქ, ტახტზე, სიმართლე ითქვას და, მზეც კი წესითა და რიგით იქცეოდა – მხოლოდ ფრენის ყორნისფერ, მოკლედ შეკრეჭილ, დღეში სამჯერ განბანილ თმას ელამუნებოდა, ოღონდ მთლად არც დედის გადაფარებული პლედი დავიწყნია და მის ნაქსოვ ხვეულებშიც გვარიანად დათარეშობდა.

ზუიმ პირდაპირ აბაზანიდან შემოალაჯა და კარგა ხანს იდგა ტახტის თავთან, ამჯერად პირში სიგარაგაჩრილი – ჯერ იყო და, თეთრ პერანგს იტენიდა შარვალში, მერე მანჟეტებს იკრავდა, ბოლოს კი უბრალოდ ისე იდგა და იყურებოდა აქეთ-იქით; თან

ეწეოდა, თან შუბლს იჭმუხნიდა, თითქოსდა იქაურობა იმგვარ თეატრალურ რეჟისორს გაეწყო, ვისი გემოვნებაც, ცოტა არ იყოს, აეჭვებდა. მისი ასაკისა და აღნაგობის (ასე ჩაცმული, ძალზე ახალგაზრდა, ჯერ ზრდადაუსრულებელ ბალეტის მოცეკვავეს უფრო წააგავდა), სახის ნაკვთების გამორჩეული დახვეწილობისდა მიუხედავად, ვერავინ იტყოდა, სიგარა არ უხდებაო. ჯერ ერთი, ცხვირპაჭუა არ გახლდათ და მეორეც, ზუი ისე არ ეწეოდა, როგორც ეს მისი ხნის ახალგაზრდებს სჩვევიათ ხოლმე – აგდებული მანერულობით. სიგარების ნევა თექვსმეტი წლისამ დაიწყო და თვრამეტისას უკვე თავგადაგებული მწეველი ეთქმოდა. უმეტესად კი ძვირიან, წვრილად დახვეულ *პანატელასს* ამჯობინებდა.

ვერმონტული მარმარილოს პაწია ყავის მაგიდა ზედ ტახტზე მიებჯინათ. ზუი პირდაპირ მას მიადგა – საფერფლე, ვერცხლის სათუთუნე, რაღაც ჟურნალიც გვერდზე მისწია, ზედ ჩამოჯდა და ფრენის სახეს დააცქერდა. მერე მუშტად შეკრულ ხელის მტევანსაც შეავლო თვალი, პირიდან სიგარა გამოიღო და ძალიან ფრთხილად წაეპოტინა მხარზე. – ფრენი, – თქვა ლამის ჩურჩულით, – ფრანსის, ადე, წავედით. რა ყრია აქ წოლაში..

ფრენი ლამის იყო, ადგილზე შეხტა, თითქოს ტახტს გადმობრუნებას უპირებდა ვინმე. ცალი ხელი ასწია, მჭახე სინათლეზე თვალები აახამხამა და ესღა წაიბურტყუნა: – ეს მზე საიდან? – ჯერაც არ

ჰქონდა ზუის იქ ყოფნა ბოლომდე გააზრებული. – მზეს აქ რა უნდა? – იკითხა ისევ.

– მე მზეს მუდამ თან დავატარებ. რა, არ იცოდი?

ფრენი, ჯერ კიდევ თვალებმოჭუტული, ცდილობდა მისთვის მზერა გაესწორებინა: – რატომ გამაღვიძე? – ჰკითხა. არც მთლად ისე გამოფხიზლებული იყო, ჭიჭყინი აეტეხა, მაგრამ გრძნობდა კია, რომ რაღაც უსამართლოდ მოექცნენ.

– ე-ე... როგორ გითხრა, მე და ძმა ანსელმოს ახალი სამწყსო შემოგვთავაზეს, და თანაც სად, თუ იცი? სადა და – ლაბრადორზე. თქვენი ლოცვა-კურთხევა გვჭირდება, სანამ...

– ა-უ-ჰ! – ფრენიმ ხელები შემოიწყო კეფაზე. ლამაზად შეკრეჭილი თმა სულ ოდნავ თუ აეწენწა ძილში. – საშინელი სიზმარი ვნახე, – თქვა და ხალათის საყელო შეისწორა. მშვენიერი, კოხტა ხალათი იყო, აბრეშუმის, ზედ ვარდებდაქსოვილი.

– აბა, მომიყევი და აქვე ყველა კუთხით ავხსნი, – თქვა ზუიმ, თან სიგარას აფუილებდა.

ფრენის გააჟრჟოლა. – მართლა საშინელება იყო. რაღაც, ობობასმაგვარი. ამისთანა ცხოვრებაში არაფერი დამსიზმრებია.

– ესე იგი, ობობა. ძალიან კარგი. უაღრესად დიდი მნიშვნელობის მატარებელი სიზმარი ყოფილა, ღმერთმანი. ზუსტად ეგეთი შემთხვევა მქონდა ციურიხში ამ რამდენიმე წლის წინათ...

– დაიცა, რა, თორე სულაც გადამავიწყდება! – სადღაც სიშორეში გაუშტერდა მზერა, როგორც

ეს ყველას ახასიათებს, ვინც კი ცდილობს, ნანახი სიზმარი აღიდგინოს ახალგამოღვიძებულზე. თუმცა თვალის უპეები ერთიანად ჩაშავებოდა, რაც იმის უტყუარი დასტური გახლდათ, რომ გოგონას რაღაც აშფოთებდა, მაინც მთლად ბრმა უნდა ყოფილიყავი კაცი, მისი სილამაზე ვერ შეგემჩნია. თლილი ნაკვთები ჰქონდა და ხავერდოვანი კანი, თვალები კიდევ – ლამის ისეთივე გამაოგნებლად მოლურჯო, როგორც მის ძმას; ოღონდ, მისგან განსხვავებით, საჭირო იყო საათობით გეცქირა მათი გამომეტყველების დასაჭერად! ამ ოთხიოდე წლის წინ, გამოსაშვებ საღამოზე, მისმა მეორე ძმამ, ბადიმ დაასკვნა – მაგას ისეთი გამოხედვა აქვს, და ჩემი ბედის ამბავიც რომ ვიცი, გამორიცხული არაა, სულაც ვინმე ჭლექიანს გაჰყვეს ცოლადო. ასე გამოდის, რაღაც ამგვარიც მოჩანდა მის თვალებში.

– აჰა, გამახსენდა! ვიღაცის საცურაო აუზში ვჭყუმპალაობდი, იქაურობა ხალხით იყო გაძეძგილი, და მაიძულებდნენ, ერთი ქილა *მედალია დ'ოროს* ყავის ქილის ამოსაღებად ჩამეყვინთა. ამოვყვინთავდი თუ არა, ისევ უკან მაბრუნებდნენ, მე ვტიროდი და ყველას ვეხვეწებოდი – ერთხელ თქვენც შემეშველეთ-მეთქი! ისინი კიდე მხოლოდ იცინოდნენ და მამასხარავებდნენ, და ხელებს მკრავდნენ... – ისევ გააჟრჟოლასავით. – სტეფანი ლოგანიც იქ იყო და კიდე ვიღაც, იმას კარგად არ ვიცნობდი, მაგრამ სახელი ჰქონდა იმისთანა, სულ

მეცოდებოდა, კლასში აიკლებენ-მეთქი. კი, ეგრეა – შარონ შერმანი ერქვა და ეგა და სტეფანი გრძელზე გრძელი ნიჩბით მიბიძგებდნენ ხოლმე, როგორც კი თავს წყლიდან ამოვყოფდი. – ფრენიმ წამით თვალები დახუჭა, მაგრად. – რა უბედურებაა! – თავი გააქნია, დაფიქრდა. – ერთადერთი, ვინც ამ სიზმარში მართლა *თავის ადგილას* იყო – პროფესორი ტაპერი – სწორედ ისე იქცეოდა, როგორც უნდა მოქცეულიყო: ერთადერთი ვინმეა, ვინც მართლა ვერ მიტანს!

– მაშ, ეგრეა საქმე? საინტერესოა... – ზუიმ სიგარა პირიდან გამოიღო და თითებში დასორსლა. ზუსტად ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, როგორიც სიზმრების ამხსნელ მისან-ჯადოსანს უნდა ჰქონდეს, ვისაც ჯერ ბოლომდე არ მოუსმენია ამბავი. ძაან კმაყოფილი სახე კი ჰქონდა, პირდაპირ უნდა ითქვას. – და რატომ ვერ გიტანს? მოგეხსენებათ, სრული ინფორმაცია მჭირდება, სხვა შემთხვევაში ვერაფერს დაგპირდებით.

– მაგის იდიოტურ სემინარზე ვარ ჩაწერილი, რელიგიების თაობაზე და ერთხელაც ვერ გავუღიმე – თუმცა ერთთავად იმის ცდაშია, თავისი ოქსფორდული მანერებით მომხიბლოს. ჩვენთან დროებითაა, ოქსფორდიდან მოავლინეს რაღაც გაცვლითი პროგრამის ამბავში თუ რაღაცა, ის კიდე ერთი გაფუყული თვითკმაყოფილი ბერიკაცია. თავზე მთლად თეთრი თმის ისეთი ძნა ადევს, ეტყობა,

ყოველი ლექციის წინ საპირფარეშოში შერბის და იფუებს – ღმერთმანი, ჭკუა არ დაუშლის! საგანი კი სულ ფეხებზე ჰკიდია. საკუთარი თავის გარდა, არც არაფერი აინტერესებს ქვეყანაზე. ეს კიდე არაფერი – ეგეთები მინახავს? მაგრამ ტვინი წაიღო იმაზე ქაქანით, რამდენს მიაღწია ცხოვრებაში და ჩვენ, სტუდენტები, აქეთ უნდა ვიყოთ თურმე მადლიერი, სწორედ ის რომ გვიკითხავს ლექციებს და არა ვიღაც ხელმოცარული! – ფრენი გაიჭყანა. – ერთი ეგღა შეუძლია, თუკი პალის ენა აურიე სანსკრიტში, მაგაზე მიგითითოს... იცის, როგორ არ იცის, დასანახად რომ ვერ ვიტან!

– და აუზთან რა ესაქმებოდა?

– ეგ არ მიკვირს?! არც არაფერი! *სრულიად* არაფერი! იდგა და უყურებდა, როგორ მაწვალებდნენ. მართლა დიდი საზიზღარი ვინმეა.

ზუიმ სიგარის კვამლი გამოუშვა პირიდან და რაღაც ისე, გულსგარეთ შენიშნა: – საშინლად კი გამოიყურები.

ფრენიმ თვალები ჭყიტა. – რა, მთელი დილა მაგის სათქმელად ემზადებოდი? თუ უკეთესი ვერაფერი მოგადგა ენაზე? – მერე დაამატა: – ახლა არ დამიწყო, რა, გეხვეწები, ზუი... მართლა-მართლა.

– აზრადაც არ მომსვლია, – თქვა ზუიმ, ისევე გულსგარე ხმით, – უბრალოდ, ძაან ცუდად გამოიყურები, ეგაა და ეგ. გეჭამა მაინც რამე. ბესი გაიძახის, გადასარევი ბულიონი გამომივიდაო.

– ვინმე თუ კიდე სიტყვას მაინც დაძრავს მაგ სალაფავზე...

ოღონდ ძმა უკვე აღარც უსმენდა – მზით განათებულ პლედს დაშტერებოდა, ფრენის რომ ეფარა.

– ე-ეს ვინღაა? ბლუმბერგ, შენა? – და რაღაც ამობურცულს ატაკა თითი ფრენის ფეხებთან. ბორცვი შეირხა.

– ვერაფრით მოვიშორე თავიდან, – თქვა ფრენიმ, – რა სიყვარულის ბუშტი გაუსკდა!

ზუის თითით მყუდროებადარღვეული ბლუმბერგი აწრიალდა, გაიზმორა და ნელ-ნელა, ფრთხილად გამოყო დრუნჩი. ფრენიმ წამსვე ქეჩოში ჩაავლო ხელი და ჩაიხუტა. – დილა მშვიდობისა, შე ძილისგუდა, შენა! – თქვა და დრუნჩზე აკოცა. ძაღლმა თვალები ააფახულა. – დილა მშვიდობისა, შე გასიებულო, დილა მშვიდობისა, დილა მშვიდობისა, დილა მშვიდობისა! – მერე კოცნით აიკლო, მაგრამ საპასუხო ალერსი ვერ მოგართვეს! დაკოდილი, აჯაგრულბეწვიანი ძაღლი მხოლოდ მხარზე მოეპოტინა თათებით. – არა, მაინც ცდილობს, ხომ ცდილობს? – ჰკითხა ფრენიმ, ოღონდ ძმას წარბიც არ შეუხრია, ისევ სიგარას აფუილებდა. – კარგი რა, ზუი, იქნებ შენც მიეფერო ცოტათი! დაგაკლდება რამე?

ზუიმ უხალისოდ გაიწვდინა ხელი და ბლუმბერგს ზურგზე გადაუსვა – ერთხელ, ორჯერ, მერე შეეშვა, წამოდგა და ათასგვარი საჭირო, და არც იმ-

დენად, ნივთების გვერდის ავლით პიანინოსთან მივიდა. ინსტრუმენტი თავახდილი იდგა – შავი, დიდი, მთელი თავისი სტენვეიური შთამბეჭდაობით მოსილი. ფრთხილად ჩამოჯდა უზურგო სკამის კიდეზე, მერე კი გაშლილი ნოტებით დაინტერესდა.

– იმდენი რწყილი ჰყავს, უკვე აღარც კი გვეცინება მაგის ქექვაზე, – თქვა ფრენიმ. ცდილობდა, ძაღლის გული მოეგო და როგორმე მყუდროდ მოეყუჩებინა თავის გვერდით. – გუშინ მთელი თოთხმეტი ცალი ვუპოვე. და ეს მხოლოდ ცალ გვერდზე. – გაძალიანებულ ცხოველს ხელი ჰკრა და იატაკზე გადმოასკუპა. – მართლა, სცენარი როგორ მოგეწონა? – ცერად გამოხედა ზუის. – საერთოდ, თუ წაიკითხე მაინც?

პასუხი ვერ მიიღო. – დაიცა, – მოესმა უცებ, – ეს საიდან? – ზუი თვალს არ აშორებდა ნოტების ფურცელს. თემას „ასე ნუ მეპყრობი, კარგო“ ერქვა და ერთი ორმოცი წლის წინანდელი მაინც იქნებოდა. ოღონდ ეგაა, გარეკანს ბ-ნ და ქ-ნ გლასების ფოტო ამშვენებდა: ოჯახის თავიცა და დიასახლისიც რატომღაც ცილინდრსა და ფრაკში გახლდნენ გამოწყობილნი, იღიმებოდნენ და წინ, კამერისკენ გადმოხრილები, ხელჯოხებს ეყრდნობოდნენ.

– ეგ რა არი? – გამოსძახა ფრენიმ. – აქედან ვერ ვხედავ.

– ბესი და ლესი. ერთად თამაშობდნენ პიესაში „ასე ნუ მეპყრობი, კარგო“.

– აჰა-ა-ა, გასაგებია. ლესის ეგონა, მუცლის-გვრემა მჭირდა და მთელი საღამო მართობდა მუსიკალური მოგონებებით. ნოტი არ დატოვა დაუკვრელი.

– ღმერთო, გამაგებინე, აქამდე როგორ დავედით, თუკი ყველაფერი ასე კარგად იწყებოდა?!

– აბა, რა ვიცი. მეც ვეკითხებოდი და პასუხი ვერ მივიღე. დაიცა, და პიესა? მოგიტანეს ბოლო-ბოლო? აკი ლესაჟმა, თუ რა ჰქვია იმას, კარისკაცს დავუტოვებო?

– გადმომცეს, კი. მეზარება ახლა მაგაზე...

სიგარა ისევ პირში გაიჩარა და მარჯვენა ხელით „კინკაჟუს" სახელით ცნობილი თემის ვარიაციების კაკუნს მოჰყვა. არადა, რამე იყოს, ეგ ჯერ კიდევ ზუის დაბადებამდე დაიწერა და მაშინვე მიავიწყდა კიდეც ხალხს. – სცენარიც მივიღე და სადღაც შუაღამისას დიკ ჰესმაც დამირეკა, გამო, სადმე დავლიოთო, თუნდაც „სან-რემოშიო". ღმერთმანი, ჰგონია, რომ გრინვიჩ-ვილიჯი აღმოაჩინა. ღმერთო, შენ გვიშველე!

– ასე ნუ უბარტყუნებ კლავიატურას! – წამოიძახა უცებ ფრენიმ. – თუ მანდ ჯდომას აპირებ, უნდა გიდირიჟორო. ნუ უბარტყუნებ-მეთქი!

– მაგ ნაბიჭვარს ძალზე კარგად მოეხსენება, რომ ნიუ-იორკში დავიბადე და თუკი რამეს ვერ ვიტან, სწორედ ეგ ყბადაღებული „ადგილობრივი კოლორიტია"; მეორეც – იცის, რომ მთელი სამოც-

დაათი კვარტალის მოშორებით ვცხოვრობ ვილი-ჯიდან და მესამეც, რამდენჯერ გავუმეორე, უკვე პიჟამა და ფლოსტები მაცვია და არსად გამოსვლას არ ვაპირებ-მეთქი!

– მე კიდე გეუბნები, ნუ უბრახუნებ-მეთქი მაგ საცოდავ კლავიშებს!

– გაგიგონია?! გინდა თუ არა, ახლავე აქ უნდა გაჩნდეო. მაგარი მნიშვნელოვანი საქმეაო. კაცი არა ხარო? და ა.შ. და ა.შ.

– მერე, შენც ადექი და წახვედი?

– აბა, არა? ნებისყოფის ნატამალი არ გამაჩნია და რა ვქნა?! ჩემი უბედურებაც ისაა, ამ ქალაქში ყველა ჩამოსულს რომ მე უნდა ვუპატრონო! ან მან-ქანა არ დაეჯახოთ, ან მეორე ავენიუზე, სომხური დუქნების ძებნაში რამე შარში არ გაეხვიონ... რა ძა-ლა მადგას?! – ბოლმიანად გააბოლა. – მოკლედ, მი-ვედი და რას ვხედავ – ზის იქ, ერთიანად დათრგუ-ნული, აქაოდა, ძაან-ძაან მნიშვნელოვანი ამბებით თავგამოტენილი, ცისფერ ჯინსში და რაღაც უბე-დურ ქურთუკში გამოწყობილი – ნაღდი ბიტნიკია თუ ვიღაც, მაგეებში კარგად ვერ ვერკვევი და მზად ვიყავი, იქვე მიმესიკვდილებინა, ის კიდე იჯდა და მთელი ორი საათი ტვინს მიბურღავდა, თუ რა ჭკვიანი ვინმე ვარ და მთელი ჩემი ოჯახი რო სულ გენიოსებითა და ფსიქოპათებითაა გაძეძგილი! მე-რე კიდე, როცა ჩემი, სიმორის და ბადის ფსიქოანა-ლიზსაც მორჩა (თან ისინი თვალითაც არასოდეს

უნახავს!), უცბად მაგიდის ქვემოდან ის თავისი მონოგრამიანი ჩანთა დააძრო და ერთსაათიანი ფილმის ახალ სცენარს არ მტენის?!

წამოხტა, ხელები ჯიბეებში ჩაიწყო, ჩამქრალ სიგარას კბილებში აწვალებდა. – წლობით ვუსმენდი, ბადი რას ლაპარაკობდა ხოლმე მსახიობებზე და ერთი ისიც მოესმინა, *მე* რას მოვუყვებოდი ამ მწერალ ხალხზე! ერთხანს იდგა ასე, უძრავად, მერე 20-იანი წლების გამოშვება „ვიქტროლასთან" მივიდა, დააშტერდა და უცებ მილში ჩასძახა რაღაც, ექოს შესამოწმებლად.

ფრენის სიცილი აუტყდა, იმას კი სახე მოექუფრა და ახლა აკვარიუმთან გადაინაცვლა. – ჩემი შავი მოლინეზიები კი ერთიმეორის მიყოლებით იხოცებიან, – თქვა ნაღვლიანად და თევზების საკვებით სავსე ქილას წაეტანა გაუაზრებლად.

– არ გინდა, ბესიმ დააპურა ამ დილით, – გააფრთხილა ფრენიმ.

– რა ვიცი, დამშეულად კი გამოიყურებიან და... – თუმცა ქილას ხელი აღარ ახლო. – აი, ეს, ყველაზე პატარა, მთლად გაძვალტყავებულია. – მერე შუშის კედელს მიუკაკუნა მოხრილი თითი. – ქათმის ბულიონი არც შენ გაწყენდა, მეგობარო.

– თვითონ შენ რაღას მიკეთებ? – გამოსძახა ფრენიმ, აშკარად სურდა, საუბარი სხვა თემაზე გადაეტანა. – ახლა ორი სცენარი გაქვს ხელზე. ლესაჟის მოცემული მაინც თუ ვარგა რამედ?

ზუი ერთხანს ისევ თევზებს მისჩერებოდა, მერე უცებ, თითქოს რაღაცამ წამოუარაო, ნოხზე გაიშხლართა და ხელები თავქვეშ ამოიწყო.

– მანდ ვინმე რიკ ჩალმერსი უნდა ვითამაშო. სუფთა სალონური კომედიაა, სადღაც 30-იანების სტილში, შიგ ჩართული ძაან ბრძნული საუბრებით სუბლიმაციების, კომპლექსების, დათრგუნული სურვილების თაობაზე, და თან ისეთი ცნებებით გაჯერებული, მაგის დამწერმა აშკარად რომ საკუთარი ფსიქოანალიტიკოსისაგან გადაიღო.

ფრენი მის ფეხსაცმელებს აკვირდებოდა – იმ ადგილიდან, სადაც თავად იწვა, მეტი მაინც არაფერი ჩანდა. – და დიკის ნაწერი?.. რაო, რა მინდაო? წაიკითხე უკვე?

– ვაის გავეყარე და ვუის შევეყარე – ასეა ჩემი საქმე. იქ ერთი ძაან მგრძნობიარე სულის პატრონი მეტროს მორიგეა, ახალგაზრდა კაცი. გლიჯავს.

– მართლა მოგეწონა?

– მომეწონა არა... თუმცა გაუშვებენ თუ არა ტელევიზიით, მეორე დილასვე ატყდება ერთი მილოცვები და ამბავი! დღეს კიდე ჰესი შევა ლესაუთან კაბინეტში და ეტყვის: *ახალი სცენარი მოგართვით – ისეთი რამე, თითებს ჩაიკვნეტთ! ერთი ნაზი სულის ახალგაზრდა კაცზეა, მეტროში მუშაობს და მთლად თავგზა აქვს არეული – ათასი ზნეობრივი პრობლემა აწუხებს და საერთოდ, თვალსა და ხელს შუა კარგავს ადამიანის რწმენას,*

და სწორედ ამ დროს მისი 9 წლის დისშვილი მორბის მასთან და ენდრიუ ჯექსონისეული შოვინიზმით ურეცხავს ტვინს! მაგარია, ყველას მოეწონება!

უცბად წამოიწია და წამოჯდა. ფრენის დააკვირდა, ყურადღებით. – აჰაა, – თქვა, წამოდგა და ტახტთან მივიდა. აშკარად შარზე იყო. – ქალბატონი ტუჩებს აცმაცუნებს, ქალბატონს ლოცვის საათი აქვს... ეგრეა?

ფრენის თავიც კი არ აუწევია.

– რა იყო, რა გეტაკა? პოპ-ხელოვნების მიმართ ჩემს არაქრისტიანულ მიდგომას მისტირი? გეყო, რა... ეს სახლი სულ მოღიმარი ხალხით იყო ხოლმე სავსე. ასეთი მეტისმეტი გულმხიარულებაც არ ვარგა. – ახლა ფანჯარასთან იდგა, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი.

ფრენიმ თავი დაუქნია. მერე გაუღიმა, ოღონდ ტუჩები მისდაუნებურად განაგრძობდნენ მოძრაობას.

– და კიდევ, აი, რა – ამ ზაფხულს ალბათ საფრანგეთში მომიწევს გადაღებებზე წასვლა, გითხარი უკვე?

ახლა კი ასწია თავი ფრენიმ და ზურგში მიაშტერდა. – არა, არ გითქვამს! არ ხუმრობ? რას იღებენ?

ზუი ახლა სკოლის სახურავს ათვალიერებდა განსაკუთრებული ყურადღებით. – გრძელი ამბავია. ერთი ვიღაცა გაიჩითა იქიდან – ფილიპთან ერთად ჩაწერილი ჩემი ფირფიტები ჩავარდნია ხელში.

ორი კვირის წინ ვისადილეთ ერთად. ერთი ღვთის გლახაა. მაგრამ ენა აქვს აქაფებული!.. ნუ იტყვი. თან ფართოდ ცნობილიც ყოფილა გარკვეულ ვიწრო წრეებში. – ფეხი რაფაზე შემოდო. – ჯერ ისეთი არაფერი, მაგათთან ხომ ბოლომდე არასოდეს არაფერია ხოლმე ცხადი და გადაწყვეტილი, მაგრამ, მგონი, დაინტერესდასავით. მინდა ლენორმანის რომანის მიხედვით გადავაღებინო ფილმი. გეხსომება, გამოგიგზავნე კიდეც წასაკითხად.

– მაგარია! *არაჩვეულებრივია!* როდის დაიწყებთ?

– არაფერი *არაჩვეულებრივი* ამაში არაა, ფრენი. არც მაგარი და არც რბილი. არავითარი სურვილი არა მაქვს, ნიუ-იორკიდან სადმე დავახვიო. ეს *ხელოვნების მუშაკები,* ერთთავად გემებით რომ მოგზაურობენ... მე კიდე აქ დავიბადე, აქ ვსწავლობდი, ამ ქალაქში ერთსა და იმავე ქუჩაზე ორჯერ დამეჯახა მანქანა... ევროპაში რა ჯანდაბა მინდა?

ფრენი ფიქრიანად შესცქეროდა მის თეთრპერანგიან ზურგს; ტუჩებს ისევ ისე აცმაცუნებდა. – რაღაზე მიდიხარ? – ჰკითხა. – თუკი რაღაც გაეჭვებს.

– იმიტომ, რომ მომბეზრდა ყველაფერი. მომბეზრდა, დილით რომ ბოღმისაგან კრიჭაშეკრული ვიღვიძებ და ღამით კიდე ბრაზისაგან კრიჭაშეკრული ვწვები დასაძინებლად! რას ვაკეთებ? ხალხს ვუჩვენებ, რომ სულაც არაა აუცილებელი, მართ-

ლა კარგად აკეთო შენი საქმე – ისედაც *წავა*, თუკი *სწორად* გააკეთებ! მთავარია, შემკვეთს, კრიტიკოსს, ზოგადად, ხალხს, მისი შვილის სკოლის მასწავლებელს მოეწონო. ეგაა სულ. – მოიღუშა, თითის წვერებით ოფლი მოიწმინდა შუბლიდან. მერე გაიგონა, ფრენიმ რომ უთხრა რაღაც. – რა თქვი? არ მესმის.

– არც არაფერი. *ღმერთო ჩემო-მეთქი.*

– რატო მაინცადამაინც *ღმერთო ჩემო?* – აშკარად გაღიზიანებული ჩაეკითხა.

– ისე, უბრალოდ. ახლა მაგაზე ნუ ამიტყდები, თუ გიყვარდე. ჩემსას ვფიქრობდი და ერთი ამ შაბათს გენახე... ლეინს მთელი ის დღე ჩავუმწარე! ჯერ ერთი, რომ წარამარა გული მიმდიოდა, მერე კიდე – პირს გააღებდა თუ არა, სიტყვის თქმასაც არ ვაცლიდი, ყველაფერზე ვედავებოდი. მოკლედ, ფეხბურთის მატჩიც იქით მოგვრჩა და წყნარი, მშვიდი, გემრიელი შაბათი საღამოც. ყველაფერი გავაფუჭე. – თავი გააქნია, თითქოს ფიქრების მოშორება უნდაო. ახლა როიალს მიშტერებოდა. – ერთხელაც ვერ შევიკავე თავი, საკუთარი ბრძნული მოსაზრებები არ გადმომეფრქვია მაღალი ტრიბუნიდან. ჯერ კიდევ სადგურში რომ დამხვდა, უკვე მაშინ დავუწყე ყველაფერზე დავა-კამათი. ენა არ გამიჩერებია. რაღაც სასკოლო თემასავით დაუწერია ფლობერზე – ისე უნდოდა, მეც წამეკითხა, მე კიდე

სულ მეჩვენებოდა, ყოყლოჩინობს-მეთქი, უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრე და...

უცებ გაჩუმდა, მერე ისევ გადააქნია თავი. ახლა კიდევ უფრო ჰგავდა ნაოპერაციებ ავადმყოფს, მთლად ჩატეტკოდა სახე. ზუი თვალმოჭუტული აკვირდებოდა, ყურადღებით.

– ბედი ჩემი, იქვე რომ არ გამიტეხა თავი. ნაღდად ღირსი ვიყავი.

– ეგ გუშინ საღამოსვე მომახსენე წვრილად, – თქვა ზუიმ, – ძველი მოგონებები არ მჭირდება, რამე ახალი მითხარი. ისე, რამე რომ იყოს, მეც ეგრე არ ვყვები ჩემს ტელეარხზე? არასწორად კი ვიქცევით ორივე. სხვებს რას ვერჩით – ჯერ საკუთარი თავით დავიწყოთ. აკი გითხარი კიდეც...

– კარგი, რა, არც ისეთი გაუგონარი ვარ, უბრალოდ...

– თავიდათავი პრობლემა *ჩვენშივეა*, – გააწყვეტინა ზუიმ, – რაღაც სიმახინჯე შეგვყრია, ეგაა და ეგ. იმ ორმა ნაბიჭვარმა პატარაობიდანვე რაღაც დამახინჯებული პრინციპები ჩაგვინერგა, სულში ამოგვისვირინგა და ახლა აღარც იქნება ჩვენი საშველი, სანამ ყველა სხვასაც იმავეს არ ვუზამთ. – გამეტებით მოქაჩა სიგარას, მაგრამ უკვე ჩაქრობოდა. – და ეგეც არ იყოს, – გააგრძელა წამსვე, – „ჭკუის კოლოფების კომპლექსი" გვაქვს აკიდებული, ლამისაა, მართლა პროფესიონალ რადიოწამყვანებად წარმოვიდგინეთ თავი. კი არ ვსაუბრობთ, ქადაგე-

ბად ვართ დავარდნილები. ყოველ შემთხვევაში, მე მართლა ეგრე მომდის ხოლმე. როგორც კი ვინმესთან ერთად ამოვყოფ თავს სადმე ოთახში, წამსვე გუდას მოვხსნი ხოლმე პირს და ლექციის კითხვას ვიწყებ, ჭკუის დარიგებას – თითქოს თავად ბევრი მქონდეს... თუნდაც გუშინდელი ამბავი ავიღოთ: აკი წინასწარ ვიცოდი, უსცენაროდ არ გამომიშვებდა იქიდან! ღმერთს მარტო იმას ვთხოვდი, შინაარსის მოყოლა არ დაეწყო წვრილად... ხომ იცის, ენას დროზე ვერასოდეს ვაჭერ კბილს!

მოტრიალდა, მაგიდაზე დაგდებულ ასანთის კოლოფს დასწვდა, მერე შებრუნდა, მაგრამ სიგარისთვის არ მოუკიდებია, ისევ ისე ეჭირა ხელში. – ეშმაკსაც წაულია იმისი თავი! ისეთივე რეგვენია, როგორც ყველა სხვა – ტელევიზიაში, ჰოლივუდში, ბროდვეიზე... მაგ ბრიყვს ასე ჰგონია, სინაზე – ეს სენტიმენტალობაა, უხეშობის ჩვენება კიდე – ნაღდი რეალიზმი. და საერთოდ, ყველაფერი მუშტის ძალით უნდა გადაწყდეს ფინალში...

– და ყველაფერი ეს პირში მიახალე?

– არა ბიჭო და, მოვერიდებოდი! ხომ გითხარი, ენას პირში ვერ ვაჩერებ-მეთქი! ის კიდე იჯდა იქ, ყბაჩამოგდებული. ასე დამთავრდა ჩემი სანრემოული ვოიაჟი.

ფანჯრის რაფიდან ფეხი ჩამოიღო, მოტრიალდა, სკამი მიიწია და დაჯდა. ჩამქრალ სიგარას მოუკიდა, როგორც იქნა, მერე ხელები მაგიდაზე დააწყო

და თითები ერთმანეთს გადააჭდო. მაგიდაზე, სამელნის გვერდით, პლასტმასის სადგამზე დამაგრებული შუშის პატარა ბურთულა იდო, შიგ თოვლის ფანტელები დარიალებდნენ. ზუიმ შეანჯღრია და მერე უყურებდა, როგორ ეფინებოდა თოვლი სოფლის სანახებს.

– შენ რა, მართლა დაგიდგინეს კუჭის წყლული? – ჰკითხა ფრენიმ მოულოდნელად. – დედამ მითხრა.

– კი, ეგრეა. ახლა ასეთი დროა – თუკი ზრდასრულ კაცს კუჭის წყლული არ აღმოგაჩნდა, ჯაშუშობაში გედება ბრალი. – ისევ შეანჯღრია ბურთულა. – მაგრამ აი, რას გეტყვი: ეს ჰესი არცთუ ისე ცუდი ვინმეა, როცა საკუთარ სცენარებს არ მტენის. მერე რა, რომ ცისარტყელასფერებიან ჰალსტუხებს ატარებს და რაღაც უგვან პიჯაკებს იკერავს! სადღაც მისი ეს თვითკმაყოფილებაც კი მომწონს. თავი ისე მოაქვს, თითქოსდა აქეთ წყალობას ჰფენდეს მთელს ტელევიზიას, ოღონდ ამასაც კი „თავმდაბლად“ აკეთებს, ასე ვთქვათ. საოცარია ამბავია, ღმერთმანი. – ერთხანს ისევ დაჰყურებდა ბურთულას.

– ლესაჟიც კი მომწონს, რაღაცა გაგებით, – გააგრძელა მერე, – ბოლო-ბოლო, ყველაფერი სხვაზე უკეთესი აქვს – პალტო გინდა, ორკაიუტიანი კატერი, ელექტროსაპარსი, მისი შვილის ნიშნები ჰარვარდში... მოკლედ, ყველაფერი. ერთხ-

ელაც იყო, სადილად დამპატიჟა თავისთან და გზად მეკითხება, *ცხონებული კეროლ ლომბარდი თუ გახსოვს, კინოვარსკვლავიო.* მერე ამიხსნა – ჩემი ცოლი ტყუპისცალივითა ჰგავს და რომ დაინახავ, ემანდ გული არ გაგისკდესო. შეიძლება, ამისთანა ვინმე მთელი გულით არ გიყვარდეს? ცოლი კი ერთი შავთვალწარბა, პუტკუნა ვინმე აღმოჩნდა...

უცბად მოუტრიალდა ფრენის: – რაო, რა თქვი?

– ეგრეა, ნამდვილად! – ეტყობოდა, ვერც ის გადარჩენოდა ლესაჟის ხიბლს.

ზუი ერთხანს თავის სიგარას წუწნიდა. – იცი, რა უბედურება სჭირს მაგ დიკ ჰესს? – გააგრძელა მერე. – პირველი სცენარი რომ დაუწერა ლესაჟს, მართლა კარგი რამე იყო, ღმერთია მოწმე! სწორედ მაგის სცენარით გადავიღეთ ის ჩვენი პირველი ფილმი – შენ არ გინახავს, მაშინ ჯერ სკოლაშიც არ დადიოდი – ერთ ვინმე ახალგაზრდა, მარტოსულ ფერმერს ვთამაშობ. ბიჭი გრძნობს, რომ მიწაზე მუშაობისთვის არაა გაჩენილი და მამამისის სიკვდილისთანავე გაყიდის კიდეც საქონელსა და ფერმას და ახლა ქვიშის კოშკებს აგებს – როგორ გადაბარგდება დიდ ქალაქში და ახალ ცხოვრებას დაიწყებს. – ზუიმ ისევ ბურთულა შეათამაშა ხელში. – არც ისე ცუდი რამ გამოგვივიდა... ბოლო კი ასეთია: უკვე ქალაქში ვარ და უცებ ერთი მანქანა ქუჩიდან გადაუხვევს და ძროხად იქცევა, მე კიდე წითელ შუქზე დავედევნები და გაგიჟებული ჯოგი გადამივლის ზედ.

შეიცადა, მერე ისევ განაგრძო: – თითქოსდა დიდი არც არაფერი, შეგეძლო, ცალი თვალითაც გეყურებინა კაცს, მაგრამ იმის განცდა მაინც არ მქონდა, როდის მორჩება ეს უბედური გადაღებები, სახლში მოვტყდე და აღარც არავის დავენახო-მეთქი. მოკლედ, სირცხვილისა თუ უხერხულობის გრძნობა მაინც არ მიპყრობდა. ახლა კი ერთი მოგასმენინა, ჰესი და ლესაჟი რას მიედ-მოედებიან ახალი დადგმის თაობაზე! ან თუნდაც *რაიმე* ახალს თუ განიხილავენ! გოჭებივით ჭყვიტინებენ სიხარულისაგან... მერე კი მე გამოვჩნდები ხოლმე და – ღმერთმანი, ერთი იმათგანი მგონია თავი, რომელთა მიმართაც სიმორის საყვარელი ჩუანძი გვეუბნება: *„გაფრთხილდი, როცა დიდად გაბრძნობილი გვამი მოკელანობს შენკენ!“* მივადგები ხოლმე და ვუშხამავ ხასიათს. ღმერთმანი, ხანდახან სიკვდილი მინდება.

ფრენი კი ამ დროს თვალს არ აცილებდა ნოხზე მზის სხივით გამოკვეთილ ლაქებს და ტუჩებსაც ისევ ისე აცმაცუნებდა. – სასაცილოა, – თქვა უცებ. კიდევ უფრო ფერმკრთალი ჩანდა, რადგან თვალებიც არ ჰქონდა დახატული. – ყველაფერი ეს ერთი-ერთზეა იმასთან, რისი თქმაც ლეინისათვის მინდოდა ამ შაბათს – ხამანწკებს, მარტინისა და ბაყაყის ბარკლებს რომ ათოხლავებდა გაქანებული. ასე მგონია, მე და შენ ერთსა და იმავეზე ვფიქრობთ, მართალია, სხვადასხვაგვარად, ოღონდ ერთი და იმავე მიზეზის გამო. თუ რაღაც ამდაგვარი.

ბლუმბერგი ისევ მიადგა და ტახტზე აუფოფხდა, თან ცდილობდა, მოხერხებულად მოწყობილიყო – ერთ ადგილზე ტრიალებდა, როგორც ეს ძაღლებს სჩვევიათ და კატებს – არა. ფრენიმ თავზე გადაუსვა ხელი, უგულისყუროდ, მერე კი თავისი გააგრძელა: – ბოლოს იქამდეც კი მივედი, ჩემს თავს ვეუბნები – *კიდე ერთხელ ამოიღებ ხმას, ფრენი გლას, და მორჩა ჩვენ შორის ყველაფერი-მეთქი.* ცოტა ხანს ვუძლებდი – ასე, ერთ თვემდე – როცა ვინმე ნამეტან სისულელეს იტყოდა ან მეტისმეტად ბრძნულს დააბრეხვებდა, ენაზე მქონდა კბილები დაჭერილი და კინოშიც დავდიოდი, სამკითხველოშიც, რესტავრაციის ხანის კომედიებზე სტატიას ვწერდი... მოკლედ, მიხაროდა კიდეც, საკუთარი ხმა რომ აღარ მესმოდა. მაგრამ, მერე ერთ დღესაც – ჰოპ! – და ისევ ავუშვი ოფოფები. მახსოვს, მთელი ღამე ვერ დავიძინე რატომღაც და დილით კი ლექცია მქონდა ფრანგულ ლიტერატურაში, ასე რომ, მაინც ავდექი, ჩავიცვი, ყავა მოვიდუღე და მერე კამპუსში დავიწყე ბოდიალი. ისე მინდოდა, სადმე შორს დამეგაზა ველოსიპედით, მაგრამ ახლა იმის შემეშინდა, ხმაურზე გამოიხედავს ვინმე-მეთქი – მე ხომ მუდამ რაღაც უნდა ამიხმაურდეს ან ამიჟღრიალდეს, ან მიმერტყას... მოკლედ, ისევ ლექციაზე წასვლა ვამჯობინე და ვზივარ წყნარად ჩემთვის აუდიტორიაში, სულ მარტოკა. მერე მომბეზრდა, დაფას მივადექი და რაც კი რამ ცი-

ტატა მოდიოდა თავში ეპიქტეტედან, წვრილად ჩამოვწერე – თავადაც ვერ წარმომედგინა, ამდენი თუ მახსოვდა! კიდე კარგი, ხალხის მოსვლამდე ყველაფრის წაშლაც მოვასწარი... არადა, ნამდვილი ბავშვობა იყო – დარწმუნებული ვარ, ეპიქტეტე არ მომიწონებდა. რა მექნა, რა – ვინმე *კარგი* ადამიანის ნააზრევი მინდოდა მენახა დაფაზე... აქედან დაიწყო ყველაფერი! მთელი დღე მხოლოდ იმაში დავხარჯე, ხან ვის ვედავებოდი და ხან ვის: ჯერ პროფესორი ფალონი ამოვიჩემე, მერე პროფესორ ტაპერს მივადექი, ბოლოს კი ოთახში რომ ჩემთან ერთად გოგო ცხოვრობს – ბევერლი – იმასაც ავუწენე ნერვები. საბრალო, ხანდახან ისეთი თვალებით მიყურებს, ალალად იმას ნატრობს, იქნებ ეს შერეკილი სადმე გადავიდეს და ვინმე სხვა შემომისახლონო. მთელი უბედურება კიდე ისაა, ძალიანაც კარგად მესმის, რა ხვითოცა ვარ – უხასიათო, გულის გამწყალებელი, ხანდახან კიდე ისე ვაწყენინებ ხოლმე ადამიანს, ვითომც არაფერი... მაგრამ ვერ ვჩერდები და რა ვქნა! – გაჩუმდა, ძალიან შეწუხებული სახე ჰქონდა, თან სცადა, ბლუმბერგი ისევ ჩამოეგდო ლოგინიდან. – მაგრამ ყველაზე უარესი მაინც ლექციებზე მემართებოდა, – განაგრძო მერე, – თუ გახსოვს, გითხარი კიდეც ერთხელ, კოლეჯი – ეს კიდევ ერთი ყალბი და აზრს მოკლებული ადგილია, სადაც საგანძურს მხოლოდ *აგროვებენ*. ღმერთო დიდებულო! *საგანძური სა-*

განძურია – გინდა ფული იყოს, გინდა კულტურა, გინდა ცოდნა! და მე თუ მკითხავ, ყველაზე უარესი – ცოდნის თავად ცოდნის გულისათვის დაგროვებაა. ყოველ შემთხვევაში, უპატიებელი ცოდვა. – ხელის ერთი მოძრაობთ გადაიწია შუბლზე ჩამოშლილი თმა. – არა, ერთხელ, *ერთადერთხელ* მაინც გამეგონა ვინმესაგან, *ცოდნის მიღება სიბრძნის მისაღწევადაა საჭიროო.* ვერ მოგართვეს! კაცი არაა იმის მთქმელი, რომ სიბრძნეა ყოველგვარი წვდომის მიზანი... საერთოდ, ეს სიტყვა ტაბუდადებულივითაა, ღმერთმანი! ოთხი წლის – გესმის შენ – მთელი *ოთხი წლის* განმავლობაში ერთადერთხელ მოვკარი ყური – *ბრძენკაციაო* – და თუ იცი, ვისზე თქვეს?! ვიღაცა ჯიბესქელზე, სიბერეში რომ უოშინგთონს გაემგზავრა და, რაღაცა მანქანებით, პრეზიდენტ რუზველტის მრჩევლად იქცა! როგორია? მიწა გამსკდომოდა ფეხქვეშ, ის მერჩივნა!

გაყუჩდა და ტუჩებიც ისე გადაეფითქა, ძლივსღა აჩნდა სახეზე. ზუი, კარგა ხანია, თვალს აღარ აცილებდა. – ერთი რამე უნდა გკითხო, – თქვა მოულოდნელად. – რაში გარგია ეგ ლოცვა? გუშინაც სწორედ მაგის გარკვევა მინდოდა, შენ კიდე თავზე დამახურე. ახლა რომ ამბობ – საგანძურის მხოლოდ დაგროვებაო, განა ემაგ ლოცვის უთავბოლო გამეორებით შენც იმავეს არ აკეთებ? განა მაგის დახურდავებაც არ შეიძლება სხვა რამეებივით? თუ, ლოცვა რომაა, ესაა ყველაფრის თავიდათავი? ანუ, რა მნიშვნელობა აქვს, რომელ მხარეს

დაილაგებს კაცი განძს? *„ნუ იუნჯებთ თქუენ საუნჯეთა ქუეყანასა ზედა“* – ეს გასაგებია, მაგრამ აკი *„სადაცა არს საუნჯე თქვენი, მუნცა იყოს გული თქუენიო?“*[1] – ამას რაღა ვუყოთ? დაიცა, დამამთავრებინე...

მცირე ხანს ისიც ყუჩად იჯდა, მერე: – მაგ შენს ლოცვად დადგომაში რაღაცა ისეთია, რაზეც ტანში მბურძგლავს, მართლა-მართლა. შენ გგონია, მინდა, თავი გაგანებებინო? თავადაც არ ვიცი – იქნებადა მინდა კიდეც, მაგრამ ახლა ეს არაა მთავარი. შენ ის მითხარი, *რისთვის* იმეორებ ერთსა და იმავეს? – დააყოვნა, მაგრამ არც ისე, ფრენის სიტყვის ჩაგდება მოესწრო. – უბრალო ლოგიკას თუ გავყვებით, არავითარი განსხვავება არაა მათ შორის, ვინც მიწიერ საუნჯეს გამოსდევნებია და ვინც სულიერს დახარბებია. როგორც თავად თქვი, განძი განძია, და იმ კაცთმოძულე წმინდანთა ოთხმოცდაათი პროცენტი, რომელთაც ისტორიიდან ვიცნობთ, ასეთივე მომხვეჭელი გამოდის!

ფრენის ყინული გაერია ხმაში: – შეიძლება, სიტყვა შეგანყვეტინო, ზუი?

ზუი ახლა უკვე ფანქარს აწვალებდა თითებში. – ბრძანეთ, ქალბატონო, ბრძანეთ.

– არაფერი ახალი ამით არ გითქვამს. ეგ ყველაფერი ათასჯერა მაქვს ნაფიქრი და გააზრებული. თუკი რაღაც მინდა *მივიღო* ამ ლოცვით, ე.ი. მეც ისეთივე ვარ, ვისაც სიასამურის ქურქზე

---

[1] *მათე, 6, 19-21*

უჭირავს თვალი, ან განდიდების სურვილი კლავს, ან რაღაც იდიოტური პრესტიჟის მაძებარია... ვიცი, ვიცი! რა, მართლა ეგეთი შტერი გგონივარ?! – ხმა უკანკალებდა, ლამის ჩაუწყდა კიდეც.

– კარგი, რა, დაწყნარდი – არც მიფიქრია...

– იფიქრე, როგორ არ იფიქრე! შენ რა გგონია, რა – რისთვის ვიშტერებ თავს ამ ოთახში? წონაში ვიკლებ, ბესიცა და ლესიც ლამის ჭკუიდან გადამყავს, თავდაყირა დავაყენე მთელი სახლი – შენა გგონია, ჭკუა არ მყოფნის დავფიქრდე, რატომ და რისთვის ვლოცულობ?! შენა გგონია, რაკი გამორჩენაზე არა ვარ და ფუფუნება სულ ფეხებზე მკიდია, ეგოისტიც არ მეთქმის? უარესიც ვარ! და სულ არ მჭირდება, ბ-ნმა ზაკარია გლასმა საკუთარი პირით მამცნოს ესე ჭეშმარიტება! – აშკარა იყო, ცრემლდენას აღარაფერი უკლდა.

ზუი მაგიდაზე დაგდებული რაღაც ჟურნალის სათაურში ასოებს აერთიანებდა. მერე მობეზრდა, ფანქარი სამელნეს გვერდით მიაგდო და საფერფლეში თავისივე დატოვებული სიგარის ნამწვს დასწვდა – 5-6 სანტიმეტრი კიდევ იქნებოდა ზედ დარჩენილი. ხარბად დაეწაფა, გეგონება, მთელი თვეა, არ მოუწევიაო და მერე ფრენის გახედა: – გინდა, ამ საღამოს ბადისთან დაგარეკინო? დაელაპარაკები? მე მაინც არაფერში გარგივარ და... – პასუხს ელოდებოდა გაფაციცებული. – რას იტყვი?

ფრენის თავი არ აუწევია – უკვე ტიროდა კიდეც, ოლონდ ჯერ თითქოს თავისთვის: იცრემლებოდა, მაგრამ უხმოდ. ზუიმ ერთხანს უყურა, მერე კი ისევ ჰკითხა, არცთუ მთლად გულთბილად, მაგრამ არც მკაცრად: – მითხარი, ფრენი, დავურეკო?

გოგონამ თავი გაიქნია უარყოფის ნიშნად, ოლონდ მისკენ არც გამოუხედავს. მერე რაღაც ჩაიბუტბუტა.

– რაო, რა მინდაო? – ჩაეძია ზუი. ფრენიმ გაუმეორა: – ს.-სთან მინდა ლაპარაკი.

უმეტყველო სახით, ზუი ერთხანობა კიდევ აწვალებდა პირში სიგარას, მერე მკვეთრად შეტრიალდა და ისევ ჟურნალს მიუბრუნდა; ოლონდ მალევე წამოდგა და სიგარით ხელში ახლა ფანჯარასთან მივიდა, ფეხი კი ძველებურად რაფაზე შემოდგა. მის გრძელფეხება ძმათაგან ნებისმიერი ბევრად უფრო იოლად მოიმოქმედებდა ამას, მაგრამ უკვე ამ პოზაში, მართლა ბალეტის მოცეკვავეს ჰგავდა. ახლა ფანჯარაში იყურებოდა და იმ ბუნებრივი, სცენარისტებისა და რეჟისორებისა თუ პროდიუსერების მიერ შეურყვნელი მოქმედებით ტკბებოდა, ზედ მისი ფანჯრების წინ, ქუჩის მეორე მხარეს რომ გაიმართა: ქალთა კერძო სკოლის ეზოში ერთი ტოტებგაბარჯღული ნეკერჩხალი იდგა და მის უკან 7-8 წლის გოგონა ემალებოდა ტაქსას ლეკვს. ძაღლი დაფეთებული ურტყამდა წრეებს და ბოლოს, კვალი რომ აიღო და პატრონსაც მიაგნო, ორივე

რაღაც აუწერელი სიხარულით ეცა ერთმანეთს; გოგონამ ლეკვი ხელში აიტაცა, ეფერებოდა, ის კი კუდს იქნევდა და სახეს ულოკავდა. მერე საბელი გაუკეთა და ორივენი ძალიან დინჯად დაადგნენ შინისკენ გზას. ზუი მექანიკურად წასწვდა ფანჯრის დარაბას, თითქოს უნდოდა კიდევ უფრო გაეწია, ბოლომდე გაეღო და ამ საყვარელი წყვილისათვის თვალი მიედევნებინა; მაგრამ იმ ხელში ხომ სიგარა ეჭირა, სანამ მეორეში გადაიტანდა, წამი უკვე დაკარგული იყო – ორივე თვალს მიეფარა.

– ეშმაკმა წაიღოს ჩემი თავი! – ამოიხვნეშა დანანებით. – ხომ ხდება ხოლმე აი, ამისთანა *გემრიელი* რამეები! ჩვენ კიდე...

სწორედ ამ დროს ფრენიმ გულუბრყვილოდ და მთელი მონდომებით მოიხოცა ცხვირი; ხმა კი ბევრად იმაზე მჭექარე აღმოჩნდა, ვიდრე ამ ნაზი, სუსტი აგებულების არსებისაგან იყო მოსალოდნელი. ზუიმ, ცოტა არ იყოს, საყვედურით გამოხედა.

ფრენიმ „კლინექსის“ ქაღალდი ხელში მოჭმუჭნა. – კარგი, ხო, ბარემ ცხვირის მოხოცვაც ამიკრძალე!

– მორჩი მაინც?

– დი-იახ, მოვრჩი! მაგარი ოჯახია, ღმერთი ნუ გამიწყრება! ერთი ცხვირს მოიხოცავ და...

ზუი ისევ ფანჯრისაკენ მიტრიალდა, სიგარას მოქაჩა და ბეტონის ბლოკებისაგან ნაგებ სკოლის კედლებს მიაჩერდა. – ამ ორიოდე წლის წინ ბადიმ მშვენიერი აზრი მომაწოდა, ოღონდ აღარ მახსოვს,

რა იყო... – ისევ გაჩუმდა. ფრენის ის თავისი დაჭ-
მუჭნილი „კლინექსი“ ჯერ კიდევ ხელში ეჭირა:
საერთოდ, როცა ზუი ისეთ სახეს იღებდა, აქაოდა
რაღაცას ვიხსენებო, მისი და-ძმები მუდამ ძალიან
ხალისობდნენ ხოლმე – როგორც წესი, თვალთმაქ-
ცობდა და ეს ჩვევა ჯერ კიდევ „ჭკუის კოლოფის“
წამყვანად ყოფნის დროს გამოიმუშავა, რადგან არ
სურდა, ასე სააშკარაოზე გამოეფინა თავისი ნიჭი
– ლამის სიტყვასიტყვით ჩამოერაკრაკებინა, თუ-
კი ოდესმე რამ წაეკითხა (ოღონდ – მისთვის საინ-
ტერესო რამ, რასაკვირველია), და სხვა ბავშვების
მიბაძვით, ისეთ სახეს იღებდა, თითქოს დროის მო-
გება უნდა რაღაცის გასახსენებლადო. ახლაც ზუ-
სტად ასევე შეიჭმუხნა შუბლი, ოღონდ ხმა მაინც
ცოტა იმაზე ადრე ამოიღო, ვიდრე ამას ვითარების
დრამატიზება მოითხოვდა – თითქოს ხვდებოდა
კიდეც, ფრენიზე ეს ხრიკი მაინც არ ჭრისო: – ასე
მითხრა, კაცმა ყველაფერი უნდა შეძლოს, ყელგა-
მოღადრულიც რომ იწვეს მიწაზე, და ამ დროს ლა-
მაზმა ქალმა ან თავზე იშვიათი სიმშვენიერის დოქ-
შემოდგმულმა ბებრუხანამაც რომ ჩაუაროს, ძალა
უნდა ეყოს, ასწიოს თავი და მზერა გააყოლოსო... –
ჯერ თითქოს ნათქვამს დაუკვირდა, მერე ჩაიფხუ-
კუნა: – ერთი მანახა, თავად როგორ მოახერხებდა
ამას, ტკბილმოუბარი ეგა, – ისევ გააბოლა. – ჩვენს
ოჯახში ყველა თავის წილ მრწამსს იღებდა, კარგად
შეფუთულსა და ვარდისფერლენტშებმულს, უოლ-

ტი და ბუ-ბუ კი მთლად სარწმუნოებაში იყვნენ გადავარდნილი! – სიგარას მოქაჩა, თითქოს სიამოვნებას იხანგრძლივებსო და დაამატა: – სწორედაც უოლტმა უთხრა ერთხელ უეიკერს, *წყალი არ გაუვა, ჩვენი ოჯახის ყველა წევრმა ოხრად ცუდი კარმა დაიგროვა წინა ცხოვრებებშიო;* მერე მთელი თეორიაც ჩამოაყალიბა იმის თაობაზე, რომ ეკლესიური ცხოვრებით ღმერთი იმათ სჯის, ვისაც თავის დროზე თავხედობა ეყო, ესაყვედურა მისთვის – ეს რა უბედურ დღეზე გამაჩინეო.

ტახტიდან მოწონების ჩუმი სიცილი მოისმა. მსმენელი აშკარად კმაყოფილი დაურჩა. – ეგ არასოდეს გამიგია! – თქვა ფრენიმ. – და რა რელიგიური შეხედულებები აქვს ბუ-ბუს? წარმოდგენაც არ მქონდა, თუ...

ზუი ერთხანს დუმდა, მერე: – ბუბუს თუ ჰკითხავ, სამყარო სულაც ბ-ნი ეშის ნაჩალიჩარია. კილვერტის დღიურში ეწერა: სკოლაში უკითხავთ, სამყარო ვინ შექმნაო და ერთ ბავშვს უპასუხია, ნაღდში ბ-ნი ეშის ნაჩალიჩარი იქნებაო.

ფრენის ალალად გაეცინა, ზუი კი შემოუტრიალდა და დაეჭყანა, თითქოსდა ამგვარი უადგილო სიმხიარულის ყოველგვარ გამოვლინებას გმობსო. რაფიდან ფეხი ჩამოიღო, სიგარის ნამწვი მაგიდაზე, საფერფლეში ჩააგდო და ფანჯარას მოშორდა. ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, ზანტად, თუმცა კი რაღაცნაირად მიზანმიმართულად მოძრაობდა

ოთახში. – დროა, აქედან მოვტყდე. ლანჩზე ვარ დაპატიჟებული. – იქვე დაიხარა და აკვარიუმში ჩაიჭყიტა. მერე თითიც მიუკაკუნა შუშას. – მე თუ არა, კაცი არაა ჩემი შავი მოლინეზიების დამპურებელი, – დაიჩივლასავით, – ჯობდა, ესენიც ჩემთან გადამესახლებინა, კოლეჯში... ვიცოდი, ეგრე იქნებოდა.

– კარგი, რა, ზუი! უკვე ხუთი წელია სულ ერთსა და იმავეს იმეორებ. წასულიყავი და ახლები გეყიდა.

ზუიმ ისევ დაუკაკუნა შუშას. – არა-ა, ეგენი ჩვეულებრივი თევზები არ იყვნენ – ვმეგობრობდით, – თქვა და ისევ ნოხზე გაიშხლართა. გამხდარი იყო და იოლად ჩაეტია „შტრომბერგ-კარლსონსა" და წიგნების თაროებს შორის. ახლა ფრენი მხოლოდ მისი ფეხსაცმლის ქუსლებსა და ლანჩებსღა ხედავდა. მაგრამ დაწოლაც ვერ მოასწრო, ისევ წამოიწია და მისი თავი და ტორსი კომიკურ თუ საშინელებათა ფილმების პერსონაჟივით უცებ წამოიმართა მაგიდის კიდეზე. – ლოცვა კი თავისას შვება, ეგრეა? – იკითხა. ისევ გაქრა. მთელი წუთი არ ამოუღია ხმა. მერე კი უდახვეწილესი, დაყენებული ხმით განაცხადა: – ორიოდ სიტყვა მაქვს სათქმელი თქვენთვის, მისს გლას. წინააღმდეგი ხომ არ იქნებით?

ტახტიდან ხაზგასმით უკარება სიჩუმე მოდიოდა.

– დაიკო, გინდა – ილოცე, გინდა – ძაღლს ეთამაშე, ოღონდ არავითარი ცრემლები და ხუთი წუთი სრული მდუმარება – მპირდები?

ფრენის ხმა არ გაუცია. ფეხები ნიკაპამდე მიეტანა და მთვლემარე ბლუმბერგს ჩახუტებოდა.

– კი, – გამოეპასუხა ბოლოს, – რაც გინდა, ის მითხარი, ოღონდ შეურაცხყოფის გარეშე, თუ შეიძ-ლება. არავითარი დაცაცხანება – მაგისთვის დღეს მზად არა ვარ. მოსულა?

– გეკადრებათ?! არაფერი მსგავსი! და არც არა-ვის შეურაცხყოფა მე არ მიფიქრია. – ხელები კარ-გი ღვთისმოსავივით დაიკრიფა მკერდზე. – არა, ხანდახან კი ზედმეტი მომდის ხოლმე, ვაღიარებ, მაგრამ შეურაცხყოფა – არასდროს და არავის მიმართ! და საერთოდ, ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ბუზის ჭერა...

– ზუი, მართლა გეუბნები – მართლა-მართლა! და საერთოდ, იქნებ ნორმალურად დამჯდარიყავი? ღმერთმანი, საინტერესო ამბავია – ყოველთვის, როცა კი ამ ოჯახში რაღაც ამბავი ატყდება ხოლმე, მუდამ მაგ ადგილიდან იწყება და მუდამ შენა ხარ ხოლმე მაგ ადგილას მხარ-თეძოზე წამოწოლილი! ახლა მაინც აბრძანდით, თუ შეიძლება!

ზუიმ თვალები მილულა. – საბედნიეროდ, – თქვა მან, – ძაან კარგად მესმის, რომ გულის სიღრმეში ამას არ გულისხმობ. გულისგულში ორივე ვაცნო-ბიერებთ, რომ ესაა სწორედ წმინდა მიწის ერთა-დერთი ნაგლეჯი ამ მოჩვენებებით სავსე სახლში. სწორედ აქ არ გამოვზარდე ჩემი ბაჭიებიც? ორივე წმინდანი იყო, წმინდა გიორგის მადლმა! სიმართლე ითქვას, ეგ ორნი ერთადერთნი იყვნენ მათ მსგავ-სთა შორის – უბიწოებას ვგულისხმობ...

– მორჩი ახლა! – გაწყრა ფრენი. – თუ მართლა რაიმეს თქმა გინდა, აგერა ვარ. უბრალოდ, ცოტა ტაქტიანად ილაპარაკე, მეტს არაფერს გთხოვ. რამე რომ იყოს, შენისთანა უტაქტო კაცის მნახველი არა ვარ, მართლა გეუბნები.

– უტაქტო-ო?! შანსი არაა. პირდაპირი – კი ბატონო, დაუშურველი – ნაღდად, ხალისიანი – იქნებადა ზედმეტადაც კი... მაგრამ *უტაქტო?* ჯერ არავის...

– გითხარი, *უტაქტო-მეთქი!* – სიტყვისდენა შეაწყვეტინა ფრენიმ. არაფრით არ სურდა, ანკესზე წამოეგოთ და რამეზე მაინც გასცინებოდა. – ერთი ავად გამხდარიყავი და მერე საკუთარი თავი მოგენახულებინა – მაშინ ნახავდი, რა უტაქტო ვინმეცა ხარ! ჩემს მტერს შენთან ურთიერთობა, თუკი ადამიანი თავის ქერქში ვერა გრძნობ თავს – ერთი რო შეამცივნოს ვინმეს, უკვე პირადი მტერივით უყურებ. საერთოდ არ შეგიძლია, ვინმეს თანაუგრძნო. შენისთანა *უგრძნობი* ვინმე ქვეყანაზე არ დაიარება. ასეა!

– კაი, ბატონო. არაა სრულყოფილება დედამიწაზე, თქვა მელაკუდამ! – მერე ხმა დაიწვრილა, ოღონდ წიკვინი არ შერევია და საუკეთესოდ მიბაძა დედის ძალზე კარგად ნაცნობ, ფრთხილ ჭკუის დარიგებებს: – ჩვენ ყველას გვჩვევია გაცხარება, ახალგაზრდა ქალბატონო, და ისეთ რამეს ნუ ვიტყვით, რაც სხვა დროს სანანებლად შეიძლება გაგვიხდეს!

მერე უცებ მოიქუშა და ჭერს მიაშტერდა რატომღაც. – ჯერ ეს ერთი, – თქვა, – შენ გგონია, ემაგ შენი ლოცვის წართმევას თუ რაღაც ამდაგვარს გიპირებდე. აზრადაც არ გამივლია. თუ გინდა, სიცოცხლის ბოლომდე იკოტრიალე მაგ ტახტზე და კონსტიტუციის შესავალი იზეპირე – მე რა? ერთი ის მინდა მხოლოდ...

– კარგი დასაწყისია, მშვენიერი.

– ჩვენ ბოდიში?

– კარგი ხო, გააგრძელე.

– გითხარი უკვე, მაგ შენი ლოცვის საწინააღმდეგო არც არაფერი მაქ-მეთქი! რაც გინდა, ის იფიქრე. ისე, პირველი კი არა ხარ, ვისაც ეგეთი აზრები გაუჩნდა თავში – ერთხელ ნიუ-იორკის ყველა სამხედრო-საზღვაო მაღაზია შემოვიარე, შესაფერის ზურგჩანთას ვეძებდი. პურის ყუებით მინდოდა გამომეტენა და ფეხით დამევლო მთელი ქვეყანა – ლოცვითა და ღვთის სიტყვის ქადაგებით. – ერთხანს იყუჩა. – არა, იმიტო კი არ გეუბნები, აქაოდა, ერთ დროს მეც შენსავით *მეტად მგრძნობიარე* არსება ვიყავი-მეთქი.

– აბა, რისთვის?

– რისთვის და, რაღაცის თქმა მინდა, ოღონდ ისიც არ ვიცი, მაქვს თუ არა ამის უფლება. იმის თქმა მინდა, რომ ერთ დროს მეც მინდოდა მაგ ლოცვის წართქმა, მაგრამ შევეშვი. იქნებ სულაც მშურს კიდეც შენი. ან იქნებ სულაც არ მინდა, მარ-

თას როლში აღმოვჩნდე, როცა შენ აქ მარიამობანას თამაშობ.

ფრენიმ გაპასუხებაც არ იკადრა. ეგაა, ბლუმბერგი მიიწია უფრო ახლოს და უფრო მაგრად ჩაეხუტა. მერე ძმას გამოხედა და თქვა: – დიდი გაიძვერა ვინმე ხარ, იცოდი?

– პირმოთნეობის გარეშე, თუ შეიძლება! ვაითუ მერე სანანებლად დაგირჩეს. ისე, ვვარგივარ მრჩევლად თუ არა, მაინც გეტყვი – რაღაც არასწორად უდგები ამ საქმეს. – მთელი ათი წამის განმავლობაში ჭერს მიშტერებოდა, მერე ისევ ამოიდგა ენა: – ჯერ ერთი, საერთოდ არ მეპიტნავება ეს გამოხდომები *à la Camille.*[1] და ნუ მაწყვეტინებ, თუ შეიძლება. სულაც არ მგონია, თითქოს *თვალთმაქცობდე,* და არც ის მგონია, ქვეცნობიერად ითხოვდე *თანალმობას* – არაფერი ასეთი. ოღონდ მაინც გულზე არ მეხატება ეს ყველაფერი – არც ბესის მიმართ, არც ლესის მიმართ შენი ქცევა... რამე რომ იყოს, ყველაფერ ამას უკვე ფარისევლობის სუნი ასდის – ვერ ამჩნევ? ამას კი ვერა რწმენა თუ სარწმუნოება ვერ გაამართლებს. კი არ გეუბნები, ფარისეველი ხარ-მეთქი – ამ მხრივ შეგიძლია მშვიდად იყო – ოღონდ ეს შენი ისტერიკები მაინცადამაინც ლამაზად ვერ გამოიყურება.

– მორჩი უკვე? – იკითხა ფრენიმ და წინ გადმოიხარა. ხმაში ისევ გაერია რაღაც თრთოლასავით.

---

[1] *კორნელის ერთ-ერთი ტრაგედიის გმირი.*

– კარგი, რა, ფრენი! მისმინე – თვითონვე არ შემპირდი, მშვიდად მოგისმენო? ყველაზე უარესი უკვე ამოვღერღე, ახლა მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ეს უსამართლობაა ბესისა და ლესის მიმართ. ძალიან მტკივნეულია მათთვის... ის თუ იცი, რომ გუშინ, სანამ დასაძინებლად წავიდოდა, ლესის მანდარინის მოტანა უნდოდა შენთვის? ღმერთო დიდებულო, ასეთი რამ ბესისაც კი არ მოუვიდოდა თავში! და მეც, რაღა დაგიმალო. თუკი ასე აპირებ გაგრძელებას, იქნებ კოლეჯში დაბრუნდე – იქ უფრო შესაფერისი ადგილია, მანდარინების მორთმევას მაინც კაციშვილი არ დაგიწყებს! და აღარც ფეხსაცმელებს შემოდებდი საცვლების თაროზე...

ამის თქმა იყო და, ფრენი ისევ „კლინექსის“ ყუთს დასწვდა.

ზუი ახლა ხმის ამოუღებლად ასცქეროდა ლაქას ჭერზე, ამ ოციოდე წლის წინ თავად რომ დაასვა წყლის პისტოლეტიდან. – და კიდევ ერთი, – თქვა ცოტა ხნის მერე, – არც ის მომწონს, ფარულად ფლასებში გამოწყობილი, წმინდა ტანჯულის ცხოვრებას რომ ეწევი იქ, კოლეჯში. ვითომ რაღაც საღვთო ომი გქონდეს გამოცხადებული ყველასა და ყველაფრის მიმართ. რამდენადაც მესმის, ძირითადად, ჩვენი საგანმანათლებლო სისტემითა ხარ უკმაყოფილო – დაიცა, არაფერს ისეთს არ გეუბნები, თავადაც ოთხმოცდათვრამეტი პროცენტით გეთანხმები – ოღონდ აი, ის დარჩენილი ორი პროცენტია, რომ მაფიქრებს. მაფიქრებს კი არა, მზარავს! მეც

ერთადერთი – გესმის, *ერთადერთი* პროფესორი დამამახსოვრდა, ოღონდ ის მართლაცდა ფიგურა იყო. არა, მთლად ეპიქტეტე არ ყოფილა, მაგრამ მაინც არც ეგოისტი ყოფილა და არც კარიერისტი. თავმდაბალი იყო და ნამდვილი მეცნიერი. და უჭკუოც არასოდეს არაფერი უთქვამს – პირიქით, სწორედაც *სიბრძნისკენ* გვიბიძგებდა ყველას, და რა მოუვა მაგისთანებს, თუკი ამ შენს ომს მოიგებ? გაფიქრებაც კი არ მინდა. ოღონდ შენი პროფესორი ტაპერსი და რა ჰქვია იმას – ჰო, მენლიუსი და კიდევ ის ერთი ვიღაცა – მაგისთანები ოხრად იყვნენ და გეთანხმები, არცთუ ისეთი უვნებლები არიან, როგორც კაცს შეიძლება ერთი შეხედვით მოეჩვენოს! მე თუ მკითხავ, ძაანაც სახიფათონი არიან და რასაც ეკარებიან, ყველაფერი ხევდება, კვდება, მტვრად იქცევა... ან – კიდევ უარესი – თაყვანისცემის საგნად იქცევა! სწორედაც მაგათი ბრალია, ყოველი წლის ივლისის თვეში სულ ახალ-ახალი წვევამდელები რომ ავსებენ საპატიო რეგვენთა ჯარის რიგებს! – თავი გაიქნია და გაიჭყანა. – მაგრამ არც მე მომწონს და დარწმუნებული იყავი, არც სიმორსა და ბადის ეჭაშნიკებოდათ, რასაც შენ მათზე ლაპარაკობ. საქმეც ეგაა – შენ ის კი არ გიშლის ძარღვებს, რასაც ისინი *განასახიერებენ* – შენ უკვე თავად მათ ვერ იტან! რა შუაშია აქ პიროვნებები? მართლა გეუბნები, ფრენი – იმ ჩემის ტაპერზე რომ ლაპარაკობდი, ლამის სისხლი ჩაგიდგა თვალებში! აქაოდა, ლექციის წინ საპირფარეშოში შედის და

თმას იფუებსო... იქნებადა შვება კიდეც, მაგისაგან არც გამიკვირდებოდა, და რა მერე? არაა ეს შენი საქმე. რომ გეცინებოდეს ან გეცოდებოდეს, ხმასაც არ ამოვიღებდი, მაგრამ ისე ყვები, თითქოს ეს მისი ორი ღერი თმა შენი პირადი მტრობის საგანი იყოს! თუ სისტემის წინააღმდეგ გამოდიხარ – ეს ერთია, და თუ ვიღაცის ვარცხნილობა არ მოგდის თვალში, ეგ უკვე სულ სხვა ამბავია.

მთელი წუთი სამარისებური სიჩუმე იდგა ოთახში; მერე ფრენიმ ისე მოიხოცა ცხვირი, მონდომებით, 3-4 დღის სურდოიანებმა რომ იციან ხოლმე.

– ეს იმასა ჰგავს, კუჭის წყლული რომ ავიკიდე. და იცი, როგორ? ანუ – ცხრა მეათედი მაინც რისი ბრალი იყო? იმისი, რომ სულ რაღაცას ვშფოთავ, ვაანალიზებ, ზედმეტად განვიცდი ამ ტელევიზიის ამბებს... მთლად შენსავით ვიქცევი, საერთოდ ვერ ვისწავლე ჭკუა. – გაჩუმდა. თვალს მაინც არ აცილებდა იმ ლაქას ჭერზე, ხელებიც ისევ ისე გულზე ჰქონდა დაკრეფილი. – ახლა კიდე ერთ ისეთ რამეს გეტყვი, მთლად გადახვალ ჭკუიდან! რა ვქნა, სხვანაირად არ შემიძლია – ესაა ყველაზე მთავარი: თუ გახსოვს, რა დღე აყარე მთელ ახალ აღთქმას, როცა ყველა იმ ოხერ ჯარში იყო გაწვეული და მარტო მე გედექი მოწმედ? ისეთებს ამბობდი, ახლაც ყურები მიწუის. გახსოვს?

– მაშინ სულ ათი წლის ვიყავი, – თქვა ფრენიმ, ცხვირგაჭედილმა – რაღაც ისე, მუქარით.

– კი, როგორ არა, ძაანაც კარგად მახსოვს, რამდენისაც იყავი. იმიტო კი არ გიხსენებ, შენს წარსულ შეცდომებზე გარტყმევინო თავი – უბრალოდ, იმის თქმა მინდა, რომ რაც ბავშვობაში არ გესმოდა მაცხოვრის, იგივე გემართება ახლაც. ასე მგონია, ისიცა და სხვა ათიოდე ღმერთი გყავს ერთში გამთლიანებული და როგორ გინდა, წართქვა მაცხოვრის ლოცვა, სანამ *ანსა* და *ჰოეში* ვერ გარკვეულხარ?! ის თუ გახსოვს, რითი დაიწყო ის შენი განდგომის ამბავი? არა, მითხარი ერთი, გახსოვს?

პასუხი არ აღირსეს. ამის მაგივრად ფრენიმ კიდევ ერთხელ ხმაურით მოიხოცა ცხვირი.

– მე კიდე მახსოვს, შენ წარმოიდგინე: მათეს სახარება, თავი მეექვსე. ისიც კი მახსოვს, სად ვიყავი ამ დროს – ჩემს ოთახში, პლასტირს ვახვევდი ჰოკიჯოხზე და ამ დროს შემომივარდი კიდეც ოთხთავით ხელში! თურმე ნუ იტყვი – იესოსი აღარაფერი გწამდა და გსურდა ამის თაობაზე იქვე, მაშინვე დაგერეკა სიმორთან სამხედრო ბანაკში! ახლა ისიცა ვთქვათ, რაში იყო საქმე – *რატო ეძგერა იმ ხალხს სინაგოგაში და რატო მიუყარ-მოუყარა ყველაფერიო.* უსამართლობა ჩაიდინა და *უხეშად* მოიქცაო. გაიძახოდი, არც სოლომონი და არც სხვა ვინმე მსგავსს არაფერს იკადრებდნენო. და კიდე აი, რა – სწორედ მაგ ადგილას გქონდა გადაშლილი სახარება – „მიჰხედეთ ფრინველთა ცისათა, რამეთუ არა სთესენ, არცა მკიან, არცა შეიკრებენ საუნჯე-

თა, და მამათქუენი ზეცათა ზრდის მათ"[1] – აქამომდე ყველაფერი კარგად იყო, ეგ მოგწონდა, მაგრამ მერე, როცა თავად მაცხოვარივე ამბობს: *განათუ თქუენ უმჯობესთ არა ხართ ამა ფრინველთა?* – აი, აქ კი გარეკე! მერე ქრისტე უარყავი და ბუდას კალთას შეაფარე თავი, რადგან ის თურმე ქედმაღლურად არ დაჰყურებს ზემოდან ჩიტებს, ბატებს, იხვებს და რა ვიცი, კიდე რას არ ველოლიავებოდით იმ წელს ტბაზე... და არ დამიწყო ახლა, სულ ათი წლის ვიყავი მაშინო. არა, საფუძვლიანი ცვლილება ათიდან ოც წლამდე არ ხდება – და სიმართლე თუ გინდა, არც ათიდან ოთხმოცამდე! შენ ახლაც არ შეგიძლია ის მაცხოვარი გიყვარდეს, რომელმაც ან თქვა, ან ჩაიდინა რაღაც ისეთი – ყოველ შემთხვევაში, რასაც მიაწერენ – რაც თავად არ გეხატება გულზე. არადა, ხომ გესმის – ვერანაირი ღვთისშვილის სიყვარული ვერ გექნება, სანამ არ შეიგნებ, რომ მისთვის ადამიანი – *ნებისმიერი* ადამიანი – ბევრად ძვირფასია, ვინემ თუნდაც სააღდგომო წიწილა.

ახლა ფრენი უკვე მის მხარეს იყურებოდა, წელგამართული იჯდა და აღარც ბლუმბერგი ჰყავდა ჩახუტებული. – უნდა ვიგულისხმოთ, *შენ* ამგვარი პრობლემა არ გაწუხებს, – ხეშეში ხმით თქვა.

– მაწუხებს-არ მაწუხებს, ეგ საქმეს არ ეხება. თუმცა ერთს მაინც გეტყვი – არასოდეს მიცდია,

---

[1] *მათე, 6, 26*

მაცხოვარი წმ. ფრანცისკ ასიზელად მექცია ჩემთვის და, ასე ვთქვათ, უფრო „კეთილად მეთნია". არადა, მორწმუნეთა ოთხმოცდათვრამეტი პროცენტი ზუსტად ასე იქცევა.. შენთვის ფრანცისკ ასიზელი ქრისტეზე ახლობელია და შენი ამ პაწია ნერვული აშლილობის მიზეზიც სწორედ ეგაა. საკუთარ სახლშიც იმიტომ აწყობ ამ სცენებს, რომ აქ თავი ქუდში გაქვს – ცხელი წყალი გინდა თუ საგვარეულო აჩრდილები! გინდა, ლოცვას იბუტბუტებ, გინდა, ქრისტეს, ასიზელსა და სიმორს სამსახოვან ერთარსებად დასახავ! – შეჩერდა, ამოისუნთქა. – მართლა ვერ ხვდები, რა არეულად აღიქვამ სამყაროს? ეგ შენი ლოცვაც რაღაც ხელგამონაცვალი მრწამსია, და ეს შენი ნერვული სტრესებიც. მართლა ნევრასთენია რომ გჭირდეს...

– მორჩი, ზუი! მორჩი და დაამთავრე! – სლუკუნს უკვე აღარაფერი უკლდა.

– ახლავე, ახლავე... და ერთი ისიცა ვთქვათ, რატო გემართება ეგეთი რამ? მთელს შენს ძალისხმევას იმაზე რო წარმართავ, *ცუდად* როგორ იყო, იქნებადა *კარგად* ყოფნაც გეცადა? კარგი, შევეშვათ ამას. მაგრამ შენ ხომ უნივერსიტეტსაც, პოლიტიკასაც, მთელ სამყაროსაც ერთ ქვაბში ხარშავ და მერე ამტკიცებ – ყველგან მხოლოდ *მე, მე, მე* მესმისო და გამოსავალსაც იმაში ხედავ, თავი გადაიხოტრო, ტახტზე გაიშხლართო, ლოცვა იბუტბუტო და მამაზეციერს რაღაც პირადული პაწია საოცრების მოვლენა გამოსთხოვო!

აქ კი უკვე იკივლა: – გაჩუმდი, გემუდარები!

– ერთი წუთიც, სულ ერთი წუთიც. აი, სულ ეს რაღაც „ეგო“ გაკერია პირზე და განა თავად მაცხოვრის გარდა ვინმეს შეუძლია ამაში გარკვევა?! ბოლო-ბოლო, ეს ღვთის სამყაროა და თვითონ უკეთ იცის. ახლა კიდე იმ შენს საყვარელ ეპიქტეტესა და სათაყვანებელ ემილი დიკინსონს რაღა ვუყოთ? გინდა, რომ შენმა ემილიმ – რამდენი ლექსის წერის იშტაზე მოვა, დაჯდეს და იმდენი ილოცოს, სანამ ეს ეგოისტური სურვილი არ გაუვლის? არა, ეგეთი რამ არასოდეს მოგივიდოდა თავში. მაგრამ აი, შენს კარგად ნაცნობ პროფესორს თუკი ვინმე ჰოპ-ჰო და მის „ეგოს“ ააცლის, საწინააღმდეგოც არაფერი გაქვს... არადა, მე თუ მკითხავ, სწორედ ის ხალხი ამღვრევს ხოლმე წყალს, ვინც საკუთარ ჭეშმარიტ მე-ს არასოდეს აჩენს. თუნდაც ეგ შენი პროფესორი – ტაპერია თუ რა ჰქვია – ნაძლევს ჩამოვალ, ყველაფერს სჩადის იმის გარდა, რასაც მისი ნამდვილი *ეგო უკარნახებს!* ბოლო-ბოლო, სკოლის ნებისმიერ მასწავლებელს, ან თუნდაც უნივერსიტეტის პროფესორს, ის მისი სქელი ტყავი რომ გააძრო, კარგი მექანიკოსი ან კირითხურო, ან ვინმე ეგეთი შეგრჩება ხელში! აი, მაგალითად, ის ჩემი მეგობარი, ლესაჟი ავიღოთ: გგონია, მისმა *ეგომ* უბიძგა, ტელევიზიაში მისულიყო? მამა უცხონდა! არავითარი „მე“ იმას უკვე აღარც გააჩნია – თუკი საერთოდ ჰქონდა ოდესმე. ახლა მარტო ჰობი აქვს – სარდაფში სახე-

ლოსნო მოიწყო, ერთი ათი ათასი მაინც დაუჯდა, იატაკიდან ჭერამდე სულ ელექტროდანადგარებით, დინამომანქანებითა და რა ვიცი, კიდე რითი არა აქვს გამოტენილი! ხოლო როცა ადამიანი საკუთარი *ეგო*-ს გამოვლენითაა დაკავებული, მას აღარავითარი ჰობის დრო აღარ რჩება.

ზუი მოულოდნელად გაჩუმდა. ისევ ისე იწვა, თვალდახუჭული, გულხელდაკრეფილი. მერე, უცებ, ძაან განაწყენებული იერი დაიდო – ვითომდა ერთგვარი თვითკრიტიკის გამოხატულება: – დაიცა, და ჰობის საკითხი საერთოდ რა შუაშია ამასთან? – მერე მცირე ხანს ისევ ისე იწვა, ხმაგაკმენდილი. ოთახში მხოლოდ ფრენის ბალიშით დაგუდული სლუკუნი ისმოდა. ბ-ნი ბლუმბერგი ახლა როიალის ქვეშ განვართულიყო, სინათლის სხივით გაჩენილ ლაქაზე და ცხვირ-პირს იბანდა.

– ისევ ჭკუის დარიგებაში გადავვარდი, – ვითომ ისე, სასხვათაშორისოდ თქვა ზუიმ, – რაზეც არ უნდა წამოვიწყო ლაპარაკი, სულ ასე გამომდის – ვითომდა სულ შენი ლოცვის ბრალი იყოს ყველაფერი. ღმერთმანი, ეგეთი არაფერი ფიქრადაც არ გამივლია. მარტო იმის წინააღმდეგი ვარ, *სად* და *რატომ* „აღავლენ“ მას! უბრალოდ, მინდა დავრწმუნდე, რომ ამით ცხოვრებას არ გაურბიხარ, ცხოვრებისეულ ვალდებულებებს, ყოველდღიურ მოვალეობებს...ისიც ვერ გამიგია – რანაირად ლოცულობ, თუკი მაცხოვრის დანაბარებისა არაფერი გაგეგე-

ბა! რაც შენ და მეც ლამის ძალისძალად დაგვტენეს რელიგიური ფილოსოფიით!.. – და მაინც არავითარი სურვილი არა გაქვს, არც ცდილობ, სახარებისა რაიმე გაიაზრო. ყველაფერ ამას რაიმე ახსნას კიდევ მოვუძებნიდი, შენ რომ ან ისეთივე უბირი ვინმე იყო, როგორც ის რუსის გლეხი, ან მართლა *სასოწარკვეთილი* ადამიანი, მაგრამ შენ ხომ არც ერთი ხარ და არც მეორე! – და აი აქ, ჯერ ისევ თვალებგაუხელელმა, ტუჩები მოპრუწა და ისეთი სახე გაუხდა, რომელიც ძალზე მოგაგონებდათ დედამისისას. – და კიდე, იცი, რას გეტყვი? როცა იესოს ლოცვას აღავლენ ხოლმე, კეთილი ინებე და ერთ ქვაბში ნუ ყრი მაცხოვარს, წმინდა ფრანცისკსა თუ ჰეიდის ბაბუას! მხოლოდ მასზე იფიქრე და ისეთად წარმოიდგინე, როგორიც იყო, და არა ისეთად, შენ რომ გინდა ყოფილიყო. სიმართლეს არ გინდა თვალი გაუსწორო და ამიტომაც გემართება მთელი ეგ დეპრესიები.

ზუიმ ახლა თავის ერთთავად სველ სახეზე აიფარა ხელები, მერე ისევ ჩამოიღო. ისევ ჯვარედინად დაიკრიფა მკერდზე. უკვე სულ სხვა, სავსებით ჩვეულებრივი ხმით ალაპარაკდა: არ მესმის, როგორ შეუძლია ადამიანს – თუკი მთლად ბავშვი არაა, ან ანგელოზი, ან იმ ჩვენი მომლოცველის მსგავსი სალოსი – რანაირად უნდა ლოცულობდეს იმ იესოზე, რომელიც სულაც არა ჰგავს ახალ აღთქმაში დახატულს! ბოლო-ბოლო, ერთადერთი

გონიერი ვინმეა მთელს ბიბლიაში. შეედრება ვინ-მე? გეგონოს! მთელი ეს ქურუმები და მოგვები და მოწაფეები და შვილნი საყუარელნი და სოლომონე-ბი და ისაიები და დავითები და პავლეები – რომელს ესმოდა, სად იყო საწყისი და სად – სასრული?! არც ერთს. არ მითხრა ახლა – მოსესო: კარგი ვინმე კი გახლდათ, ღმერთსაც ესაუბრებოდა, მაგრამ სულ ეს იყო და ეს. მაგაშია საქმე. ღმერთი მას *ელაპა-რაკებოდა*, იესოს კი ესმოდა, რომ თავად *მასში* იყო ღმერთი! – აქ ზუიმ ტაში შემოკრა, – მხოლოდ ერთხელ, ისიც ხმადაბლა და იქნებ, საკუთარი თავ-ისთვისაც კი მოულოდნელად. – მერე ისევ გულზე დაიწყო ხელები: – ღმერთო ჩემო, აი, ეგ იყო ნამ-დვილი ჭკუის კოლოფი! არა, მითხარი ერთი, სხვა ვინ გაუჩუმდებოდა პილატეს? არ მითხრა ახლა, სოლომონ ბრძენიო – იმას წინასწარ ექნებოდა პა-სუხები გამზადებული. ვაითუ სოკრატესაც დას-ცდენოდა ორიოდ სიტყვა; იქნება კრიტონს მოეხ-ერხებინა, გვერდზე გაეყვანა და ერთი-ორი კარგი სენტენციაც დაეცინცლა მისთვის – ისტორიაში სა-კუთარი სახელის უკეთ დასამკვიდრებლად... მაგ-რამ მთავარი სწორედ ეგაა: იესოს გარდა, ვინმე თუა მთელს ბიბლიაში ნახსენები, ვინაც *იცოდეს*, რომ ღვთის საყდარი ჩვენშია, ჩვენ შიგნით, ჩვენ-სავე სულში, სადაც – მოუცლელობისა თუ თან-დაყოლილი სიბრიყვის გამო – ჩახედვასაც ვეღარ ვახერხებთ? არა, ძმაო, მართლა ძე ღვთისა უნდა

იყო, ამგვარ რამეებში რომ ერკვეოდე! შენ კი, რა, ოდესმე გიფიქრია ამაზე? თუკი შენ ვერ ახერხებ, მაცხოვარი ისეთი დაინახო, როგორიც ის მართლა იყო, შენს ლოცვას ფასი არა აქვს – თუ მისი არ გესმის, ვერც მის ლოცვას გაუგებ თავსა თუ ბოლოს და ცარიელი წესის აღსრულებაღა შეგრჩება. იესო უმაღლესი წოდების ადეპტი გახლდათ, უმნიშვნელოვანესი მისიით მოვლენილი – ეგ შენ ვიღაცა წმინდა ფრანცისკი არ გეგონოს – საგალობლების საწერადაც რომ იცლიდა და ჩიტებსაც რომ ესაუბრებოდა მოცლილობის ჟამს... მართლა გეუბნები, მართლა-მართლა. როგორ ახერხებ, არც კი დაფიქრდე ამაზე? მამაზეციერს ვინმე საამო პიროვნება რომ დასჭირვებოდა საქმის გასაკეთებლად, აიღებდა და წმინდა ფრანცისკს დააკისრებდა – გაუჭირდებოდა თუ რა? მან კი საუკეთესო შეარჩია საუკეთესოთა შორის – გონით რჩეული, სენტიმენტებს მოკლებული, ნაღდი *მასწავლებელი*. თუ ეს არ გესმის, რაღა რჩება? მის ლოცვას ერთი, *ერთადერთი* მიზანი აქვს – მაცხოვრის გაგების უნარი უბოძოს მოკვდავს! იმიტომ კი არა, საკუთარი პაწია მოხერხებული სალოცავი აიგო და ვიღაც სანდომიანსახიან, მომხიბლავ, ღვთიურად დამტკბარ არსებას აღუვლინო ლოცვა, ვინც სამაგიეროდ ასევე პაწია ცოდვათა შენთა შეგინდობს, და დაგინანავებს, და ყველა ჯურის პროფესორ ტაპერებს აგაცილებს ცხოვრების გზაზე... და თუ ესე ყოველი არ გესმის,

ესე იგი, ლოცვას ბოროტად იყენებ, სათავისოდ, საკუთარი თბილი, დატკბილული, მოყუჩებული სამყაროს მოსაწყობად! – უეცრად წამოიწია, წამოჯდა და ფრენის გახედა. პერანგი უკვე მთლად გასაწური ჰქონდა. – მაცხოვარს რომ თავისი ლოცვა...

და უცებ ხმა ჩაუწყდა. ახლა ფრენის არ აცილებდა თვალს, თითქოს ახლაღა გაიგონა სლუკუნის ხმა, რომლის ჩახშობასაც ის გამალებით ცდილობდა. ზუი გაფითრდა – სახე მართლა მიტკლისფერი გაუხდა, ყოველგვარი ყვითელ-მომწვანო შენარევების გარეშე; ამგვარი სიფითრე შეიძლებოდა დასდებოდა ბავშვის სახეს, რომელიც მართლა შეყვარებულია ცხოველებზე – *ნებისმიერ ცხოველზე* – და ახლაღა დაინახა, რა სახე გაუხდა მის საყვარელ დაიკოს, დაბადების დღეს მისგან ნაბოძები საჩუქრის კოლოფი რომ გახსნა, იქიდან კი ყელზე ბაფთაშებმული პაწია კობრა წამოყელყელავდა... ზუი წამოდგა, დაბარბაცდა – რაც არასოდეს სჩვეოდა – მთელი ოთახი გადასერა და მაგიდას მიადგა; ცხადად ჩანდა, აზრზე არ იყო, რამ მიიყვანა იქ, ამიტომაც ისევ შემოტრიალდა, ისევ ფრენის დააცქერდა. სლუკუნი მიწყდა, ოღონდ ის ისევ ისე გვერდულად ინვა, მოუხერხებლად, ცალი ხელი თავქვეშ ამოედო. ზუიმ დაცვარულ შუბლზე მოისვა თითები, მერე ჯიბეში ჩაიყო, მერე ისევ ამოიღო, ბოლოს გაბედა და თქვა: – მაპატიე, ფრენი. – ოღონდ ამ ფორმალურმა ბოდიშის მოხდამ მხოლოდ სლუ-

კუნის ახალი ტალღა ააგორა. ზუი კიდევ ოციოდე წუთი გაჰყურებდა ტახტზე მწოლიარე დას, მერე ოთახიდან გავიდა და კარიც გაიხურა.

გაუმშრალი საღებავის სუნი ტრიალებდა მთელ სახლში. დერეფანში პარკეტი ერთთავად გაზეთებით იყო მოფენილი, და ზუის ფეხსაცმლის ანაბეჭდი წამსვე გამოისახა რომელიღაც სპორტული გვერდის ფურცელზე, რომლის ფოტოზეც სახეგაბადრულ იახტსმენს ახლად დაჭერილი, კარგა მოზრდილი ორაგული დაეიღლიავებინა. რამდენიმე ნაბიჯიც გადადგა და პირისპირ შეეჩეხა ოთახიდან გამოსულ დედას. – მეგონა, უკვე წახვედი! – თქვა ბესიმ და ორი ცალი გაფითქინებული ზეწარი შეათამაშა ხელებში. – მომეჩვენა, თითქოს შემოსასვლელი კარი... – სიტყვა გაწყვიტა და შვილს სახეზე დააკვირდა. – რა დაგემართა? რა ნარბენივით გაოფლიანებულხარ? – მაგრამ პასუხს არც დაუცადა, ხელი ჩაავლო და სინათლესთან მიიყვანა: – კი, ნამდვილად გაოფლილი ხარ. – ისეთი შეუვალობითა და გაკვირვებული სახით იმზირებოდა, თითქოს ზუის კანის ფორებიდან ნედლი ნავთობი გადმოსდიოდა – არა, მაინც როგორ მოახერხე? სულ ახლახან არ იბანავე?

– დე, მაგვიანდება რა! ჩამომეცალე – დედა და საწოლი ოთახიდან დროებით დერეფანში გამოტანილი კარადა უიმედოდ ეღობებოდა წინ. – არა, ეს უბედურება ვინღა გამოათრია აქ?

– მაინც რატომ გაოფლიანდი, აღარ მეტყვი? ფრენის ელაპარაკე უკვე? საიდან გამოხვედი აქ – სასტუმრო ოთახიდან?

– ნამდვილად. სხვათა შორის, შენს ადგილას ერთხელ მაინც შევიხედავდი იქ. ტირის. ყოველ შემთხვევაში, ტიროდა, როცა გამოვდიოდი, – მხარზე მოუთათუნა ხელი, – გამატარე ახლა.

– ტირისო? მერედა, რა ატირებს, თუ იცი?

– მე საიდან უნდა ვიცოდე? ალბათ, ვინი-პუჰის წიგნი რომ დავუმალე, იმიტომ. გამატარე რა, ბესი, ხომ გითხარი, მაგვიანდება-მეთქი!

ქ-ნ გლასს თვალი არ მოუცილებია, ისე გადგა გვერდზე, მერე კი აჩქარებული ნაბიჯით, ისე, რომ ძლივსღა დაადევნა შვილს, – *პერანგი მაინც გამოგეცვალაო,* – სასტუმრო ოთახში შეთუხთუხდა.

ზუიმ იქნებ გაიგონა კიდეც ნათქვამი, მაგრამ ყურიც არ შეუბერტყავს. დერეფანი გაიარა და საწოლ ოთახში შევიდა, სადაც თავის ტყუპ ძმასთან ეძინა ხოლმე ერთ დროს, ახლა კი, 1955-ში, მთლიანად მის განკარგულებაში იყო. ორიოდ წუთით გაჩერდა იქ, მერე ისევ იმ გაწებილი პერანგით გამოვიდა, ოღონდ მცირე გარეგნული ცვლილება მაინც აშკარად ეტყობოდა: რატომღაც, თავზე ცხვირსახოცი დაეფარებინა – წვიმისაგან, ხოშკაკალას თუ მეხთატეხისგან თავდასაცავად და პირში კიდევ ახალი სიგარის გარჭობაც მოესწრო.

გამოვიდა და პირდაპირ იმ ოთახში შეიჭრა, რომელიც ადრე მის უფროს ძმებს ეჭირათ.

ეს პირველი შემთხვევა გახლდათ ამ შვიდი წლის განმავლობაში, მან სიმორისა და ბადის კარის ზღურბლს რომ გადააბიჯა, ასე ვთქვათ. არა, ერთხელაც იყო, ოღონდ იმდენად უმნიშვნელო შემთხვევის გამო, იქნებ სახსენებლად არც კი ღირდეს: ორიოდ წლის წინ ის მეთოდურად ჩხრეკდა მთელ ბინას – „აწაპნილი“ ჩოგნის ძიებაში.

კარი მჭიდროდ გაიხურა და უკმაყოფილებაც დაეწერა სახეზე, გასაღები რომ არ აღმოჩნდა საკეტში გარჭობილი. შევიდა, არც კი მიუხედ-მოუხედავს, იქვე შემოტრიალდა და ჯიქურ დააშტერდა კარზევე გაკრულ, გვარიანი სიდიდის, ოდესღაც ქათქათა მუყაოს ნაჭერს – ლამის მთელ კარს სწვდებოდა და მთლად გადაჭრელებული იყო მსოფლიო ლიტერატურის შედევრებიდან ამოკრებილი ციტატებით. ასო-ნიშნები მეტად მცირე ზომისა გახლდათ, შავად გამოკვეთილი და ვერც ერთ ნადღაბნს ზედ ვერ იპოვიდით; ის კი არა, მთლად ძირში, სადაც ორი გადამწერი, აშკარაა, მუცლებზე ხოხავდა სტრიქონების ლამაზად გამოსაყვანად, არანაკლები თავგამოდება გამოსჭვიოდა. ერთი ეგ იყო, რომ არავითარი სისტემა არ ჩანდა: ბლეზ პასკალი ემილი დიკინსონთან მეზობლობდა, ბოდლერი – თომა კემპიელთან... მოკლედ, ყველაფერი ერთ ქვაბში ეყარა.

ზუი მეთოდურად, ზემოდან ქვემოთ, სვეტებად კითხულობდა ციტატებს და მისი სახის გამომეტყველების, ან, უფრო სწორად, უმეტყველობის შემხედვარე იფიქრებდით, სადგურზე მატარებლის გასვლას ელოდება და უსაქმობისაგან საფენების რეკლამის კითხვით ირთობს თავსო.

და უფლება გეძლევა იშრომო, ოღონდაც შრომა – ოდენ შრომისათვის და არა ნაყოფისა მისისა ტკბობად; არა გითქმოდეს გული ნაყოფისათვის შრომისა შენისა, და არა ემონო უსაქმობასა.

ყოველი ქმედება შენი უმორჩილე უზენაესს, და თანაბარყავი ხასიათი შენი – როგორც წარმატებასა, ეგრეცა მარცხსა ზედა, რამეთუ თანაბრობასა და გონების აუმღვრევლობას ითხოვს იოგა.

ჯილდოსათვის ნამოქმედარი ბევრად ნაკლულოვანია ამგვარი სურვილის არქონით ჩადენილზე. და შენც ბრაჰმანის სიბრძნეში ეძიე თავშესაფარი – ვინაც სარფისათვის იღვწის, საცოდავია.

ბჰაგავად გიტა

უყვარდა, როს მოხდებოდა...

მარკუს ავრელიუსი

ლოფორთქინა·ადის ფუძიზე –
ნელა, სულ ნელა

ისა

ახლა ორიოდ სიტყვა ღმერთებზეცა ვთქვათ: ზოგი ხომ თავად ღვთაებრიობის არსს უარყოფს; სხვანი მის არსებობას კი აღიარებენ, ოღონდ მიიჩნევენ, რომ ღმერთებს მიწიერი ამბები არ ადარდებთ და არც ხვედრისა თუ ბედისწერის წარმართვასთან აქვთ ხელი. მავანნი აღიარებენ კიდეც და განგებისაც სჯერათ – ოღონდ მხოლოდღა ზეციურ ამბებთან დაკავშირებით. ისეთნიც არიან, მიწიერს ზეციურთან რომ ათანაბრებენ – თუმც მხოლოდ ზოგად და არა – კერძო შემთხვევებთან დაკავშირებით. მეხუთენი კი, რომელთაც ულისეცა და სოკრატეც თანაბრად განეკუთვნებიან, მუდამ ერთსა და იმავეს იმეორებენ: – თითსაც არ გავანძრევ თვინიერ ნებისა შენისა!

ეპიქტეტე

სასიყვარულო ხლართი მაშინ იბმება, როცა ერთმანეთისათვის მანამდე უცნობი ქალი და კაცი აღმოსავლეთით მიმავალ მატარებელში გააბამენ საუბარს:

– აბა, – თქვა ქ-ნმა კრუტმა, – კანიონი როგორ მოგეწონათ?

– ეგეც ერთი ხრამია, რა! – გაეპასუხა თანამგზავრი.

– რა უცნაური ნათქვამია! – წამოიძახა ქ-ნმა კრუტმა. – ახლა კი დროა, ცოტა გამართოთ.

რინგ ლარდნერი
(„როგორ იწერება მოთხრობა“)

ღმერთი გულს გვიკეთებს, ოღონდ არა აზრებით, არამედ ჩვენს თავს მოვლენილი სატანჯველითა და წინააღმდეგობებით.

დე კოსედი

•

– მამა! – წამოიძახა კიტიმ და პირზე ააფარა ხელი.

– კარგი, კარგი, აღარ ვიზამ... ძალზე მიხარ... ღმერთო, რა სულელი ვარ!

ხელი მოჰხვია, სახე დაუკოცნა, მერე ხელები, მერე პირჯვარი გადასახა.

და უცებ ლევინს უცნაური სიყვარული შემოაწვა ამ მისთვის მანამდე უცხო კაცის, მოხუცი თავადის მიმართ – როცა ხედავდა, რა ნაზად, რა დიდხანს ეკონებოდა კიტი მის დაკუნთულ, ხორციან ხელს.

„ანა კარენინა“

„ბატონო, უნდა ავუხსნათ ხალხს, რომ ტაძრებში ქანდაკთა და გამოსახულებათა თაყვანისცემა არასწორია“.

„აი, სულ ეგა გჭირთ კალკუტელებს: ერთთავად სხვისი ჭკუის სწავლება და ქადაგად დავარდნა გინდათ! თვითონ უპოვართ, ათასი ლაქჰი რუპიის გაცემა გწადიათ. განათუ ღმერთმა არ უწყის, ემაგ ქანდაკთა და ნახატთა სახით თავად მას რომ ეთაყვანებიან? დაღათუმცა მომლოცველი ცდუნებამ

შეიპყროს, ნუუკუე ღმერთს წინდაწინვე არ ეუწყება ეგე?"

სახარება შრი რამაკრიშნასი

'– არ შემოგვიერთდები? – მკითხა ნაცნობმა, ნაშუალამევს რომ შემომეფეთა თითქმის დაცარიელებულ კაფეში. – „შანსი არაა," – ვუპასუხე.

კაფკა

„ხალხთან ყოფნის ბედნიერება".

კაფკა

წმ. ფრანცისკ ასიზელის ლოცვა: „დიახ, უფალო! აწ და მარადის – დიახ!

ცუი-ჟანი დღეყოველ ამგვარად მიმართავდა საკუთარ თავს: – მოძღვარო! – და იქვე პასუხობდა კიდეც: – გისმენ.

მერე აგრძელებდა საუბარს: – გამოფხიზლდი! – და ისევ პასუხობდა: – დიახ, მოძღვარო!

და შედეგად, ნურვის მისცემ ნებას, შეცდომაში შეგიყვანოს!

დიახ, მოძღვარო, ჭეშმარიტად! – პასუხობდა იგი.

წიგნი მუ-მონ-კვანისა

მუყაო ერთთავად წვრილი ნაწერით იყო დაფარული და ეს უკანასკნელი სიბრძნეც კარგა ზევით ისახებოდა – ზუის ჩამუხლვაც კი არ დასჭირვებია

მის წასაკითხად. მერე გატრიალდა, სიმორის საწერ მაგიდასთან მივიდა, მაღალსაზურგიანი სკამი გამოსწია და ისე დაჯდა, თითქოს ეს უკვე ჩვევად ჰქონდა ქცეული. სიგარა კიდეზე ჩამოდო – ანთებული წვერით გარე მხარეს, იდაყვებით მაგიდის პირს ჩამოეყრდნო და სახე ხელებში ჩარგო.

მის უკან, ხელმარცხნივ, ნახევრად ფარდაჩამოფარებული ორი ფანჯარა უკანა ეზოში გადიოდა, სადაც დღის ნებისმიერ დროს მიმოდიოდნენ მრეცხავი ქალები თუ საბაყლოებიდან გამოსული ხელზე მოსამსახურე ბიჭები. თავად ოთახი, მანჰეტენზე დადგენილი წესისა და რიგის მიხედვით, უმზეოც იყო და ვიწროც; გლასების უფროსმა შვილებმა – სიმორმა და ბადიმ – ეს სათავსი 1929-ში დაიკავეს, როცა ერთი ჯერ თორმეტისა გახლდათ, მეორე კი – ათისა და, შესაბამისად, ოცდასამისამ და ოცდაერთისამ დაცალეს. ძირითადად, ნეკერჩხლის ხის ავეჯით გაეწყოთ: ორი ტახტი, ორი პატარა საწერი მაგიდა, ორი კარადა, ორი თხელზურგიანი სავარძელი. იატაკზე გვარიანად გაცვეთილი, აღმოსავლურ ყაიდაზე ნაქსოვი ფარდაგი ეფინა. მთელი დანარჩენი ფართობი, მცირედი გამოკლებით, წიგნებს ეკავა. ე.წ. „სამაგიდო“ წიგნები, „საკარადო“ წიგნები, „ხელდასაცლელი“ წიგნები – ყველა ესენი განელაგებინათ სტელაჟებზე, რომელთა სიმაღლეც უკვე ჭერს უწევდა. რაც ზედ არ დაეტია, პირდაპირ იატაკზე დაეწყოთ შტაბელებად. მოკლედ,

აქეთ-იქით კიდევ გაივლიდი კაცი, მაგრამ წინ და უკან ბოლთის ცემაზე – ნურას უკაცრავად. მომწერლო ხალხის ენით რომ ვთქვათ, ეს აშკარად ორი იმგვარი მოზარდის სამყოფელი იყო, მეცნიერებისა თუ იურისპრუდენციის სარბიელზე რომ სურთ გასვლა. და მართლაც, ძალიან თუ არ მიაკვდებოდით არსებული ლიტერატურის ხასიათის კვლევას, კაცი ვერ იფიქრებდა, რომ ამა ოთახის მოსახლეებს უკვე საარჩევნო ხმის უფლების ასაკისათვის მიეღწიათ. ერთი ეგაა, რომ ტელეფონი ედგათ – აი, სწორედ ის ყბადაღებული პირადნომრიანი აპარატი – ზედ ბადის მაგიდაზე იწონებდა თავს და კიდევ ის, რომ ორივე საწერ მაგიდას მივიწყებული, ზედვე ჩამქრალი სიგარეტის ნამწვების კვალი აჩნდა. ყველა სხვა დანარჩენი წვრილმანი ჯერ კიდევ 1940-ში გაქრა ოთახიდან, როცა ახალგაზრდები, ასე ვთქვათ, „ოჯახს გამოეყვნენ“ და საცხოვრებლად ცალკე გადავიდნენ.

ზუი მაგიდას უჯდა, სახე, როგორც მოგახსენეთ, ხელებში ჩაერგო და თავზე დაფარებული ის ცხვირსახოციც ახლა შუბლზე ჩამოსჩაჩოდა. უძრავად იჯდა კარგა ოცი წუთი, თუმცაკი არ ჩასძინებია. მერე ერთი მკვეთრი მოძრაობით დასწვდა სიგარას და პირში იტაკა, ხოლო მეორე ხელით უჯრა გამოაღო და მუყოს ფირფიტები დააძრო – აი, ისეთი, მამაკაცის პერანგებს რომ ახლავს ხოლმე. მაგიდაზე დაანყო და გადაქექა. ბოლოს ერთი ამოარჩია – 1938

წლის თებერვალში წაეწერათ ზედ რაღაც. ხელი აშ-კარად სიმორისა იყო, ლურჯი ფანქრით ნაწერი:

„ეს ჩემი ოცდამეერთე დაბადების დღეა. საჩუქ-რები, საჩუქრები, საჩუქრები... ფრენი და პაწაწუნა, ცხადია, ბროდვეიზე გაქანდნენ საყიდლებზე. მთე-ლი პაკეტი ქავილის გამომწვევი ფხვნილი მაჩუქეს და სამი ცალი ყროლის დამყენებელი ყუმბარა – „სადმე ხალხიან ადგილას" ასაფეთქებლად.

საღამოს ცეკვებიც გაიმართა ჩემს პატივსაცე-მად. ლესიმ და ბესიმ ძაან გამოიდეს თავი, ბუ-ბუ კი მაგრად ბაძავდა და აქილიკებდა. ლესმა ლამის ორიოდ კურცხალიც კი გადმოაგდო. პაწაწუნამ „აბდულ აბულბულ ამირი" იმღერა მთელი მონდო-მებით, ზ-მ კიდე რაღაც ნაწყვეტი წარმოადგინა ერთი ძველი ვოდევილიდან, შუბლით კარადის კი-დეს დაეჯახა და ლამის იყო, გაცოფდა ბრაზისაგან. ტყუპებმა ბაბლი-ბაკის ჩემი და ბადის საყვარელი სცენა გაითამაშეს, და სწორედ ამ დროს კარისკაცი მოგვადგა – *ვინმე ხომ არ ცეკვავს თქვენსა, თორე ბ-ნმა ზელიგმანმა, მე-4 სართულიდან...*"

ზუიმ კითხვა შეწყვიტა. ფირფიტები აალაგა, შეკვრას ყუები გაუსწორა და ისევ ისე შეალაგა უჯ-რაში. მერე ერთხელაც კიდევ ჩამოეყრდნო იდაყვე-ბით მაგიდის კიდეს და სახე ხელებში ჩამალა. ამჯე-რად ლამის ნახევარ საათს იჯდა ასე გაუნძრევლად.

როცა წამოდგა, გეგონებოდათ, თოჯინას ძაფე-ბი გამოაბეს და ზედმეტი გულმოდგინებით ექაჩე-

ბიან აქეთ-იქითო. სიგარის პირში ჩადება ძლივს მოასწრო, რომ ახლა მეორე – ბადის კუთვნილ მაგიდას ეცა, სადაც ტელეფონი იდგა.

ახლა აქ გაიმყარა პოზიციები და, უპირველესად, პერანგის კალთები ამოიძრო შარვლიდან. მერე ბოლომდე ჩაიხსნა კიდეც – თითქოს უცაბედად ტროპიკებში ამოეყო თავი. მარცხენა ხელით სიგარა გამოიღო პირიდან, მარჯვენათი კი ცხვირსახოცი მოიძრო და ტელეფონის აპარატის გვერდით დააფინა სათუთად. მხოლოდ ამის შემდეგ აიღო ყურმილი და ადგილობრივი ნომერი აკრიფა. ძაანძაან ადგილობრივი, რამე რომ იყოს. მერე ისევ ცხვირსახოცს დასწვდა და მიკროფონის მხარეზე დააფარა ყურმილს. მძიმედ ამოიოხრა, დაელოდა. ამასობაში ჩამქრალი სიგარის ხელახლა მოკიდებასაც კი მოასწრებდა, მაგრამ არ ისურვა.

ორიოდ წუთით ადრე, ამ ბოლო ნახევარი საათის განმავლობაში, ფრენიმ უკვე მეოთხედ უარყო დედამისის წინადადება – „ერთი ფინჯანი ქათმის ცხელი ბულიონი“ მიეტანა მისთვის. ამჯერად ქ-ნმა გლასმა ეს უკვე გზად გამოსძახა სამზარეულოსაკენ მიმავალმა, მაგრამ ფრენის ათრთოლებული ხმით გაცემული პასუხი რომ გაიგონა, სწრაფადვე დაბრუნდა უკან – ტახტთან მიდგმული სკამისაკენ. უნდა მოგახსენოთ, ეს სკამი ფრიად მოხერხებული სათვალთვალო პუნქტი გახლდათ, რომელიც ქ-ნმა

გლასმა თავად გამართა, როგორც კი ფრენიმ ცოტა გამოიხედა და სავარცხელს დაუწყო ძებნა. ფრენისთვის თვალის დევნების გარდა, სკამი ასევე, მეტად მოხერხებულად იდგა მაგიდასთან და აღარც საფერფლის ძებნა იყო საჭირო.

დაჯდა და ისე ამოიოხრა, როგორც სჩვეოდა ხოლმე, როცა ვინმე უარს ეტყოდა მის მომზადებულ ფინჯან ბულიონზე. მეორე მხრივ, იმდენად ჩვეული იყო ამას, რომ მისი მხრივ ეს ოხვრა არავითარ შემთხვევაში არ მოასწავებდა კაპიტულაციას: – არ მესმის, როგორ აპირებ ძალების აღდგენას, თუკი არაფერ *მაწიერს* არ მიაწოდებ ორგანიზმს?! ღმერთმანი, არ მესმის. უკვე მთელი...

– დედა, *მეოცეჯერ* მაინც გემუდარები – ეს ბულიონი მაინც აღარ მიხსენო! გული მერევა. – მერე უცებ გაჩუმდა და დააყურადა: – ეს რა, ჩვენი ტელეფონია?

ამასობაში, ქ-ნი გლასი უკვე ფეხზე იყო და ტუჩებმოკუმული (ნებისმიერი ზარი ნებისმიერ დროს ქ-ნ გლასს აიძულებდა ხოლმე, ტუჩები მკაცრად მოეკუმა), ჯიბეებში ჩაყრილი ათასგვარი წვრილმანის ჩხარაჩხურით, კარისაკენ წავიდა. – ამ წუთში დავბრუნდები, – დაუგდო სიტყვა.

მთელი ხუთი წუთით კი შეაგვიანდა. უკან მობრუნებულს, იმგვარი გამომეტყველება ედო სახეზე, რომელსაც მისი უფროსი ქალიშვილი, ბუ-ბუ „ორიდან ერთს“ ეძახდა – ან ეს-ესაა ტელეფონზე

ელაპარაკა თავისი ვაჟებიდან ერთ-ერთს, ანდა ოფიციალურად გამოცხადდა, რომ მთელი დედამიწის მოსახლეობა ვალდებულია, ერთსა და იმავე დროს მოისაქმოსო. – ბადი რეკავს, – გამოაცხადა შემოსვლისთანავე. ხანგრძლივი ვარჯიშის შედეგად მიეღწია, რომ ხმაში სიამის თუნდაც სულ ოდნავ გასაგონი ბგერაც კი არ გამორეოდა.

ფრენის გამოხმაურებას სიხარულის არაფერი ეტყობოდა: – საიდან ვრეკავო? – ესღა იკითხა.

– წარმოდგენა არა მაქვს. ისეთი დაგუდული ხმა ჰქონდა, ნაღდად გაციებულია. – ქ-ნი გლასი აღარ დამჯდარა, ფრენის წინ წამომართულიყო. – ცოტა მოუჩქარეთ, ქალბატონო. თქვენთან ლაპარაკი მოსურვებია.

– მართლა ეგრე თქვა?

– აბა, ვიგონებ?! და ნუ იზლაზნები, თუ შეიძლებოდეს! ფაჩუჩების წამოცმა არ დაგავიწყდეს.

ფრენი პლედის ქვეშიდან გამოძვრა, ტახტის კიდეზე ჩამოჯდა და აშკარად დროის გაყვანას ცდილობდა. ფაჩუჩებიც კი ვერაფრით მოირგო ფეხზე. – მაინც, რა უთხარი? – ჰკითხა აღელვებულმა.

– ტელეფონთან მიდით, ქალბატონო, ტელეფონთან! – პირდაპირ პასუხს თავი აარიდა დედამისმა. – და იქნებ ზრდილობის გამო მაინც აუჩქაროთ ფეხს...

– ეტყოდი ალბათ, მისიკვდილებულიაო ან რამე ეგეთს. – პასუხი არ მიულია. წამოდგა – არც მთლად

ნაოპერაციები ავადმყოფივით, მაგრამ რაღაც გაუბედაობა კი ეტყობოდა მოძრაობებში, თითქოსდა იმედი ჰქონდა, აი ახლა დამეხვევა თავბრუ, აი ახლაო. ფეხები ფაჩუჩებში ტუცა, ხალათის ქამარს კი ხან იხსნიდა, ხანაც ისევ იკრავდა – დაახლოებით ამ ერთი წლის წინათ, ბადისთან მიწერილ წერილში, ფრენიმ თავის სხეულს „პირწმინდად ამერიკული" უწოდა და მის შემხედვარე დედამისს (უნდა ითქვას, ქალიშვილების აღნაგობის უებრო მცოდნეს) ახლა ტუჩების განსაკუთრებული დაძაბვა დასჭირდა, კმაყოფილებით რომ არ ჩაეღიმილებინა. ოღონდ გავიდა თუ არა ფრენი გარეთ, ქ-ნმა გლასმა მთელი თავისი ყურადღება ახლა ტახტზე გადაიტანა – მისი აზრით, არაფერი ისე არ ამახინჯებდა ოჯახურ გარემოს, როგორც სასტუმრო ოთახში ლოგინად ქცეული მშვენიერი ტახტი. მიადგა და უპირველესად, გავარჯიშებული ხელით ჯერ ბალიშები ააბუა.

ფრენიმ გულგრილად ჩაუარა დერეფანში კედელზე ჩამოკიდებულ ტელეფონს – აშკარად მშობლების საწოლ ოთახში დადგმული ერჩივნა. მის მიხრა-მოხრაში ახლა არაფერი იყო თვალშისაცემი – არც მილასლასებდა და არც ფეხს უჩქარებდა, ოღონდ ეგ იყო – თითქოს სულ უფრო ბავშვური ხდებოდა.

ოთახში ახალშეღებილი კედლებიდან საღებავის მძაფრი სუნი მოდიოდა, ხოლო ერთ დიდ ჯვალოს ნაჭერგადაფარებული მთელი ავეჯი შუაში მოეწი-

ათ. მხოლოდ ბ-ნ გლასის ლოგინს ეფარა ჩითის შალითა და ზედ ტელეფონი იდო – აპარატი ცალკე და ყურმილი კი – მის გვერდით, თითქოსდა სნორედ ფრენის ელოდებოდა მორჩილად. ფრენის შრაშუნა გაზეთებით მოფენილ იატაკზე მოუწია გავლამ და თან საღებავით ნახევრად სავსე სათლისთვისაც უნდა აევლო გვერდი. ოღონდ რომ დასწვდა, თავიდან ხმა არ გაუღია – ჯერ მაგიდაზე გადაფარებული გაზინზლული ჯვალოს ქვეშ მოაფათურა მეორე ხელი და ფაიფურის საფერფლე და შიგვე ჩაგდებული ასანთი გამოაძვრინა; სიგარეტს მოუკიდა, მერე ყურმილს დახედა ეჭვით. სიმართლე ითქვას და, ცხონებული სიმორის გარდა, ოჯახის ყველა წევრმა იმგვარი ომახიანი საუბარი იცოდა ხოლმე ტელეფონით, ახლა ასეთი ხმის გასაგონებლად ფრენის ჯერ ცოტა გამბედაობაც უნდა მოეკრიბა. ბოლოს მაინც აიძულა თავი და ყურმილში ჩასძახა: – როგორ ხარ, ბადი?

– მე რა მიჭირს, თავად როგორ?

– მშვენივრად. ოღონდ შენი ხმა მესმის რაღაც დაგუდულად. გაციებული ხარ? – და პასუხსაც არ დალოდებია, ისე დაამატა: – ბესიმ ალბათ უკვე დაფქვა ჩემზე ყველაფერი...

– არც უმაგისობაა. მთავარი ისაა, შენ როგორ გრძნობ თავს?

– რა ვიცი, კარგად. დაიცა, ასეთი ხმა რატომ გაქვს? ან მართლა გაციებული ხარ, ან... საიდან რეკავ?

– საიდან? საკუთარ სტიქიაში ვარ – პატარა, მოჩვენებებით სავსე სახლში ვიმყოფები, თქვენსავე უბანში. ეგ არაფერი, ცოტა დამელაპარაკე, რა!

ფრენიმ მოუსვენრად გადააჯვარედინა ფეხები. – არც ვიცი, რაზე გელაპარაკო... ბესიმ რა გითხრა?

პაუზა სწორედ ისეთი იყო, ასაკით უფროსს რომ ეკადრება და არც პირველი გახლდათ მათ ურთიერთობაში და ალბათ არც უკანასკნელი იქნებოდა: – აბა, რა გითხრა, კარგად და ბოლომდე არც კი მახსოვს. ხომ იცი, როცა ბესი გელაპარაკება, გარკვეული დროის მერე უკვე უხერხულადაც გეჩვენება უდიდესი ყურადღებით მისთვის ყურისგდება. ჩიზბურგერების გარდა რომ პირში არაფერს იდებ, ეგ გავიგე და კიდე ისა, რა ჰქვია იმას – იმ მომლოცველის შესახებ წიგნების თაობაზეც მომახსენეს. მერე უკვე ვიჯექი და ისე მეჭირა ყურმილი, ზრდილობის გამო. ხომ იცი, როგორც ხდება ხოლმე.

– გასაგებია. – სიგარეტს ხელი მოუნაცვლა. – შენ ის მითხარი, ხმაზე რა გჭირს?

– რა ვიცი, თავს კი მშვენივრად ვგრძნობ და... აი, ვზივარ, შენ გელაქლაქები. სხვა რომ არაფერი, შენი ხმის გაგონებაც კი მიხარია, ჩემო კარგო.

ფრენიმ შუბლზე ჩამოყრილი თმა გადაიყარა უკან. ხმა არ გაუღია, ისე.

– რაო, ხდება რამე, რაც ბესის გამორჩა? გინდა ამაზე მელაპარაკო?

ფრენიმ ახლა თითი წაკრა პაწია საფერფლეს, გაასწორა. – სიმართლე გითხრა, ლაპარაკის თავის აღარ მაქვს. ზუიმ კარგად დამამუშავა ამ დილას.

– ზუიმ? პირადად? დიდი პატივია. და რასა იქმს ჩვენი ზუი?

– გადასარევადაა. ერთი მაგის თავი მომცა სადმე ბნელ კუთხეში...

– რა იყო, დაგიშავა რამე?

– დამიშავა?! ჩემი ხელით მოვკლავდი, რამე რო იყოს... ამისთანა არაფერი გენახოს – ჯერ იყო და, მაცხოვრის ლოცვაზე ამიხირდა, მერე კიდე საწინააღმდეგოს მიმტკიცებდა – ერთადერთი ვინმეა, ვისაც შეიძლება პატივი სცეო... საერთოდ, არათანმიმდევრულია. ღობე-ყორეს ედება და თან აქეთ გარიგებს ჭკუას.

– ა-ჰაა... აბა, თქვენი მოსაზრებანიც გვიბოძეთ!

აი, აქ კი ცოტა შეეშალა ფრენის – ბრაზიანად დაიფრუტუნა და სულ დაავიწყდა, სიგარეტი რომ ჰქონდა პირში გაჩრილი: კინაღამ ხველით დაიხრჩო. – რა უნდა გითხრა?! – თქვა მერე, ცოტა სული რომ მოიბრუნა. – მთელი დღე არ მეყოფა მაგისი საგმირო საქმეების ჩამოსათვლელად! გველეშაპია ნამდვილი. ყველაფერზე იღრინება. სარწმუნოებას აქილიკებს, ტელევიზიას ლანძღავს... შენზეც გაბრაზებულია და სიმორზეც – ასე ამბობს, მაგათ დაგვამახინჯესო.

– რას ნიშნავს „დაგამახინჯეთ“? მაინც რას გულისხმობდა?

ამ გულუბრყვილო შეკითხვით მთლად წყობიდან გამოყვანილმა ფრენიმ შუბლზე იტკიცა ხელი – კარგა 5-6 წელი იქნებოდა, ეს არ გაუკეთებია (პირველად კი მაშინ გამოუვიდა უნებლიეთ, ავტობუსით სახლში რომ ბრუნდებოდა და უცებ გაახსენდა, ყელსახვევი დამრჩა კინოშიო).

– დაიცა, როგორ თუ რას გულისხმობდა? მაგისას რას გაიგებ – ყველაფერს თავისებურად ატრიალებს! ჯერ მეუბნება, ორივენი დაგვამახინჯესო, მერე კი – სულ რაღაც ათ წუთში – იმის მტკიცებას მოჰყვა, ეს მე ვარ დაბადებით გონებადამახინჯებული, რადგან არავისთან ერთად არ მსურს სადმე წასვლა და ერთი კარგად დალევაო! მხოლოდ ერთხელ იყო...

– დაიცა, რა გითხრა – რა არ მსურსო?

– ვინმესთან ერთად დალევაო. საქმეც ესაა, გუშინ საღამოს გრინვიჩ-ვილიჯში წასვლამ მოუწია თავის სცენარისტთან ერთად დასალევად და ჭკუაზე აღარ იყო; იმას მიმტკიცებდა – ერთადერთი ხალხი, ვისთან ერთადაც ჭიქის აწევას ვისურვებდი, ან სასაფლაოზეა, ან ეშმაკებშიო... გაიძახის, საუზმობაც კი არ მინდა ვინმესთან ერთადო – თუ, რა თქმა უნდა, პირადად იესო არ გამოეცხადა, ან ბუდა, ან შანკარაჩარია, ან ვინმე ეგეთი.

ფრენიმ მოუხერხებლად ჩააქრო სიგარეტის ნამწვი პაწია საფერფლეში. – დაიცა, და, იცი, კიდე რა მითხრა? რვა წლის ვიყავი, სამზარეულოში თითო პატარა კათხა ლუდი რომ დავლიეთ მე და მაცხოვარმა ერთადო... არა, გესმის მაინც, რას ვამბობ?

– მესმის, როგორ არ მესმის.

– ასე მითხრა – სიტყვასიტყვით გიმეორებ – *ვზივარ ჩემთვის სამზარეულოში მარტო, „დომბისა და შვილს“ ვფურცლავ და უცებ მოპირდაპირე მხარეს იესო დამიჯდა და მეკითხება – ერთ პატარა კათხა ლუდს არ დამალევინებო?* გესმის შენ, ეგეთ რაღაცებს ბოდავს და აქეთ მარიგებს მერე ჭკუას! ესაა, რომ მაგიჟებს! სწორედ ამას გადავყავარ ჭკუდან! თითქოს საგიჟეთში ვიყო, ამ დროს კიდე ვიღაც სხვა გიჟი მოდის, ექიმივითაა ჩაცმული და გულისცემას მისინჯავს, ტვინს მიბურღავს და რა ვიცი!.. თანაც სიგარის კვამლით აყროლებს იქაურობას! ლამისაა დავიხრჩო!

– ჰო-ო, სიგარა აუცილებელი რამეა, ჩემო კარგო! ეგ აკავშირებს აქაურობასთან, თორემ ეგ რომ არ ჰქონდეს, მიწას მოსწყდებოდა და, მშვიდობით, ძმაო ზუი!

გლასების ოჯახში სიტყვიერი შეხლა-შემოხლის დიდოსტატებს რა გამოლევდა, ოღონდ მხოლოდ ზუი თუ გაბედავდა ასეთ რამეს – ტელეფონში თავისი ნალაპარაკევი სხვისად გაესაღებინა! ფრენი კი მიხვდა რაღაცას, ბოლო-ბოლო იმასაც მიხვდა,

სინამდვილეში ვინ ელაპარკებოდა, ნელა წამოდგა ლოგინიდან: – კარგი ახლა, ზუი, გეყო...

– უკაცრავად?

– გითხარი, მორჩი-მეთქი!

– რა იყო, რა მოხდა? ფრენი, შენა ხარ?

– *რაც ჩემგან დარჩა...*[1] მორჩი, რა, ზუი, ვიცი, შენა ხარ.

– ვინ ზუი, რა ზუი... რა გემართება, საყვარელო?

– ზუი გლას, მაგარი ხარ. მორჩი ახლა, სულაც არ მეცინება. ძლივს ცოტა...

– ბოდიში მომითხოვია, მაგრამ ზუი გრასი ის ნორვეგიელი ჯეელი არაა, ქერათმიანი, მოსპორტსმენო მასტი?

– მართლა *გეყოფა* რა, ზუი! ისედაც ყელში ამომივიდა ყველაფერი... იქნებ მოკლედ მითხრა, რაც გინდა და მოვრჩეთ, – ეს ბოლო სიტყვა რაღაც მიმკვდარებული გამოუვიდა, თითქოს არც მთლად იმას გულისხმობდა, რაც თქვა.

ცოტა ხნით უცნაურმა სიჩუმემ დაისადგურა ყურმილში და ფრენიმაც რაღაც იჭვნეულად, არა – უფრო უხერხულად იგრძნო თავი. ისევ ჩამოჯდა ლოგინზე: – არ ვაპირებ, ყურმილი დაგიკიდო ან რამე, მაგრამ ძალიან კი დავიღალე, ზუი. არაფრის თავი აღარა მაქვს, – დააყურადა, პასუხი არ იყო. ისევ გადააჯვარედინა ფეხები: – შენ რა გედარდება, რა – მთელი დღე შეგიძლია ეკიდო ტელეფონზე, მე კი მხოლოდ გისმენ და ეგაა... დიდი ვერაფერი

[1] *ჰამლეტის რემარკა: „A piece of him"*

სიამოვნებაა, უნდა გითხრა. გგონია, აქ ყველა რკინისაა თუ რა? – კიდევ უნდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ შეაწყვეტინეს:

– ნამდვილად არ მგონია ასე, ჩემო კარგო.

მგონი, ამ მარტივმა წინადადებამ უფრო ააფორიაქა ფრენი, ვიდრე წინანდელმა სიჩუმემ. სიგარეტს დასწვდა, მაგრამ აღარ მოუკიდა: – კაცი იფიქრებს, სწორედ ასე გგონია... – დააყურადა, იცდიდა. – მინდოდა მეკითხა – რამე ისეთი გქონდა სათქმელი?

– არც არაფერი ისეთი, საყვარელო.

ფრენი ელოდა. მერე ყურმილი ისევ ალაპარაკდა: – ან იქნებ იმიტომაც გირეკავდი, მინდოდა მეთქვა – თუ ასე ძაან გინდა, ილოცე და იყავი, ეგ შენი პირადი საქმეა და მეტი არავისი. მშვენიერი ლოცვაა, რამე რომ იყოს, და თუ ვინმე სხვა რამეს გეტყვის, არ დაუჯერო.

– ეგრეც ვიცოდი, – თქვა ფრენიმ. აშკარად ღელავდა და ახლა ასანთისკენ გაიწოდა ხელი.

– არც არასოდეს მიფიქრია, მართლა გადამეფიქრებინებინა შენთვის... არც ვიცი, რა ეშმაკი შემიჩნდა. ან რა უფლება მაქვს, მოგვივით ქადაგად დავვარდე და... ეს მოგვნი და წინასწარმეტყველნი რომ აღარ დაილია გლასების ოჯახში?! სწორედ მაგის მეშინია, მართლა მეშინია.

ფრენიმ ხელახლა ჩამოვარდნილი სიჩუმით ისარგებლა და წელში გასწორდა – თითქოსდა წელ-

გამართული ჯდომა რაღაც უპირატესობას მაინც აძლევდა მოცემულ ვითარებაში.

– უფრო სწორად რომ გითხრა, *მაფრთხობს*, კი არ მაშინებს... მოდი, გულზე ხელს დავიდებ და ისე გეტყვი: *არ* მაშინებს. იმიტომ, რომ ერთი რამ მაინც გავიწყდება, კარგო, როცა პირველად გაგიჩნდა ლოცვის სურვილი, უფრო სწორად, *ლოცვის* აღ*ვ-ლენის* სურვილი, ღობე-ყორეს არ მოსდებიხარ – პირდაპირ სახლში გამოუტიე! არავითარ მოძღვარს შენ არ დაეძებდი – უბრალოდ, მოხვედი და სცენები მოაწყვე. ასე რომ, შენ ახლა მხოლოდ ქვედა საფეხ-ურის სულიერი რჩევების მიღების ღირსი ხარ, ამის მეტს ჩვენ მაინც ვერაფერს მოგცემთ! მაგრამ ერთი რამ მაინც ხომ კარგად მოგეხსენება – აქ, ამ საგი-ჟეთში არავის სათავისოდ არაფერი ამოძრავებს! რაც გინდა თქვი და, ნდობა ხომ მაინც შეიძლება ჩვენი...

უცბად ფრენიმ სცადა, სიგარეტისთვის მოეკი-დებინა, მაგრამ ცალი ხელი ხომ დაკავებული ჰქონ-და და ისე უხერხულად გაჰკრა ასანთს, კოლოფიც ძირს დაუვარდა და ღერებიც ერთიანად მიმოეფან-ტა იატაკზე. დაიხარა, კოლოფი აიღო, ოღონდ და-ნარჩენი ღერების ასაკრეფად თავი აღარ შეუწუხე-ბია.

– ერთ რამეს მაინც გეტყვი, ფრენი, იმას, რაც ნაღდად *ვიცი:* თუკი რწმენის გზას ადგახარ, იმის დანახვაც უნდა შეგეძლოს, ყოველდღიურად რა

ღვთისმსახურება ხდება შენ ცხვირწინ! იმის ჭკუაც არ გყოფნის, თასით მორთმეული, ნაკურთხი ქათმის ბულიონი დახვრიპო – არადა, ბესიც ხომ მხოლოდ და მხოლოდ ამგვარ ბულიონს ტენის ყველას ამ საგიჟეთში! მოდი ახლა და აღიარე – მთელი მსოფლიო რომ დაიარო და ბოლო-ბოლო ის ერთადერთი გურუ თუ მოძღვარი, თუ სენსეი იპოვო, მაგ ლოცვის სწორად აღვლენას რომ გასწავლის – რა მერე? თუკი ნაკურთხი ბულიონის თასსაც კი ვერ ცნობ, რომელ წმინდანს იცნობ მტვრიან ბილიკზე? ამაზე მაინც შეგიძლია მიპასუხო?

ფრენი რაღაც არაბუნებრივად გაჯგიმული იჯდა.

– მე უბრალოდ *გეკითხები*. აზრად არ მომსვლია შენთვის ხასიათის მოშხამვა. შევთანხმდით?

ფრენიმ რაღაც წაიჩურჩულა, მაგრამ ხაზის მეორე მხარეს ვერაფერი გაუგეს: – რაო, რა თქვი? არაფერი მესმის!

– კი, კი-მეთქი, გითხარი. ისე, მაინც საიდან რეკავ?

– და რა მნიშვნელობა აქვს?! ვთქვათ, სამხრეთ დაკოტიდან... მისმინე, ფრენი, და ნუ მიბრაზდები. მარტო მომისმინე. ერთი-ორი პატარა რაღაც კიდე და – მორჩა! ის თუ იცი, მე და ბადი რომ სცენაზე შენს სანახავად ჩამოვედით ამ ზაფხულს? მთელ წარმოდგენას დავესწარით, ბოლომდე. მაგარი ხვატი კი იდგა, ლამის ჩამოვდნით ორივე. იცოდი?

პასუხს ელოდა. ფრენი ადგა, მერე ისევ დაჯდა. ხელის ერთი მოძრაობით გასწია საფერფლე. – არ ვიცოდი, – თქვა, – არავის ჩემთვის... არა, არ ვიცოდი.

– მაშ! ასე იყო საქმე. და იცი, რას გეტყვი? მშვენიერი იყავი. მართლა-მართლა. მთელი ეს სიცხისაგან გამოთაყვანებული დამსწრე საზოგადოებაც კი ხვდებოდა, რომ შენზე ეკიდა ყველაფერი. ახლა კი მეუბნებიან, თავი გაანება თეატრსო... ეგრეა, ხმები დადის. მოკლედ, მაგარი აღმოჩენა გაგიკეთებია – თურმე ნუ იტყვი და, ხელოვნების მუშაკთა შორის ოხრად არიან ვაჭარნი და მევახშენი! თურმე არც სუფლიორები ყოფილან ღვთაებრიობასთან წილნაყარნი... მართლა გადამრევ! ჭკუა სულ ქარს გაატანე? თუკი ამისთანა მახინჯი განათლება დაგაბედეს, გამოიყენე მაინც! შეგიძლია, ეგ შენი ლოცვა აღსავლის კარამდე იბურტყუნო, მაგრამ თუკი *განდგომა* არ შეგიძლია, ნულარც მრწამსს ებღაუჭები! „განუდექ სურვილთა შენთა“ – ამის გარეშე ეკლესიურობა არარაა, მაგრამ ამით სცენაზე ვერ გახვალ – სწორედ *სურვილია* მსახიობისთვის მთავარი! გინდოდა, მსახიობი გამოსულიყავი, *კარგი* მსახიობი, და ახლა ამას ასე იოლად ვერ ჩამოიგდებ მხრებიდან – მიზეზშედეგობრივი კავშირის ამბავია, საყვარელო. ახლა შენთვის ერთადერთი ეკლესიური გზა სცენაზე *თამაშია*. გინდა ღვთის სადიდებლად, გინდა ღვთის ნებით – რა გინდა ამაზე მეტი? ბოლო-ბოლო, სცადე მაინც! დრო

კი არ გადის, კი არ მირბის – მიფრინავს, და ერთი ცხვირი რომ დააცემინო ამ მატერიალურ სამყაროში, ეგეც ხეირია! – მცირე ხანს იყუჩა, მერე განაგრძო: – ადრე სულ ეგ მაწუხებდა, ახლა კი – ისე რა... იორიკის თავის ქალას კი ჯერაც შევნატრი – მინდა, ჩემი სიკვდილის მერე ისეთივე თავის ქალა დავუტოვო კაცობრიობას, როგორიც მისი იყო. და განა შენ არ გინდა იგივე? და თუკი ამ შენი აღზრდა-განათლების მიუხედავად, ისიც ვერ გაგიაზრებია, *როგორი* თავის ქალა გინდა დარჩეს შენგან, თუკი იმასაც ვერ მიმხვდარხარ, რომ მსახიობმა უნდა *იმსახიობოს*, რაღაა აქ სალაპარაკო?

ფრენის ახლა ლოყაზე აეფარებინა ხელი – იმ ადამიანივით, გაუსაძლისად რომ სტკივა კბილი.

– და ერთიც კიდევ, ოღონდ მართლა ბოლო, გეფიცები: სახლში დაბრუნდი და მაყურებლების სიბრიყვეზე იყავი აღშფოთებული – აქაოდა, მეხუთე რიგიდან „ცხოველური სიცილი“ მოისმოდაო... მაგრამ ეგ რა შენი საქმეა, ფრენი? საწყენია, გეთანხმები – მაგრამ რაში გადარდებს? მსახიობის საქმე ისაა, სრულყოფილებას მიაღწიოს – ისე, როგორც ეს მას ესმის და არა ვიღაცის მითითებებით! ასეთ რამეებს საერთოდ არ უნდა აქცევდე ყურადღებას. ან, ყოველ შემთხვევაში, გულთან ახლოს მაინც არ უნდა მიგქონდეს. გესმის, რას გეუბნები?

ისევ ჩამოვარდა სიჩუმე, მაგრამ არც ერთს არავითარი უხერხულობის გრძნობა არ გასჩენია. ფრე-

ნის ისევ ისე ედო ხელი ლოყაზე, მაგრამ მისი სახის გამომეტყველებას *ტანჯული* ნამდვილად არ ეთქმოდა.

ბოლოს ისევ ზუიმ გაიღო ხმა: – იცი, ერთხელ რა მომივიდა? მეხუთედ თუ მეექვსედ გამოვდიოდი „ჭკუის კოლოფის“ წამყვანად – უოლტს ვენაცვლებოდი ხოლმე – და დილით ს.-მ შემახსენა, ფეხსაცმელები გაიწმინდეო. ჭკუიდან გადავედი – სტუდიაში მოგროვილი მაყურებლები სულ ნარჩევი რეგვნები იყვნენ, მათ კიდე არც თავად შემკვეთები ჩამოუვარდებოდნენ, და ვუთხარი – არ ვაპირებ, მათი გულისათვის დილა ფეხსაცმელების წმენდაში გავატარო-მეთქი; ბოლო-ბოლო, სადაც ჩვენ ვისხდებით, იქიდან მაინც არაფერი გამოჩნდება-მეთქი. ასე მითხრა, სქელუა დეიდას გულისთვის მაინც გაიწმინდეო. ვერაფერი გავიგე, რომელ და ვის დეიდაზე მელაპარაკებოდა, მაგრამ მაინც წავედი და გავიწმინდე ის ოხერი ფეხსაცმელები. მას მერე წლები გავიდა და მე მაინც სულ იმ ვიღაც *სქელუა დეიდასათვის* ვაპრიალებდი ხოლმე საკუთარ ფეხსაცმელს. იმიტომ, რომ თითქოს გონებაში ჩამებეჭდა – ზის ვიღაც სქელუა ქალი პარმაღზე, სახეს მარაოთი ინიავებს, მის ზურგსუკან კი რადიო ღნავის რაღაცას... ასეა თუ ისე, იმას მაინც ვხვდებოდი, რატომ მომთხოვა ს.-მ ფეხსაცმელების წმენდა. აზრიც სწორედ ეს იყო.

ფრენის ახლა ორივე ხელით ეჭირა ყურმილი. – მეც მითხრა ეგეთი... მითხრა, სქელი დეიდას ხათრით მაინც გაიხსენი შუბლიო. – წამით ხელი გაითავისუფლა, შუბლზე ჩამოშლილი თმა გადაიყარა უკან და ისევ ორივე ხელით ჩააფრინდა ყურმილს. – და მეც სწორედ ეგეთი წარმომედგინა – მოწნულ სავარძელში ზის, მარაოთი ინიავებს და რადიო მთელ ხმაზე აქვს ჩართული – ზუსტად ეგეთი!

– ძალიან კარგი. ახლა კი მისმინე, კიდევ რას გეტყვი: არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, სად თამაშობს მსახიობი – ღია საზაფხულო თეატრში, ტელევიზიაში, რადიოდადგმაში გამოდის თუ ბროდვეიზე, ნაღები საზოგადოების წინაშე... მაყურებელი – უკლებლივ ყველა – სწორედ ის ერთი დიდი, სქელი დეიდაა, იმ შენი პროფესორ ტაპერის ჩათვლით. დედამიწის ზურგზე არავინაა, სიმორის სქელ დეიდას რომ არ ჰგავდეს – გამიგე? და იცი, სინამდვილეში ვინაა? არ იცი? მართლა აზრზე არა ხარ? ე-ეჰ, შენც ხარ, რა! ეგაა სწორედ ქრისტე ღმერთი! ეგაა ჩვენი მაცხოვარი!

სახეზე ეტყობოდა, სიხარულისაგან ფრენი იმასღა ახერხებდა მხოლოდ, ორივე ხელით ჩაჰფრენოდა ყურმილს.

კარგა ნახევარი წუთი გავიდა, სანამ ისევ ზუის ხმა გაისმა: – ახლა მეტს ვეღარაფერს გეტყვი, ჩემო კარგო... – და ამას რაღაც ჩხაკუნის ხმა მოჰყვა.

ფრენიმ ერთი კი ამოიოხრა, ოღონდ ყურმილი არ დაუშვია – ისევ ისე ეჭირა, ორივე ხელით. მერე წყვეტილი ზუმერი გაიგონა – ყველაზე საამო რამ ამ სიჩუმის ფონზე. ოღონდ ახლა იმასაც ხვდებოდა, როდის უნდა შეეწყვიტა ყურისგდება – თითქოს ახლა მთელი სამყაროს სიბრძნე მის ხელთ იყო და ისიც კარგად მოეხსენებოდა, რა უნდა ექნა, როგორც კი ყურმილს დაკიდებდა. ჩამქრალი ნამწვი, საფერფლეცა და ასანთის კოლოფიც მაგიდაზე გადადო, ტერფებიდან ფაჩუჩები წაიყარა, ლოგინს გადასაფარებელი გადააძრო და საბნის ქვეშ შესრიალდა. და ვიდრე ღრმა, უსიზმრო ძილი მოერეოდა, უბრალოდ იწვა ასე, გარინდული – ჭერს მიჩერებული და მოღიმარი.